წლიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

პარასკევი, 4 სექტემბერი 1931 წ. № 203 (3158)

## კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მორიგი დიდი გამარჯვება

დამთავრდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები. ჩვენი გაზეთის მკითხველები და საერთოდ მშრომელი მასები გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს მანევრების მსვლელობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მიერ ჩატარებული საცდელი ომი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში.

რით უნდა ავხსნათ ეს?

ეს პირველ ყოვლისა მიეწერება ჩვენი მშრომელი მასების ღრმა სიყვარულს თავისი ღვიძლი შვილის, წითელი მხედრებისადმი, ეს მიეწერება აგრეთვე ჩვენი მშრომელი მოსახლეობის პოლიტიკურ თვითცნობიერების სწრაფ ზრდას.

ქალაქისა და სოფლის მასები კარგად გრძნობენ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერებას. ამიტომ იყო, რომ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები გადაიქცა წითელი არმიის და მშრომელი მოსახლეობის ძმური კავშირის უძლიერეს დემონსტრაციად. ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე საგრძნობი იყო იმ არაჩვეულებრივი გულმხურვალე ურთიერთობაში წითელ მხედრობასა და მოსახლეობას შორის, რომელიც ახასიათებდა მანევრებს პირველი დღიდან უკანასკნელამდე. ამაშია მანევრების უდიდესი პოლიტიკური გამარჯვება.

მეორე და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სამხედრო შეიარაღებულ ძალებისათვის, ეს არის ის, რომ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებმა გამოაშკარავა ჩვენი არმიის საუკეთესო საომარი მომზადება, მისი მოქნილობა რთულ ტოპოგრაფიულ და კლიმატიურ პირობებში, მისი არაჩვეულებრივი გამძლეობა ყოველი სახის სიძნელეების წინააღმდეგ ბრძოლაში. მანევრებმა ცხადჰყო, რომ ჩვენი ჯარი წარმატებით იბრძვის სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის და ამას უდიდესად უწყობს ხელს საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელსაც მტკიცედ ატარებს პარტია და ხელისუფლება.

წლევანდელი მანევრები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რომ ის თავისი ამოცანებით და ამ ამოცანათა შესრულებით ძირითად განირჩეოდა წარსული წლის მანევრებისაგან. მეტად რთული და ამავე დროს ძალზე საინტერესო იყო ოპერატიული ამოცანები, რომელიც სათუძვლად ედო წლევანდელ მანევრებს. ამასთანავე ყველა ზომები იყო მიღებული იმისათვის, რომ მანევრები მაქსიმალურად დაახლოვებოდა ომის შესაძლებელ მდგომარეობასთან. ამ მიზნით განხორციელებულ იქნა ყველა ისეთი მომენტები, რომელნიც წინად აუცილებლობდნენ მანევრებს. წლევანდელი მანევრები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით იყო სამხედრო მეცადინეობის უმაღლესი ფორმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მიღწევები ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცე გატარების დარგში. კავკასიის წითელდროშოვანი არმია, როგორც საერთოდ მთელი ჩვენი წითელი არმია, არის ინტერნაციონალური შეიარაღებული ძალა. ეს განსაკუთრებით სჩანს აქ მრავალეროვან ამიერ-კავკასიაში, რომლის ეროვნებათა წარმომადგენელნიც შედიან წითელდროშოვან არმიაში. სომხური, თურქული, ქართული, რუსული, აფხაზური და სხვა ეროვნებათა ნაწილები ისე მოქმედებდნენ მანევრების დროს, როგორც მთლიანი განუყოფელი ერთეული. კავკასიის წითელდროშოვან არმიამ თავის მანევრებზე თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რომ ის არა მარტო იარაღით ხელში შეუპოვრათ იბრძვის ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, არამედ ამავე დროს თვით წარმოადგენს ინტერნაციონალური აღზრდის საუკეთესო სკოლას.

როგორც მოსალოდნელი იყო, კლასიური მტრები მანევრების დროსაც შეეცადნენ ხელი შეეშალათ ჩვენთვის, გაემწვავებიათ მდგომარეობა მანევრების რაიონის მოსახლეობასა და წითელ ჯარს შორის. მათ მიმართეს ნაცად ხერხს. ჯერ კიდევ სანამ მანევრები დაიწყებოდა, გაავრცელეს პროვოკაციული ხმები იმის შესახებ, თითქოს მანევრების დროს ჯარის ნაწილები გასთელავენ სიმინდის ყანებს, აიოხრებენ ბაღ-ბოსტნებს და გააძევებენ თავიანთ ბინიდან ადგილობრივ მოსახლეობას. წითელი ჯარის ნაწილების იშვიათად თავაზიანი მოპყრობა ადგილობრივი მოსახლეობისადმი ამ უხამსი პროვოკაციის საუკეთესო პასუხი იყო.

ჩვენი ჯარის ნაწილები დასვენების საათებში უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში, აწყობდნენ ჯარისა და მშრომელი მოსახლეობის დამაკავშირებელ საღამოებს და სხვ. ამის შედეგად მანევრების რაიონის მრავალ მშრომელ ახალგაზრდამ, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოსვლიათ ჯარში წასვლის ასაკი, გამოსთქვა წითელ არმიაში მოხალისეთ ჩაწერის სურვილი.

კავკასიის წითელდროშოვან არმიამ, როგორც მუშურ-გლეხური არმიის ერთ-ერთმა სახელოვანმა რაზმმა, დაამტკიცა მანევრების დროს, რომ ის არის სოციალისტური ქვეყნის თავდადებული გუშაგი, საბჭოთა კავშირის თავდაცვა საიმედო ხელშია, რომ წითელი ჯარი არის პროპაგანდისა და აგიტატორის უძლიერესი ძალა.

თქმა არ უნდა, რომ მანევრებმა დიდი პრაქტიკული გამოცდილება შესძინა ჩვენს წითელ მხედრობას. მანევრებმა აამაღლა და განავითარა ჩვენი არმიის საომარი მომზადება. სოციალისტური სახელმწიფოს გარეშე და შინაურ მტრებს ლახვრად მოხვდება გულში ეს ჩვენი მორიგი მიღწევა.

ჩვენი ვალია დაუსრულებლივ გავამრავლოთ წითელი არმიის ეს მიღწევები, ჩვენი ვალია ყველა პირობები შევუქმნათ წითელ მხედრობას იმისათვის, რომ მან როგორც ყოველთვის, სავსებით დასძლიოს დაკისრებული რთული და საპატიო ამოცანები.

ჩვენმა არმიამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა უმაღლის გამოცდაში, როგორიცაა მანევრები; ჩვენმა არმიამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს უფლება აქვთ იამაყონ ოქტომბრის რევოლიუციის უძლეველი გუშაგის—წითელი არმიის მიღწევებით.

## ეკონომიური კრიზისი ამერიკაში

### ნიუ-იორკში—1.000.000 უმუშევარია

### შეუჩერებლად იზრდება ხორბლის და ბამბის მარაგი და... მასების სიღატაკე

#### კაპიტალისტები შიშმა შეიპყრო

**ნიუ-იორკი.** იმ დროს, როდესაც ამერიკელი კაპიტალისტები იხილავენ ბამბისა და ხორბლის განადგურების გეგმებს, რიცხვი უმუშევრების, რომლებსაც არც პური გააჩნიათ და არც ტანსაცმელი, შეუჩერებლად იზრდება. მთავრობის ცნობებით რიცხვი იმ მუშების, რომლებიც ფაქტიურად მუშაობენ საგრძნობლად დაეცა იანვართან შედარებით. ვაჭრობის მინისტრი ლამონტი ჯერ კიდევ იანვარში აღიარებდა, რომ უმუშევართა რიცხვი რვა მილიონამდე აღწევს. უკანასკნელი ცნობებით **მარტო ნიუ-იორკში ერთი მილიონი უმუშევარია.** ამ ციფრში არ შედის ნახევრად მომუშავენი და ნაწილობრივ მომუშავენი. ფაქტიურად მომუშავეთა ხელფასი კი თვალსაჩინოთ არის შემცირებული.

#### „მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა“

ამ დღეებში გაიხსნა მსხვილი ბანკირების სხდომა. ამ სხდომაზე, რომელიც შესდგა მორგანის ბანკის შენობაში განხილულ იქნა ნიუ-იორკის უმუშევრებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი. სხდომამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა შარშანდელ ზამთართან შედარებით.

#### კომპარტია ამზადებს მშიერ ლაშქრობას

კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს უმუშევართ და მუშებს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ სამუშაო, მოაწყონ მძლავრი კომიტეტები ბრძოლისა უმუშევართათვის ნამდვილი დახმარების აღმოსაჩენათ, უმუშევართა დაზღვევის შემოსაღებათ, 7 საათის სამუშაო დღისათვის ხელფასის შეუმცირებლად.

კომპარტია ამზადებს სრულიად ამერიკის მშიერ ლაშქრობას ვაშინგტონში. ლაშქრობა მოეწყობა დეკემბრის დასაწყისში, როცა დაიწყება კონგრესის სესია.

#### არ იციან რა უყონ ბამბას

აღწერის მასალების მიხედვით გაუსაღებელი ბამბის რაოდენობა 31 ივლისისათვის უდრიდა 6 369 405 შეკვრას (თითო შეკვრა იწონის 226 კილოგრამს), წინააღმდეგ 4.510.563 შეკვრისა წარსული წლის იმავე რიცხვისათვის და 2.311.988 შეკვრისა 1929 წლის იმავე რიცხვისათვის.

ლუიზიანას შტატის საკანონმდებლო პალატამ შეიმუშავა **1932 წ. ბამბის დათესვის სრულიად აკრძალვის კანონპროექტი.** ამ კანონპროექტის განხორციელებას ასაბუთებენ იმით, რომ **ამგვარივე კანონები უკვე გატარებულია მთელ რიგ სხვა შტატებში,** რომლებიც საერთოდ იძლევიან ამერიკის მთელი პროდუქციის სამ მეოთხედს.

#### საწყობები გაჭედილია ხორბლით

შეერთებული შტატების და კანადის შარშანდელი მოსავლის დარჩენილი მარაგი უდრის 459.440.000 ბუშელს (ბუშელი იწონის 27 კილოგრამს), წინააღმდეგ შარშანდელი 401.625.000 ბუშელისა, აქედან შეერთებულ შტატებზე მოდის 319.159.000 ბუშელი, კანადაზე კი—133.382.000 ბუშელი.

#### ფერმერების გაკოტრება

1930 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მიხედვით, წვრილი მოიჯარადრე ფერმერები შეერთებულ შტატებში შეადგენენ ყველა ფერმერების 42,4 პროც., წინააღმდეგ 38,5 პროც.-სა 1925 წელში და 38,1 პროც. 1920 წელში. წვრილ მოიჯარადრე ფერმერების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა სამხრეთის მებამბეობის შტატებში.

#### სპილენძის ფასების არაჩვეულებრივი დაცემა

ამერიკის ლითონების სტატისტიკის ბიუროს ცნობებით, სპილენძის მარაგი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში 1931 წლის ივლისში აღწევს არაჩვეულებრივ ციფრს 440,417 ტონას. სპილენძის ფასები დაეცა ყველაზე დაბალ დონემდე ამ ქვეყნების ისტორიაში.

შეერთებულ შტატებში სპილენძის ფასი მერყეობს 7-მეოთხედიდან 7 სამ-მეოთხ. ცენტამდე გირვანქა (5 კაპეიკამდე), ევროპის ნავთსადგურებში მიტანით კი ფასობს 8 ცენტი გირვანქა.

#### გრინი „მოითხოვს“

მძიმე დროებამ აიძულა ამერიკის კაპიტალის ობერ-ლაქია—ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე **გრინი** ხმა ამოეღო.

გრინმა მოსთხოვა პრეზიდენტ **ჰუვერს** დაუყოვნებლივ მოიწვიოს ეკონომიური კონფერენცია უმუშევრობის საკითხის განსახილველად; „თუ კონფერენცია მოწვეული არ იქნა,—აცხადებს გრინი,—მაშინ ამერიკის მთელი ეხლანდელი ეკონომიური სტრუქტურა სრულ მარცხს წარმოადგენს“.

# მზად ვიყოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ სახელოვნად დაამთავრა მანევრები

### გადამწყვეტი დღეები

#### დახევა მარცხენა ფლანგზე

იშვიათი დილა გათენდა. წამბული ავდრების შემდეგ მზე არაჩვეულებრივად მხიარული მოსჩანს. მერე რა მშვენიერია ჩვენი ბუმბერაზი მთები მზის სხივებზე! სიცივემ იმდენად დაგვაშინა, რომ ამ ზაფხულის თვეში დილის მზეზე ვეფიცხებით.

დღეს დიდი ბრძოლა მოგველის. გუშინ დასვენების დღე იყო. ორივე მხარემ ძალ-ღონე მოიკრიფა. ორივე მხარის სარდლობას საშუალება ჰქონდა დაწვრილებით შეესწავლა ბრძოლის განვლილი ეტაპები, გამოეძებნა შეტევისა თუ თავდაცვის ახალი, უფრო მოფიქრებული ამოცანები.

მაგრამ შუადღეზე გადავიდა და თოფის ხმა არსად ისმის. სამაგიეროთ დიდი ფაციფუცია ორივე მხრის პოზიციებზე. თუ კარგად დააკვირდები, შეგიძლია მთის მწვერვალებიდან დაინახო მტრის ნაწილების მოძრაობა: მოსჩანან ქვეითი, მოსჩანს არტილერია და ცხენოსანი ნაწილებიც.

არც ჩვენები არიან გაჩერებული. ქვეითმა ნაწილებმა უკვე დილიდანვე გაშალეს რამდენიმე ერთი მეორეს მიმდევარი წრე. თვითეულ მათგანს საგულდაგულოთ გაუკეთებია საფარი. თოფის ლულის მეტი იქიდან არაფერი სჩანს. არტილერიაც გადადის ახალ, უფრო მოხდენილ ადგილებზე. ყოველ ზარბაზანთან მოშორებით დგას ცხენების გუნდი. ზარბაზანი კი განმარტოებით შემალულა ხელოვნურად გაკეთებულ მაღალ ჩიგვარში. რითაც და საიდანაც არ უნდა შემოხედოს მტერმა, მის დანახვას ვერ მოახერხებს. ასევე შეხამებულია ტყესთან „გირლიანდებით“ შემკული ცხენებიც. მაგრამ ეს მაინც არ შველის ზარბაზანს მტრისგან დამალვაში. საკმაოა ზარბაზანმა რამდენიმე ყუმბარა გაისროლოს, რომ მტერმა ის აღმოაჩინოს. ის ამჟღავნებს თავის თავს გასროლის ხმით, ცეცხლის ალით და კვამლით.

თუმცა აგვისტოს მცხუნვარე დღეებია, მაგრამ ცეცხლის ალი ზარბაზნის ლულიდან ხანძრის ვეებერთელა ენებივით მოსჩანს.

გავცქერით მოშორებულ დაბლობ მთას, დაბურულს დაბალი ტყით. დრო გამოშვებით ტყეს თავს კვამლის ზღურბლი ეფინება. ხან კი არაფერი მოდის. ამავე კვამლი, გაიზლაზნება ტყის წვეროებზე და გაიფანტება.

ერთი შეხედვით ეს ნახშირის წვას ჰგავს, მაგრამ ეს არ არის წამბული ბოლი და ვხვდებით, რომ იქ თავის პაწაწინა გაუბიცებიდან ჩვენების მარცხენა ფლანგი ისვრის. ხმა კი იმ სერიდან, რომელიც დაშორებულია ჩვენს მაღლობზე 15 კილომეტრით ამ საერთო გრუხუნში ბუნებრივად ვერ მოდის.

ასეთია ზარბაზნის ხვედრი ომში. რაც არ უნდა ეცადოს ის დამალვას, მოხერხებულ მტრის თვალს და ყურს ვერსად წაუვა.

უხმო, უცეცხლო და უკვამლო ზარბაზანი — ეს არის ყოველი დროის არტილერიის საუკეთესო ოცნება.

უკვე სადილობამაც მოატანა. ფრონტი კი ორივე მხრივ ისევ სდუმს. ჩვენც სულ ზევით და ზევით ვინაცვლებთ მთებში. იმდენად მაღალზე ვართ, რომ ტყემალს, რომელიც წელან სოფელში შევხვდა, ჯერ კიდევ ამ აგვისტოში სიმწიფის წვენი არ ჩასდგომია.

უეცრივ ჩვენს მარცხენა ფლანგზე იქუხა ზარბაზანმა. აქა-იქ გაისმა თოფის ხმაც. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები ტყეში. ცხადია, ჩვენმა მარცხენა ფლანგმა მტრის მოახლოება შენიშნა.

ბევრი დრო არ გაუვლია, რომ მტერმაც ასტეხა სროლა. საშინელი კორიანტელი დადგა ორივე მხრიდან. ერთმანეთში არეულია ზარბაზნის, ტყვიამფრქვევის, თოფის ხმა და წითელ მეთაურთა ვაჟკაცური გადაძახილი: „ასეულო, მარჯვნივ ცეცხლი“! „ასეულო, ცერიშით წინ“!

ერთი საათის შემდეგ გამოირკვა მტრის ნამდვილი განზრახვა. ის მთელი ძალით აწვება ჩვენს ფრონტს ჩრდილოეთ დასავლეთით.

ავიაციის სადაზვერვო მუშაობაც ამას მოწმობს მოწინააღმდეგის აეროპლანები განუწყვეტლივ თავს დატრიალებენ ჩვენს მარცხენა ფლანგს.

„მტერი“ ყველა საშუალებას იყენებს, რომ ჩვენები პოზიციებიდან ამოდევნოს. მთელი ჩვენი მარცხენა ფლანგი მოწამლულია მხრჩოლავი გაზებით. არაჩვეულებრივად უსიამოვნო სუნი სდგას.

მოწინააღმდეგემ იმდენად შეავიწროვა ჩვენი მარცხენა ფრთა, რომ შეძლო დაბლობიდან სერზე ამოსულიყო. ეხლა ჩვენი ბრძოლა ნამდვილი მთების ბრძოლაა. ეხლა აღარავის შეუძლია სთქვას, ჩვენს სამოქმედო ასპარეზზე „ბრძოლის ველიო“, უფრო სწორი იქნება, თუ იტყვით „ბრძოლის მთებიო“.

ჩვენ მარჯვენა ფლანგზე კი მტერი მთელი დღე მეტად საეჭვოთ სდუმს.

ცხარე ბრძოლაში დღე სრულიად შეუმჩნევლად გაგვეპარა. თანდათან მიწყნარდა ბრძოლა. მხოლოდ აქა-იქ ისმის ტყვიამფრქვევების და ზარბაზნების ხმა. სჩანს, ორივე მხარე მეტად მოიქანცა. ჯერ სრულიად დაღამებული კიდევ არ იყო, რომ სროლა სავსებით შესწყდა.

დღეს მტერმა დაგვჯაბნა მარცხენა ფრონტზე, მაგრამ ეს გულს არ გვიღონებს, ჯერ იმიტომ, რომ მტერი მუდამ ჩვენზე ბევრად მეტი ძალებით გვიტევს და მეორე კიდევ, დღევანდელი ბრძოლა არ სწყვეტს ომის ბედს, იმედი მაინც ღვივის სტალინელების გულში, იმედი გამარჯვებისა და საერთო ბოლშევიკური ზეიმისა.

სოფელი №.

#### ბრწყინვალე გამარჯვება

დღეს უნდა მოხდეს უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. ორივე მხარე გაფაციცებით მზადებაშია.

გათენებული არ იყო, რომ მთელი ხევი რომელიც სტალინელთა დივიზიის მთავარ ბაზას წარმოადგენს, არაჩვეულებრივად აფუსფუსდა. ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია, ჯავშნოსნები, საბარგულები და სანიტარული ავტოები ერთმანეთს მისდევენ.

ჩვენ ისევ მაღალ მთაზე ვდგევართ. შუაღამიდანვე დავტოვეთ თბილი ლოგინი, რომელიც ისევე საამურია ამ ფრონტზე, როგორც სიდედრისეული ბუმბული. მტრედისფრად რომ ინათლა, მეთაურმა გასცა ბრძანება დაბლობისაკენ წავსულიყავით. ცხენები იმდენად თავდაკიდებულში მიდიან, რომ უნაგირების საკაზმი ფაფრებს ებჯინება და გადმოვარდნის შიშით ხელებით ჩასჭიდებული ვართ უნაგირის წინა ნაწილში.

ჩამოვედით გავაკებამდე. ზაფხულის გრილი და საამური დილა გათენდა.

გავარდა ზარბაზანი.

ეს ჩვენ თუ გვესროლეს! მეტად თავხედურად წამოვჭიმულვართ გორაკის წვერზე. დაგვავიწყდა, რომ უკვე ინათლა და მოწინააღმდეგეს ადვილია ნიშანში ამოგვიღოს.

წამსვე შევეხამეთ, ცხენები ისეთი სწრაფი ჭენებით შევრეკეთ ტყეში, რომ ხის შტოები დაუზოგავად გვიწკეპლავდნენ სახეს.

გავარდა მეორეც. მესამე. მეოთხე. ბიჭოს! ეს ჩვენ არ ვყოფილვართ მიზეზი. მტერი ცდილობს დილიდანვე ინიციატივა ჩაიგდოს ხელში, ის მთელი ფრონტით იწყებს შეტევაზე გადმოსვლას.

სიამოვნებით ვღებულობთ გამოწვევას. გული საგულეს გვაქვს. გუშინ ჩვენს დივიზიას შემოემატა ერთი ლეგიონი ჯარი, რომელმაც საბარგო მატარებლის დახურულ ვაგონებით შეუმჩნევლად გამოიარა „მტრის“ ტერიტორიაზე. მართალია, მოწინააღმდეგის ძალები ჩვენზე ისევ ბევრად მეტია, მაგრამ ეს ახალი ლეგიონი ხომ მაინც რამეს ნიშნავს!

ჩვენმა არტილერიამ დინჯად დაიწყო შეტევისათვის გზის გაწმენდა. შეზომილად, მაგრამ განუწყვეტლივ ისვრის ის. რომ ეს ნამდვილი ყუმბარები იყვეს, მტრის პოზიციებზე ქვა-ქვაზე აღარ დარჩებოდა.

„შრაპნელით მარცხნით 0,50“!, ისმის არტილერიის ბატარეის მეთაურის ბრძანება. ყველამ იცის რომ რამდენიმე წამში მეთაური გასცემს მეორე ბრძანებასაც. ამიტომ ყურებდაცქვეტილი დგანან. „ბატარეია ცეცხლი“! დაიქუხა მეთაურმა და გულშემზარავი ხმით აგრუხუნდნენ ზარბაზნები. მთებმა იხმო მათი სროლა. ხევებიც ერთი მეორეზე იმეორებდნენ ზარბაზანთა ქუხილს.

ქვეითნი უკვე იწყებენ შეტევაზე გადასვლას. მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა. მტერს შეუძლია შენიშნოს ისინი და განმანადგურებელი ცეცხლით მოსპოს.

ჩვენ მივიწევთ კვამლის ფარდას, რომ [illegible] შეტევაზე გადასვლა. სულ რაღაც ათიოდე წუთის განმავლობაში შვიდი კილომეტრის მანძილზე აღიმართა კვამლის სქელი კედელი, რომელიც მიწიდან ცის თაღებამდე შეუმჩნეველს ხდიდა ყოველივეს ჩვენი პოზიციის მთელ ხაზს.

„ასეულო ჩემთან“! ერთიმეორეზე გაიძახოდნენ ქვეითი ნაწილის მეთაურნი და, კვამლში გახვეულნი, გადადიოდნენ შეტევაზე.

„მტერი მალე შედრკა. შეატყო, რომ შეტევას სადემონსტრაციოთ არ ვაწარმოებთ. რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩვენი არტილერია მთებიდან ვაკეში ჩამოვიდა. ის ეხლა ბაღში დგას და გამწარებული უშენს „მტრის“ პოზიციებს.

კარგად მოსჩანს, რომ მოწინააღმდეგე მთელი ფრონტით უკან იხევს. ვხედავთ ქარავანებათ გაჭიმულ „მტრის“ საბარგულებს, ვხედავთ არტილერიას და ქვეითი ჯარის კოლონებს. ყველას ზურგი ჩვენსკენ აქვს მოქცეული. სტალინელთა დივიზიის ზარბაზნები კვლავ ისვრიან ისეთი ხმაურით, თითქო თანვე მოაქვთ მთა და ველიო.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. ფედკო

ჩვენს ასეულს დავალება აქვს შეუტიოს მტერს ჩრდილოეთ აღმოსავლეთით, გადალახოს სერები, აიღოს დაბა ს-ი და ამრიგად ზურგში მოექცეს „მტერს“. ჩვენ მივდივართ წინ—თან კვამლის ფარდას ვშლით. თითქმის ყოველ ოცი ფეხის ნაბიჯზე სქდება „მტრის“ მიერ მიწაში ჩალაგებული ნაღმები და ჩვენს კვამლის ფარდას მიწის ძლიერი ბუღი ემატება.

ფრონტი მეტად გაფართოვდა. „მტერი“ იმდენად სწრაფად იხევს, რომ ვერ ვასწრებთ მის ფეხდაფეხ გადევნებას. რა ცუდია, როცა ჯარი ერთჯერვე შედრკება!

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ჯავშნოსანი მატარებელიც წამოგვეწია. მას წინ და უკან სამი ბაქანი—ვაგონი უბია. ვაგონებზე ბრეზენტებია გადაფარებული. ბრეზენტებს ქვეშ, რასაკვირველია, რაიმე ბარგი იქნება, გავიფიქრეთ ჩვენ.

მაგრამ არა, მატარებელმა გაიარა დაახლოებით ერთი კილომეტრი. ბრეზენტები აიხადა და მის ქვემოდან რამდენიმე ასეული კაცი გადმოლაგდა. ამან კიდევ უფრო გაგვამხნევა.

ჩვენთან ერთად ბრძოლაში ჩაება ჯავშნოსანი მატარებელიც. გაძლიერებული ენერგიით მივისწრაფით წინ.

მივატანეთ დანიშნულ სერის ქედსაც. ჩვენი გამოჩენა სერზე გადაღმა დაბანაკებულ მტრის სათადარიგო ნაწილებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. პანიკა შეიქმნა. საბარგულები ვერ პოულობენ გზას გასაქცევად, მეურმეები ეძებდნენ სახრეს. როცა ის ხელში ეჭირათ, ყველა ფუსფუსობდა და ერთი მეორეს უშლიდა ხელს. „მტრის“ რაზმი თავის საბარგულებით ადვილად ვიგდეთ ხელთ.

„ჩამოართვი ვაზნები, ვაზნები ჩამოართვი“! გაიძახოდნენ ამაყად ჩვენები და დარცხვენილ ტყვეებს ართმევდნენ ვაზნებს.

მივდივართ წინ. მივადექით კიდეც დაბა ს-ს. ამასობაში ჩვენი ჯავშნოსანიც მოგვეწია. გაგვიკვირდა. მას აქ მოსვლა არ შეეძლო თუ საკვანძო სადგურს არ გამოივლიდა. ეს სადგური კი „მტრის“ მთავარი ბაზაა. სჩანს, ჩვენებს ის უკვე დაუკავებიათ.

მოწინააღმდეგემ თავი შეაფარა დაბას.

მიუახლოვდით თუ არა მას, განმანადგურებელი ცეცხლი გახსნეს. „დაწექი“! გაისმა ასეულის მეთაურის ბრძანება. მთელი წრე ერთბაშად დაწვა მიწაზე და ვისაც სად შეეძლო საფარი გაიჩინა. „ოცეულო, რაზმეულად ცეცხლი“!, ზედიზედ ისმის ბრძანება. თოფების გრიალი იღებს არე-მარეს. მარცხენა ფლანგიდან მოგვყვება ჯავშნოსანი, რომელიც დაბას ცეცხლის ალში ხვევს.

მოწინააღმდეგე არაჩვეულებრივ წინააღმდეგობას გვიწევს. თვითეულ ნაბიჯს კბილით და ფრჩხილით იცავს. აგერ წამოგვეწიენ ჩვენი ჯავშნიანი ავტომობილებიც. ისინი ჯიქურ შეიჭრენ დაბის მთავარ ქუჩაში.

მოწინააღმდეგემ სეტყვასავით დააყარა ტყვია. ჩვენ უკან მივყვებით ჯავშნოსნებს.

დაბის მშვიდობიანი ცხოვრება შეირყა. მუდამ თავის წვრილმანი საქმეებით გართული ბაზრობაც დაიქსაქსა. ქუჩებში სკდება ყუმბარები. სახლების ფანჯრებიდან, ორღობეებიდან ისვრიან ტყვიამფრქვევები და თოფები. ეზოებში ყეფენ გაუბიცები.

მოწინააღმდეგე იხევს ჩრდილოეთით და ჩვენს ჯავშნიან ავტომობილებს გზებს უხერგავს ცარიელი ურმებით, ხეებით და მავთულებით. ჩვენ მაინც მივიწევთ წინ. აგერ „მტერი“ თავდავიწყებით გადმოეშვა ცეცხლის ალში, ალყა შემოარტყა ჩვენს ორ ჯავშნოსანს, გზები აუფეთქა მათ და ტყვეთ ჩაიგდო ისინი.

მაგრამ ამან ჩვენი წინსვლა მაინც არ შეაჩერა.

დღის 2 საათი იქნებოდა, რომ დაბა სრულიად ჩვენს ხელში იყო. მოწინააღმდეგემ დაიხია ჩრდილოეთით. გამარჯვებით გათამამებული სტალინელები მისდევენ მას კვალდაკვალ.

ჩვენ უკვე შემოუარეთ მტერს უკნიდან, მტრის ვეებერთელა ძალა „ტომარაში“ მოვაქციეთ. საღამოს 6 საათი იქნებოდა, რომ „სროლის“ ხმა მთელ ფრონტზე შესწყდა. „ომი“ საბოლოოდ დამთავრდა.

გადადიან ახალ პოზიციაზე

სტალინელებს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად. სტალინელებმა სახელოვნად ამოხსნეს და შეასრულეს ამოცანა.

ხვალ მანევრების რაიონში მოეწყობა კონფერენცია. გაირჩევა ორივე მხარის მიღწევები და ნაკლი, შეჯამებულ იქნება მანევრების შედეგი.

მშვიდობით ცამდე აწვდილო, მაღალო მთებო! ნახვამდის ხავერდოვანო ველებო! ბევრი სიმწარე გვაგემეთ თქვენ ამ შვიდი დღის განმავლობაში, მაგრამ ბევრი უტკბილესი მოგონებაც გაატანეთ თქვენ საბჭოთა არმიის თვითეულ მებრძოლს!

აკ. ჭყონია

დაბა ს-ი.
2 სექტემბერი.

#### შეცდომის გასწორება

ამხ. აკ. ჭყონიას წერილებში მანევრების შესახებ გაიპარა რამდენიმე კორექტურული შეცდომა, რომელთაგან ვასწორებთ შემდეგ ორს: „კომუნისტი“-ს პირველ სექტემბრის ნომერში მოთავსებულ წერილში სათაურით — „შეხვედრა მტერთან“—სწერია: „ორივე მხარე ესაფრება ერთმანეთს **ლამის** ბრძოლის გასაშლელად“ უნდა იყოს: „ორივე მხარე ესაფრება ერთმანეთს **ნამდვილ** ბრძოლის გასაშლელად“. 3 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი — სათაურით „ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია“. წერილი იწყება შემდეგი სიტყვებით: „ღამე **ქუჩებში** განუწყვეტლივ თოფ - ზარბაზნის ჭექა - ქუხილი ისმოდა“, უნდა იყოს: „ღამე **ყურებში** განუწყვეტლივ თოფ - ზარბაზნის ჭექა-ქუხილი ისმოდა“.

# სამხედრო ავიაციის და ქიმიის განვითარება სპობს მიჯნას ფრონტსა და ზურგს შორის

## მთელი მოსახლეობა უნდა იცნობდეს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საშუალებებს

## უზრუნველვყოთ საჰაერო თავდაცვის ათდღიურის წარმატებით ჩატარება

### მეტი ყურადღება საჰაერო თავდაცვას

„ქვეყნის თავდაცვის საკითხები მთელს ჩვენს გრანდიოზულ ისტორიულ მუშაობაში წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ძირითად საკითხებს. ჩვენ კისრამდი ვართ ჩაფლული ყოველდღიურ მუშაობაში, და რა ხან ვერ ვხედავთ ომს, რომლის შესახებაც 10 წლის განმავლობაში ვლაპარაკობდით, ჩვენ ძლიერ ხშირად ვკმაყოფილდებით მხოლოდ ლაპარაკით თავდაცვაზე და ისიც საზეიმო შემთხვევებში“ (ამხ. კ. ვოროშილოვის სიტყვიდან კომკავშირის მე-9 ყრილობაზე).

მომავალი ომი იქნება მანქანების ომი. იგი მოითხოვს მაღალსაბრძოლო მომზადებას არა მარტო წითელი არმიისაგან, არამედ აგრეთვე გაძლიერებულ სამხედრო მომზადებას მშრომელთა ფართო მასების მხრივაც.

პროგრესიულად იზრდება კაპიტალისტური ქვეყნების ქვეითი არმიების მექანიზაცია. მექანიზაციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს არტილერიის, ჯავშნიანი მანქანების, ტყვიამფრქვევების და ავიაციის პროგრესიული ზრდა.

ავიაციამ უკვე 1914—18 წ.წ. ომის დროს მიაღწია მაღალ განვითარებას (მაგ. ომის დროს აგებული იქნა საფრანგეთში—50.000, გერმანიაში—45.000 და ინგლისში—55.000 აეროპლანი).

ომის შემდგომ წლებში ავიაცია უფრო ძლიერ წავიდა წინ.

თვით ავიაციაში კაპიტალისტური ქვეყნები მთავარ ყურადღებას უთმობენ ასაფეთქებელ ნივთიერებათა გადმომყრელ აეროპლანებს, რომლებიც ცალკე ქვეყნებში შეადგენენ მთელი ავიაციის შემადგენლობის 50 პროცენტზე მეტს.

პარალელურად ძლიერ ვითარდება ბრძოლის ქიმიური საშუალებები.

აეროპლანების საწინააღმდეგო ტყვიამფრქვევების ბატარეა

თუ რამდენად ფართოა იმპერიალისტების მზადება ქიმიური ომისათვის, ამას ნათელჰყოფენ ცნობები ეჯვუდის ქიმიური არსენალის შესახებ (შეერთებულ შტატებში). არსენალს უჭირავს 800 დესეტინა და მის ტერიტორიაზე მოთავსებულია 558 კორპუსი. იქ მუშაობს მთელი რიგი ქარხნები 10.000-დე მუშით, რომლებიც 1918 წ. ცნობებით ამზადებდნენ 30.000 ფუთზე მეტ მომწამვლელ ნივთიერებას კვირაში.

თანამედროვე ომის პირობებში საჰაერო თავდაცვას განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა. ავიაციასა და ქიმიური ომის საშუალებათა მძლავრი განვითარება საგრძნობლად სპობენ განსხვავებას, „მშვიდობიან“ ზურგსა და ომის ფრონტს შორის ამ გაყოფის წინანდელი გაგებით.

ავიაციის მიღწევები ომის ქიმიურ საშუალებებთან ერთად საჰაერო თავდასხმის საფრთხეში აგდებენ მოწინააღმდეგის პოლიტიკურ და სამრეწველო ცენტრებს, სარკინიგზო კვანძებს და სტრატეგიულ პუნქტებს, რომლებიც ასეულ და ათასეულ კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან ფრონტის ხაზიდან.

საჰაერო-ქიმიური თავდასხმით ისე შეიძლება ზურგის ნორმალური ცხოვრების დარღვევა და შეწყვეტა, რომ უკანასკნელი ვეღარ შესძლებს ფრონტის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

დასუსტებული ზურგი საფრთხეს წარმოადგენს ომის წარმატებისათვის. მოსახლეობა, განსაკუთრებით მტრის ავიაციის შესაძლებელი თავდასხმის რაიონებში (ამიერ-კავკასია კი სწორედ ასეთ რაიონს წარმოადგენს), გაცნობილი უნდა იყოს საჰაერო-ქიმიურ თავდაცვასთან, უნდა იცნობდეს მოწინააღმდეგის ავიაციასთან და ქიმიასთან ბრძოლის ხერხებსა და წესებს, უნდა იცნობდეს გაზის საწინააღმდეგო ნიღბის და გაზისაგან თავდასაცავ თავშესაფარით სარგებლობის წესს.

ზურგის საჰაერო და ქიმიური თავდაცვა, რომელიც შესდგება მეტად მრავალფეროვან ელემენტებისაგან შეეხება არა მარტო სამხედრო უწყებას, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებსაც.

მშრომელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ზურგის დასახლებული პუნქტების საჰაერო თავდაცვის წარმატებას უზრუნველყოფა.

ეს აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას საჰაერო თავდაცვის შესაფერი პოლიტიკური მომზადებით. ამავე დროს კი ჩვენში ამ საკითხის გარშემო ძლიერ ცოტაა გაკეთებული. მუშაობას საჰაერო თავდაცვის დარგში ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო ორგანიზაციული ხასიათი. საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მას არ უთმობენ საკმაო ყურადღებას. ამავე დროს კი საჰაერო თავდაცვის როლის სათანადოთ შეუფასებლობას ახლა, მშვიდობიან დროში, შეუძლია დამღუპველ შედეგებამდე მიგვიყვანოს ომის პროცესში.

ფრანგი გენერალი **ნისსელი** თავის წიგნში „მოვამზადოთ საჰაერო თავდაცვა“ სწერს: „სამხედრო - საჰაერო ძალების გამოყენება ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნების მოსახლეობის წინაშე სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე (და, შესაძლოა, უკვე **ომის გამოცხადებამდე**) აყენებს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს“.

თავდაცვა-ავიაქიმი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივობის მოწინავე მძლავრი ორგანიზაცია, მოწოდებულია განახორციელოს მშრომელთა ორგანიზაცია საჰაერო თავდაცვის საქმეში და მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ამ საკითხის გარშემო. ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა საბჭოთა საზოგადოებრივობის მობილიზაციისათვის საჰაერო თავდაცვის საკითხების გარშემო. მშრომელ მასებს უნდა განემარტოს მნიშვნელობა საჰაერო თავდაცვისა, როგორც საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი რგოლის. ამის გარეშე ჩვენ საჰაერო თავდაცვას ვერ დავაყენებთ თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე.

პარტიულმა, კომკავშირის, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა აღმოფხვრან საჰაერო თავდაცვის დამღუპველი შეუფასებლობა, რომელსაც ზოგგან დღესაც აქვს ადგილი.

საჰაერო თავდაცვა გამოხატულებას უნდა პოულობდეს მთელს სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, რომელიც ომის საკითხის გარშემო სწარმოებს. იგი უნდა შეადგენდეს წითელი არმიისათვის ომის შემთხვევაში მტკიცე ძლიერი ზურგის მომზადების უაღრესად სერიოზულ ნაწილს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა მასიურ ჩაბმას საჰაერო თავდაცვის საქმეში. ქალები წარმოადგენენ ძირითად კადრს, რომლებიც ომის დროს უზრუნველჰყოფენ საჰაერო თავდაცვის ყველა ღონისძიებების გატარებას.

საჰაერო თავდაცვის ამოცანები დამკვრელ ტემპებით უნდა გატარდეს. არავითარ დაყოვნებას ეს საქმე არ ითმენს.

მე-16 პარტყრილობის დირექტივა—„ზურგის დროული და გეგმაშეწონილი მომზადება ომისათვის წარმოადგენს ჩვენი კავშირის—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ურყევი დასაყრდენის თავდაცვის უნარიანობის ერთ-ერთ მთავარ პირობას“,—ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შესრულდეს საჰაერო თავდაცვის მიმართ.

საჰაერო თავდაცვის უფროსი ინსტრუქტორი **პოლეტაევი.**

გაზის საწინააღმდეგო ნიღბის გაკეთება ცხენისთვის



მეცადინეობა გაზის საწინააღმდეგო ნიღბებში

### ჩვენი ამოცანები საჰაერო თავდაცვაში

ავიაციისა და ქიმიის განვითარება სხვაგვარად სვამს მომავალ ომის საკითხს.

ავიაციის მოქმედების რადიუსის გადიდება, ტვირთის აწევის გადიდება, ქიმიის გამოყენება ფართო მასშტაბით საჰაერო-ქიმიური თავდასხმის საფრთხეში აგდებს ზურგს. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ თანამედროვე ავიაცია ჯარის ცალკე ნაწილებს ჰაერში გადაყვანის საშუალებას იძლევა, მაშინ თვალსაჩინო გახდება რეალური საფრთხის არსებობა სამრეწველო და მმართველობის ცენტრებისათვის.

განსაკუთრებით ეს ეხება ამიერ-კავკასიას. ინგლისის გენერლები ირაქსა და სპარსეთში მგზავრობის დროს აცხადებენ, რომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის დაპყრობა ბათომ-თბილის-ბაქოს ხაზით. კიდევ მეტი, ინგლისი ყოველწლიურად ატარებს საჰაერო თავდაცვის მანევრებს და წვრთნის თავის მფრინავებს ქალაქ ბაქოზე თავდასხმაში.

შესაძლებელია, რომ ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მოაწყონ საჰაერო-ქიმიური თავდასხმა ამ.-კავკასიის მნიშვნელოვან სამრეწველო და პოლიტიკურ ცენტრებზე იმ მიზნით, რომ დაანგრიონ ისინი და ამ რიგად შეასუსტონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი. ქალაქების დანგრევა შეიძლება საფუგასო, ასანთები ან ქიმიური ყუმბარების გადმოგდებით აეროპლანებიდან, საწამლავ ნივთიერებათა გადმოსხმით და სხვ.

მტერი საჰაერო-ქიმიურ თავდასხმას მოაწყობს უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე და რკ. გზის კვანძებზე, ხიდებზე, ელსადგურებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე და მთავრობის დაწესებულებებზე. ამრიგად საჰაერო-ქიმიური თავდასხმის საფრთხე ყველა მშრომელებს ავალებს

1. იყონ მზად ყოველ წუთში მტრის საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად.
2. იყონ მზად მტრის მიერ გადმოსროლილ საჰაერო დესანტების მოსაგერიებლად.
3. იყონ მზად მტრის საჰაერო თავდასხმის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

ზურგის საჰაერო თავდაცვის საქმე ყველა მშრომელი მასების საქმეა. პასიური საჰაერო თავდაცვის ზუსტი ორგანიზაცია, მშრომელთა მასების წინასწარ მომზადება საჰაერო თავდაცვის წრეებში, მშრომელთა ყოფნა საჰაერო თავდაცვის პასიურ რაზმებში (ქიმიურ, სანქიმო-სანიტარულ, სახანძრო, აღმდგენ, რევოლიუციონური წესრიგის დამცველ რაზმებში და მათში აქტიური მონაწილეობა—ამა თუ იმ სამრეწველო ცენტრის თავდაცვის საწინდარია. საჰაერო თავდაცვის დისციპლინის მტკიცედ ცოდნა, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის საშუალებათა მტკიცედ ცოდნა, სწრაფი მოქმედება—ყოველი მშრომელის მოვალეობას შეადგენს. პასიური საჰაერო თავდაცვის მთავარი ამოცანებია:

ა) საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა საჰაერო თავდასხმის დროს
ბ) საჰაერო თავდასხმის შედეგების ლიკვიდაცია მოკლე ხანში;
გ) საჭირო დახმარების გაწევა დაზარალებულ მოსახლეობისათვის.

ვ. ჭ.

## დღეს მოხდება საჰაერო თავდასხმა თბილისზე

### როდესაც აეროპლანები ჩამოყრიან პირობითი ნიშნებს, ქალაქის ქუჩებზე არ უნდა დარჩეს არც ერთი კაცი

დღეს სასწავლო მიზნით მოხდება საჰაერო თავდასხმა თბილისზე საჰაერო თავდასხმის მდგომარეობის შესამოწმებლად.

სამხედრო მშენებლობის მთელი მიმდინარეობა გვიკარნახებს მტრის საჰაერო თავდასხმის მოგერიებისათვის გულდასმით მზადებას.

ყველასათვის ცხადია კონტრ-რევოლიუციონური ომის მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კაპიტალისტური მსოფლიო ცდილობს კრიზისის ბრჭყალებისაგან თავის დაღწევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გზით. სწარმოებს გაძლიერებული მზადება ომისათვის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო-საჰაერო ძალებს და ქიმიურ საშუალებებს. ამას მოწმობს შემდეგი ცნობები: ხუთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინგლისი, ჩრდ. ამერიკა, იტალია და იაპონია), რომლებიც მოწინავე ქვეყნებს წარმოადგენენ საჰაერო ძალების მხრივ, აქვთ სამხედრო 6250 აეროპლანი (1914 წელში ჰქონდათ მხოლოდ 263). ჩვენს დასავლეთ მეზობლებს: ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი და რუმინეთი—ამჟამად აქვთ 730 აეროპლანი (1928 წელში ჰქონდათ 620, ხოლო 1923 წელში —350).

ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ აეროპლანების ხარისხობრივი განვითარება: 1914 წელთან შედარებით აეროპლანების სისწრაფე გადიდდა: მზვერავების—150-დან 300 კილომეტრამდე საათში, ყუმბარის მსროლელების —230 კილომეტრამდე, გამანადგურებლების —350 კილომეტრამდე, გადიდდა შეუჩერებელი გადაფრენის მანძილი 240 კილომეტრიდან 1500-2000 კილომეტრამდე; ზევით აწევა—2,5 კილომეტრიდან 8410 მეტრამდე.

პარალელურად სწარმოებდა სამხედრო-ქიმიური საქმის გაძლიერება. ამჟამად სპეციალური ქიმიური ნაწილები შეიარაღებულნი არიან გაზის სავსე ისეთ ბალონებით, რომლებიც 3-ჯერ უფრო მჩატეა წინანდელებზე ხოლო შხამიანობის მხრით უფრო ძლიერია.

ქიმიის გამოყენება თვითმფრინავების მიერ უდიდეს ეფექტს იძლევა. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს თითქმის სრულიად არ იყო ცნობილი მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების საშუალებანი. ამჟამად არსებობს ახალი ხელსაწყოები აეროპლანიდან მომწამვლელ ნივთიერებათა მოსაფანტავად, 15 წამის განმავლობაში ერთ აეროპლანს, რომელსაც აქვს მომწამვლელ ნივთიერებათა ხელსაწყო, შეუძლია მოსწამლოს ფართობი 315. კვ. მეტრზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი თბილისის ფართობის მოწამვლა შეუძლია 60 აეროპლანს ერთ წუთში.

### დღევანდელი ვარჯიშობა საჰაერო თავდაცვაში

დღევანდელი ვარჯიშობა საჰაერო თავდაცვაში მიზნად ისახავს:

1. შევამოწმოთ მშრომელი მასების მზად ყოფნა საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად ამ თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისათვის;
2. პრაქტიკულად გაეწვრთნათ საჰაერო თავდაცვის პასიური რაზმები და შევამოწმოთ მათი მომზადება და მოქნილობა მუშაობაში.
3. შევამოწმოთ, რამდენად შეითვისეს თბილისის მშრომელმა მასებმა საჰაერო თავდაცვის დისციპლინა;
4. შევამოწმოთ თბილისის დამალვა სინათლისაგან:

მშრომელთა შეგნებული და აქტიური მონაწილეობა ვარჯიშობაში უზრუნველჰყოფს ამ ვარჯიშობის სარგებლობას, საშუალებას მისცემს მათ შეიგნონ საჰაერო თავდაცვის საჭიროება და საბოლოოდ აღმოფხვრან უდისციპლინობა საჰაერო თავდაცვის საქმეში

ვარჯიშობის დროს მოხდება ავიაციის თავდასხმა დღისით და ღამით, აეროპლანები გადმოყრიან ალამს, რაც ნიშნავს ყუმბარების აფეთქებას ან საწამლავ ნივთიერებათა გადმოსხმას; თავდასხმის მოახლოებას წინასწარ ამცნობს საჰაერო განგაშის სიგნალი. საჰაერო განგაშის სიგნალით დღისით:

ა) სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობა არ სწყდება;
ბ) მოძრაობა ქუჩაში თავდასხმის დროს სწყდება, გზაში მიმავალი ადამიანები თავს აფარებენ თაღებსა, სახურავებ ქვეშ და ეზოებში მოგერიების მომენტამდე.
გ) საჰაერო თავდაცვის პასიური რაზმების წევრები ასაწევ ობიექტებში (საჰაერო თავდაცვის ორგანოს მითითებით) ცხადდებიან რაზმების შეკრების ადგილზე საუწყებო ინსტრუქციების თანახმად.
დ) ფანჯრები ყველა შენობებში მაგრად უნდა დაიხუროს.

ღამით უნდა ასრულდეს ის, რაც დღისით და აგრეთვე საჭიროა სინათლის ჩაქრობა ქუჩებში, შიგნითაც ყველა სახლებში და დაწესებულებებში (გარდა იმ დაწესებულებებისა, რომლებიც საჰაერო თავდაცვის ორგანოს განსაკუთრებულ სიაშია.

იმ შემთხვევაში, თუ სინათლე არ იქნება ჩაქრობილი, საჭიროა გაუმჭვირვალ ფარდება ჩამოფარება ფანჯრებზე

სინათლის ჩაქრობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაცული იქნას დისციპლინა, ადგილი არ ექნეს პანიკას, გაძლიერდეს რევოლიუციონური წესრიგის დაცვა და ბრძოლა ქურდობისა და სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

თავდასხმის დამთავრების შემდეგ მოცემული იქნება სიგნალი „შეწყდეს“, რის შემდეგ ცხოვრება ნორმალური წესით გრძელდება:

პასიური რაზმები შეუდგებიან თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციას

## რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ

დღეიდან 8 სექტემბრამდე თბილისში მოეწყობა საჰაერო თავდაცვის მანევრები (სწავლება), რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს საჰაერო ფლოტი და ქალაქის მთელი მოსახლეობა,

მანევრების განმავლობაში მოეწყობა თვითმფრინავების რამოდენიმე „თავდასხმა“ ქალაქზე, რომლის დროსაც თვითმფრინავები ქალაქის ცალკე რაიონებს დაუშენენ „ყუმბარებს“ და ცალკე უბნებს „მოწამლავენ“ მხრჩოლავი (უვნებელი) ნივთიერებით.

ღამე მოწყობილ თავდასხმის დროს ქალაქი სრულიად ჩაბნელებული იქნება, რომ „თავდამსხმელებს“ არ მიეცეს მიზანში ამოღების საშუალება.

სწავლება-მანევრების ორგანიზაციულად ჩატარების და მოსახლეობის პირადი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, მოსახლეობამ უნდა დაიცვას შემდეგი წესები: უნდა იცოდეს საჰაერო თავდაცვის სიგნალები. ქალაქზე „თავდასხმის“ მოწყობამდე 8-10 წუთით ადრე გაიმართება „საჰაერო განგაში“.

თვითმფრინავების უკან წასვლის შემდეგ მისცემენ „ქიმიური განგაშის შეწყვეტის“ სიგნალს.

მოწამლული ადგილების გაწმენდის შემდეგ მისცემენ ქიმიური საფრთხის შეწყვეტის“ სიგნალს, რომელიც 1-დან 2 წუთამდე გასტანს.

საჰაერო საფრთხის სიგნალის შემდეგ მოსახლეობა უნდა ეცადოს არ დარჩეს ქუჩაში (თავი შეაფაროს სახლებში, ჭიშკრებში). მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც თავდასხმა სამსახურში მოუსწრობს, რჩებიან ადგილზე და აუცილებლად ემორჩილებიან ადმინისტრაციის განკარგულებასა და ინსტრუქციებს.

ავტომობილებისა და ტრამვაის მოძრაობა თავდასხმის დროს სწყდება. ავტომობილები და ეტლები თავდასხმის დროს მთავარ ქუჩებიდან გადადიან შესახვევებში და დგებიან მარჯვენა მხარეს, ისე რომ მარცხნივ გზა გახსნილი იქნეს.

თუ საჰაერო საფრთხის განგაში საღამოს ან ღამე მოხდა, მოსახლეობამ დაუყოვნებლივ უნდა ჩააქროს სახლში შუქი ან ფანჯრებზე ააფაროს ისეთი საგნები, რომლებიც შუქს გარეთ არ გამოუშვებენ. მაღაზიების და ვიტრინების პატრონებმა ღამე მაღაზიებში შუქი აუცილებლად უნდა ჩააქრონ. სასადილოები და რესტორანები ღამე განგაშის დაწყებისთანავე ვალდებული არიან ფანჯრებზე ააფარონ ისეთი ნივთები, რომლებიც შუქს გარეთ არ გაუშვებენ. მათ შეუძლიათ სტუმრები არ დაითხოვონ სასადილოდან, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიცვან წესრიგი, ლამფები მოაშორონ ფანჯრებს და ზევიდან ჩამოაფარონ შესახვევ ქაღალდისაგან გაკეთებული ღრმა კონუსები, რომ შუქი არ მოხვდეს კარებს ან ფანჯრებს.

კინო და თეატრების ადმინისტრაცია ქალაქის დაბნელების თანავე ვალდებული არიან გააფრთხილონ მაყურებლები 15 წუთის განმავლობაში არ დასტოვონ თავისი ადგილები და ელოდონ განათებას.

„მოწამლულ“ ადგილზე მოხვედრილმა მოქალაქეებმა დაუყოვნებლივ უნდა ჩაიცვან გაზების საწინააღმდეგო ტანისამოსი, ხოლო თუ ასეთი არ აქვთ გადაყვანილი უნდა იქნან უშიშარ ადგილზე.

„საჰაერო საფრთხის შეწყვეტის“ სიგნალის შემდეგ მოსახლეობას შეუძლია ქუჩაში სიარული გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც კიდევ არ არიან გაწმენდილი. ასეთ ადგილებთან იქნება საჭირო ნიშნები: „მოწამლულია“, „გზა არ არის“ და სხვა:

ამა თუ იმ ადგილზე ყუმბარის № მხრჩოლავი ნივთიერების ნიშნების აღმოჩენისთანავე უნდა ეცნობოს მახლობელ მეეზოვეს ან მილიციელს. უბედური შემთხვევების დროს ჩვეულებრივი წესით გამოძახებული უნდა იქნეს სასწრაფო დახმარება, ცეცხლის მქრობელი რაზმი და სხვ.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე დამთავრებულია. თავდაცვა-ავიაქიმის რაზმები განაწილებული არიან ცალკე უბნებში და საჭიროების დროს სასწრაფოდ იქნებიან გაყვანილი სამუშაოდ.

#### ბრძოლა პანიკისა და პროვოკაციის წინააღმდეგ

ვარჯიშობასთან დაკავშირებით მოსალოდნელია პანიკისა და სხვადასხვა პროვოკაციული ხმების გავრცელება ცალკე ელემენტების მიერ: საჭიროა რევოლიუციონური წესრიგის გაძლიერება, მშრომელთა მასების შეუსუსტებელი სიფხიზლე და ყველა ისეთი მომენტების ძირშივე აღკვეთა, რომლებიც ხელს შეუშლიან ვარჯიშობის გეგმაშეზომილად ჩატარებას.

მშრომელი მასების რევოლიუციონური დისციპლინა, სიმტკიცე და თავგანწირული მუშაობა უზრუნველჰყოფენ ამ ვარჯიშობის წარმატებით ჩატარებას და საჰაერო თავდაცვის ამოცანების შესრულებას

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისმა იზარალა 6 მილიარდი ოქროს მანეთი

ლონდონი, „იზვესტია"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება:

„ის მძიმე მდგომარეობა, რომელსაც განიცდის ინგლისის ფინანსიური კაპიტალი მსოფლიო კრიზისის გამო, განსაკუთრებით ცხადათ ჩანს ცნობებიდან ინგლისის მიერ უცხოეთში დაბანდებულ კაპიტალის შესახებ, რომელიც მოჰყავს ყოველკვირეულ ჟურნალ „ეკონომისტ"-ს.

ეს ცნობები ეხება იმ დაბანდებას, რომელიც გამოიხატება უცხოეთის სამრეწველო საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციებისა და უცხოეთის სახელმწიფო და მუნიციპალურ სესხების ობლიგაციების შეძენაში. დაბანდების საერთო თანხა აღწევს 3.391 მილ. გირვანქა სტერლინგს (ე. ი. თითქმის 34 მილიარდ ოქროს მანეთს). სხვადასხვა ქვეყნებში ეს თანხა ნაწილდება ამგვარად: ინდოეთისა და დომინიონების საწარმოებსა და სესხებში ინგლისის ფინანსიურმა კაპიტალმა დაბანდა 1.198 მილ., შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ - ამერიკაში — 839 მილ., ევროპაში — 382 მილ., დანარჩენ ქვეყნებში — 252 მილ.

ეს თანხები გამოანგარიშებულია აქციებისა და ობლიგაციების ნომინალური ღირებულების მიხედვით. ნამდვილად კი ინგლისის კაპიტალი მეტ წილად უფრო მაღალი კურსით იძენდა მათ, რადგან შეძენა ხდებოდა სამრეწველო განვითარების პერიოდში, როცა კურსი მაღლა იწევდა.

ამჟამად სულ სხვა მდგომარეობაა. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო განვითარება შესცვალა კრიზისმა, რომელიც განუწყვეტლივ ღრმავდება; ყველა საწარმოთა შემოსავლიანობა დაეცა, მრავალი „პერსპექტივიანი" საწარმო ზარალს იძლევა, დანარჩენი ან წარმოებას ამცირებს ან იხურება. ამასთან დაკავშირებით ეცემა ფასიანი ქაღალდების კურსი ყველა მსოფლიო ბირჟებზე. „ეკონომისტ"-ის გამოანგარიშებით, ინგლისის კაპიტალმა მის მიერ შეძენილ აქციებსა და ობლიგაციებში ნომინალურ ღირებულებაზე დაახლოებით 800 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტი გადიხადა, ეხლა კი მათი საერთო ღირებულება ნომინალზე ნაკლებია ამდენივე თანხით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის ფინანსიურმა კაპიტალმა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამო უცხოეთში „ნაყოფიერად" დაბანდებულ კაპიტალზე დაჰკარგა 600 მილ. გირ. სტერლინგი (ე. ი. დაახლოებით 6 მილიარდი ოქროს მანეთი) (ადს).

# ესპანეთში ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა

### სევილიაში ისევ მღელვარებაა

მადრიდი, 2 სექტემბერი. მოდის ცნობები, რომ სევილიაში ადგილი აქვს ახალ მღელვარებას. სევილიის პროფკავშირები მოითხოვენ სრულ თავისუფლებას თავიანთი მუშაობისათვის, აგრეთვე პოლიტპატიმრების განთავისუფლებას. პროვინციის ბევრ ადგილას გაფიცვები გრძელდება. სოციალისტების რამდენიმე დეპუტატი თავიანთი საპარლამენტო ფრაქციისაგან მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას და აცხადებს, რომ უმუშევრობა პროვინციაში იწვევს მუშათა მასების სასოწარკვეთილებას.

გაანთავისუფლეს ბარსელონას ზოგიერთი პოლიტპატიმარი, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს (ადს).

### საყოველთაო გაფიცვა მადრიდში

მადრიდი, 2 სექტემბერი. მადრიდის სამოქალაქო გვარდიის თავდასხმამ მუშებზე და შემთხვევით გამვლელებზე, რასაც სისხლის ღვრა და მსხვერპლი მოჰყვა, სერიოზული შედეგები გამოიწვია. 1-ლ სექტემბერს გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა; ქალაქის ცხოვრება ჩაკვდა. მუშაობდენ მხოლოდ წყალსადენის და ელსადგურების მუშები. მუშები მოითხოვენ გუბერნატორის გადაყენებას და სამოქალაქო გვარდიის წევრების გასამართლებას. ხელისუფლება გადაჭრით უარს ამბობს მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

მდგომარეობა სარაგოსაში ძალზე გამწვავებულია, თითქმის ყველა ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია. ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში დემონსტრაციები მოაწყვეს მუშათა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა, რომლებზედაც იერიში მიიტანა პოლიციამ. პოლიციამ ბევრჯერ გაისროლა და რამდენიმე კაცი დასჭრა. დააპატიმრეს მუშები. შრომის ნაციონალური კონფედერაციის პროფკავშირები დახურულია. ხელისუფლებამ მობილიზაცია უყო ყველა შეიარაღებულ ძალებს. ქალაქი წარმოადგენდა ბრძოლის ველს. მოსახლეობა დაშინებულია და ვერ ბედავს ქუჩაში გამოსვლას (ადს).

# გერმანიის მუშების ბრძოლა

### მუშათა უბნებს ალყა შემოარტყეს

ბერლინი; 2 სექტემბერი. დიუსელდორფში 1 სექტემბერს პოლიციის მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის მუშურ ნაწილს. პოლიციელები ყველგან გულმოდგინედ ჩხრეკდენ მუშათა სახლებს. გასროლის მანძილზე პოლიციელები გაიძახოდენ: „ფანჯრები დახურეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გესვრით" (ადს).

### გაფიცული მუშები პროტესტს აცხადებენ რეფორმისტების გამცემლობის წინააღმდეგ

ბერლინი, 2 სექტემბერი. რეფორმისტებმა დიუსელდორფში მოიწვიეს საქარავანო პარკის გაფიცულ მუშათა საერთო კრება იმ მიზნით, რომ იძულებული გაეხადათ მუშები დაბრუნებულიყვნენ სამუშაოზე. გაფიცული მუშები ცხარე პროტესტს აცხადებდენ პროფბიუროკრატების გამცემლობის წინააღმდეგ. რეფორმისტები ჩამოაგდეს ტრიბუნიდან და მათი ადგილი დაიჭირეს რევოლიუციონური პროფოპოზიციის წევრებმა, რომლებიც გამორიცხეს პროფკავშირიდან. პროფოპოზიციის წევრები მოუწოდებდენ მუშებს გაბედული ბრძოლისაკენ. (ადს).

### კომფრაქციის მოთხოვნა ლანდტაგის მოწვევის შესახებ უარყოფილია

ბერლინი, 2 სექტემბერი. პრუსიის ლანდტაგის უხუცესთა საბჭომ უარყო კომფრაქციის მოთხოვნა პრუსიის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების და ლანდტაგის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ (ადს).

### შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის

ბერლინი, 1 სექტემბერი. 31 აგვისტოს, გერმანიის სამრეწველო ცენტრებში ბრიუნინგის მთავრობის წინააღმდეგ და პურისა და სამუშაოსათვის გამართულ დემონსტრაციების დროს მოხდა დიდი შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის (ადს).

# ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის წინ

ბერლინი, 2 სექტემბერი. ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომკავშირმა ბერლინში ჩაატარა მასიური მიტინგი. მიტინგს მრავალი ათასი ახალგაზრდა მუშა და მუშა-ქალი დაესწრო. მიტინგის დროს კომკავშირმა 20 საუკეთესო კომკავშირელი გადასცა პარტიას. ბევრი ბი (ადს) პიონერი ზეიმით მიიღეს კომკავშირში. (ადს).

პარიზი, 2 სექტემბერი. „ლუმანიტე"-ს ცნობით, საფრანგეთში ფართოდ გაიშალა მზადება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად. ბევრ ქალაქში იმართება ახალგაზრდათა მასიური მიტინგები (ადს).

### იმპერიალისტების „განიარაღება"



ინგლისის წყალქვეშა კრეისერი „ობერონ"

# უკანასკნელი ცნობები

### საკოორდინაციო ქვეკომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა

ჟენევა, 2 სექტემბერი. საკოორდინაციო ქვეკომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

ევროპის კომისიის პლენუმისათვის მოხსენების შესადგენად არჩეულია სარედაქციო კომისია, რომელშიც შედიან ამხ. ლიტვინოვი და ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის; გერმანიის; შვეციის; ინგლისის, ჰოლანდიის და პოლონეთის წარმომადგენლები. ეს კომისია განიხილავს აგრეთვე საკითხს, თუ რა ბედი ეწვევა ეკონომიური თავდაუსხმელობის საბჭოთა პროექტს. (ადს).

### მარცვლეულის ქვეკომისიის მოხსენება საკოორდინაციო ქვეკომისიის სესიაზე

ჟენევა, 2 სექტემბერი. საკოორდინაციო ქვეკომისიამ მოისმინა მარცვლეულის ქვეკომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ფრანსუა პონსემ.

კამათის დროს ამხ. ლიტვინოვმა მოაგონა ქვეკომისიას საბჭოთა მთავრობის პოზიცია ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის პრეფერენციალური რეჟიმის დამყარების საკითხში.

„მარცვლეულის ქვეკომისიის მოხსენებაში გამოხატული ტენდენციები,—სთქვა ამხ. ლიტვინოვმა.—მეტად ასშიშია, რადგან პრეფერენციალური რეჟიმი ნიშნავს პრივილეგიებისა და უპირატესობის მინიჭებას ექსპორტიორ ქვეყნების ერთი ჯგუფისათვის დანარჩენთა საზარალოდ. თვით პრეფერენციის მიღების ფაქტი არის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნის პრინციპის დარღვევა და გზას უხსნის ასეთ დარღვევათა მთელ სისტემას".

საბჭოთა დელეგატების პირდაპირ შეკითხვაზე მარცვლეულის კომისიაში აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების შესახებ, ქვეკომისიის თავმჯდომარემ ფრანსუა პონსემ უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირი იქ არ არის შეტანილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროპაში უმთავრესად მარცვლეული გააქვთ დუნაის ქვეყნებს და საბჭოთა კავშირს. ეხლა ევროპის ექსპორტიორი ქვეყნები ხელოვნურად იყოფიან ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთი ჯგუფი, რომელშიც შედიან ყველა ექსპორტიორები საბჭოთა კავშირის გამოკლებით, ღებულობენ პრეფერენციებს, მეორე კი, რომელიც მარტო სა- ლია ასეთ უპირატესობას. ბჭოთა კავშირისაგან შესდგება, მოკლებუ-

„ევროპის კომისიას, — ამბობს შემდეგ ამხ. ლიტვინოვი, — სურს დააკანონოს დისკრიმინაცია საბჭოთა მარცვლეულის ექსპორტის წინააღმდეგ. წარმოუდგენელია ევროპის სოლიდარობა, როცა ევროპის ქვეყნებს ჰყოფენ თხებად და ცხვრებად — პრივილეგიურ და დისკრიმინირებულ ქვეყნებად. ზემოაღნიშნულ მოსაზრებების გამო იძულებული ვარ გავილაშქრო მარცვლეულის ქვეკომისიის წინადადების წინააღმდეგ".

ფრანსუა პონსე თავის პასუხში ამტკიცებს, რომ არ ფიქრობენ საბჭ. კავშ. დისკრიმინაციას და ცდილობს დაამტკიცოს პრეფერენციის დროებითი ხასიათი. შემდეგ ქვეკომისია იწონებს მარცვლეულის ქვეკომისიის მოხსენებას, ამხ. ლიტვინოვი წინააღმდეგ აძლევს ხმას (ადს).

### მოითხოვენ მაკდონალდის გადადგომას

ლონდონი, 2 სექტემბერი. ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ სიგემში (საარჩევნო ოლქი, რომლის წარმომადგენლად პალატაში არის მაკდონალდი) მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მაკდონალდის გადადგომას. ამის საპასუხოდ მაკდონალდმა განაცხადა, რომ იგი ამჟამად არ გადადგება, რადგან ეს იქნებოდა „მოვალეობისაგან თავის განთავისუფლების მომასწავებელი" (ადს).

### გერმანიის რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობაზე

ბერლინი, 2 სექტემბერი. ფრანკფურტში რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობის სხდომაზე გერმანიის რეფორმისტული პროფკავშირების გამგეობის წევრმა შპლიტმა გაიმეორა საბჭოთა კავშირის მტრების ცნობილი ცილისწამება „წითელი დემპინგის" შესახებ და სთქვა:

„საბჭოთა კავშირი თავის მეურნეობას აწყობს იმისათვის, რომ წითელი დემპინგის საშუალებით მოსპოს განათლებული მსოფლიო".

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე ხეზე მომუშავეთა რეფორმისტული პროფკავშირის თავმჯდომარემ ტარნოვმა, რომელმაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეიპციგის ყრილობაზე განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია არის „კაპიტალიზმის მკურნალი"-ო. ტარნოვი უარყოფს ბოლშევიზმის გზას, რადგან მისი აზრით „ბოლშევიზმი არ არის სოციალიზმი".

ყრილობის სხდომები ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ რეფორმისტული პროფკავშირები სრულიად მოსწყდენ წევრთა მასის ინტერესებს და განწყობილებას და რომ ისინი აშკარად შეუერთდენ ანტისაბჭოთა ფრონტს. (ადს).

# გერმანიის რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობა

ფრანკფურტი - მაინზე, 1 სექტემბერი. რეფორმისტული პროფკავშირების კონგრესზე, პროფკავშირების გამგეობის თავმჯდომარის ლეიპარტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში მონაწილეობას იღებდნენ, უმთავრესად, ყოფილი პროფკავშირული მოხელეები. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს გამგეობის მუშაობას.

მთელი რიგი ორგანიზაციების წინადადებებს, რომლებიც მიმართული იყო მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის წინააღმდეგ და რომლებიც მოითხოვდნენ მასიური გაფიცვებით და იარაღით ხელში გამოსვლას მთავრობის რეაქციონური ღონისძიებათა წინააღმდეგ, კენჭიც არ უყარეს. (ადს).

### ყრილობის გახსნა

ბერლინი, 1 სექტემბერი. ფრანკფურტში (მაინზე) გაიხსნა გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირების ყრილობა, რომელსაც 300 დელეგატი ესწრება. დელეგატებად არიან მხოლოდ რაიონული და ადგილობრივი პროფორგანიზაციათა მდივნები. ყრილობის წინ გამართულ მიტინგზე, ყველა რეფორმისტული ორგანიზაციების მობილიზაციის მიუხედავად, მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 6.000 კაცმა, თუმცა იმ რაიონში, სადაც კონგრესი სწარმოებს რეფორმისტულ პროფკავშირებს 260.000 წევრი ჰყავთ.

ფრანკფურტის მუშებმა მიტინგისათვის ბოიკოტის გამოცხადებით ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი დამოკიდებულება კონგრესისადმი. კონგრესის გახსნისას გამოსულმა გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირთა გამგეობის მდივანმა ეგერტმა ბრალი დასდო „დრომოჭმულ კაპიტალისტურ სისტემას" სხვადასხვა ცოდვებში და განაცხადა, რომ „კონგრესმა უნდა გამოამჟღავნოს მეურნეობის დამნაშავე ხელმძღვანელები", რომელთა მოქმედებამ გამოიწვია კატასტროფიული კრიზისი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გერმ. რეფორმისტ. პროფკავშირთა გამგეობის თავმჯდომარე ლეიპარტი,რომელმაც ანუგეშა მსმენელები იმით, რომ გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა, რეფორმისტული პროფკავშირების წყალობით, გერმანიის პროფკავშირთა მე-3 კონგრესის შემდეგ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. კრიზისის შესახებ ლაპარაკის დროს, ლეიპარტმა განაცხადა, რომ „პროფკავშირები ყოველივე პასუხისმგებლობას იხსნიან თავიდან დღევანდელი მდგომარეობისათვის".

ვრცელი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა შრომის მინისტრი შტეგერვალდი, რომელმაც განაცხადა: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ყოველი თქვენთაგანი, რომელიც არ უნდა იყოს ჩემს ადგილზე გერმანიის დღევანდელი მდგომარეობის გამო, ვერავითარ სხვა პოლიტიკას ვერ გაატარებს გარდა იმ პოლიტიკისა, რომელსაც მე ვატარებ". შტეგერვალდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალური პოლიტიკა ამ ჟამად ისეთ ღრმა კრიზისს განიცდის, რომლის მსგავსი მას არ განუცდია მთელი თავისი არსებობის პერიოდში.

„ძლიერ საეჭვოა,—სთქვა მან შემდეგ,—რომ შევსძლოთ, მტკიცე ეკონომიკის რეჟიმის მიუხედავად, თავის დაღწევა უმუშევრობისაგან დასაზღვევი გადასახადების გადიდებით მომავალ ზამთარში".

შტეგერვალდი გაკვრით შეეხო უმუშევრობის გამო დახმარების შემცირების საჭიროებას და ფულადი დახმარების შეცვლას საზოგადოებრივი კვების მოწყობით უმუშევართათვის. შემდეგ შტეგერვალდმა ილაპარაკა უმუშევართა შესახებ და განაცხადა; რომ დიდი ყურადღების ღირსია საკითხი ქარხნების მიერ შენაცვლებით წყებების შემოღების შესახებ; რომლის დროსაც მუშები თავიანთ ადგილს დაუთმობენ უმუშევრებს: ამა თუ იმ ქარხნის მუშები იმუშავებენ ორ კვირას; ამის შემდეგ ორი კვირით ისვენებენ; ხოლო ამ ხნის განმავლობაში იმუშავებს მეორე წყება უმუშევართაგან. (ადს).

# შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა შემცირდა 50 პროცენტით

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. 1929 წელთან შედარებით, ჩრდილოეთ-ამერიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მიმდინარე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში შემცირდა 50 პროცენტით (ადს).

### ჩრდილოეთ - ამერიკის რესპუბლიკის „განიარაღება"

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. 1931 წლის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკის არმიის და ფლოტისათვის შეძენილ იქნა 12.660.000 დოლარად ღირებული აეროპლანები, ე. ი. 57,8 პროცენტით იმაზე მეტი, რაც დახარჯული იყო გასული წლის პირველ ნახევარში. ამჟამად შენდება 64 ყუმბარის მსროლელის აგება (ადს).

# ილიჩის ბუხტის ბოლშევიკები პირობას სდებენ

## შემჭიდროებული რიგებით მოკლე დროში აღმოფხვრან ჩამორჩენა და მედგრად იბრძოლონ ნავთის გეგმის შესასრულებლად

### ილიჩის ბუხტის პარტკოლექტივის რეზოლიუცია

ბაქო, 3 სექტემბერი. ილიჩის ბუხტის პარტკოლექტივმა განიხილა რა საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება ბაქოს ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, მთლიანად უერთდება და იზიარებს ამ გადაწყვეტილებას. პარტკოლექტივი მთლიანად და სავსებით იწონებს უპრინციპო დაჯგუფებების ორგანიზატორების და თვითკრიტიკის ჩამხშობთა: მამუდ ზეინალოვის, ასრიევის, მეშკოვის, სურინინის და სხვ. სამუშაოდან მოხსნას, რომლებსაც თავიანთი ანტიპარტიული მოქმედებით არევ დარევა შეჰქონდათ აზერბეიჯანის ორგანიზაციის ბოლშევიკურ მუშაობაში. პარტკოლექტივი გადაჭრით გმობს და სავსებით იმიჯნება ბაილოვ - ბიბი-ეიბათის რაიკომის და ბუხტის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისაგან, რომლებიც დაადგენ თვითკრიტიკის უხეშად ჩახშობის, ჯგუფური ბრძოლის და ხელმძღვანელობის სახელის გატეხის გზას, რითაც დაარღვიეს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება.

პარტკოლექტივი სთხოვს აზერბეიჯანის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები დაჯგუფებათა ორგანიზატორების — იუსუფ კასიმოვის, მამუდ ზეინალოვის, ასრიევის, მეშკოვის, ვახრამეევის, სურინინის და სხვების მიმართ.

პარტკოლექტივი აღნიშნავს მთელ რიგ უდიდეს წარმატებებს, რომელიც მიღწეულ იქნა აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხ. პოლონსკი მეთაურობს როგორც ნავთისა და ბამბისათვის ბრძოლის დარგში, ისე თურქული პროლეტარული მასების დაწინაურებისა და აღზრდის საქმეში.

პარტკოლექტივი აღშფოთებით აღნიშნავს პარტიის წევრისათვის შეუფერებელ იუსუფ კასუმოვის საქციელს, რომელიც ხშირად აწარმოებდა ჯგუფურ ბრძოლას აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და რითაც არღვევდა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისათვის მიცემულ პირობას ყოველგვარი ჯგუფური ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. პარტკოლექტივი მოითხოვს აზერბეიჯანის ცენტრალური საკონტროლო კომისიისაგან იუსუფ კასუმოვის პარტიის რიგებიდან გამორიცხვას. პარტკოლექტივი სცნობს, რომ კოლექტივის ბიურო ვახრამეევის მეთაურობით სრული პასუხისმგებელია ბუხტში შექმნილ მდგომარეობისათვის, ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისათვის და ამიტომ აუცილებელ საჭიროებად სთვლის ბიუროს მთელი შემადგენლობის გადარჩევას.

პარტკოლექტივი პირობას აძლევს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტს მასში, რომ ბუხტის ბოლშევიკები, შემჭიდროებულნი ბუხტისა და რაიკომის ახალი ხელმძღვანელობის ირგვლივ, სულ მალე საქმით დაანახვებენ ბოლშევიკურ ტემპებს ნავთისათვის ბრძოლაში და მოკლე ხანში მოაღწევენ ჩამორჩენის აღმოფხვრას. პარტკოლექტივი წინადადებას აძლევს ახალ ბიუროს დაუყოვნებლივ შეადგინოს ბუხტში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ოპერატიული გეგმა და სთხოვს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტს და „აზნეფტ" უახლოეს დღეებში გაგზავნოს ბუხტში ტეხნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა.

ბუხტში თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტის დაფარვისათვის, „სოციალისტიჩესკაია ბუხტა"-ს რედაქციის სრული უმოქმედობისათვის და საბუქსირო ბრიგადების დახმარების უგულებელყოფისათვის განთავისუფლებულ იქნას სამუშაოდან რედაქტორი მოჩალინი.

პარტკოლექტივი სიტყვას აძლევს საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტს, აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტს, რომ ის მზად არის იბრძოლოს ნავთისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის.

პარტკოლექტივი დაპირებას აძლევს აზერბეიჯანის მთელ ორგანიზაციას მასში, რომ ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის მეოხებით ბუხტში შექმნილი ღრმა ჩამორჩენა ბუხტის ბოლშევიკების მჭუმბრი ბოლშევიკური შეტევით მოკლე დროში იქნება აღმოფხვრილი.

პარტკოლექტივი ესალმება აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ცენტრალურ ორგანოს — „ბაკინსკი რაბოჩი"-ს, რომელმაც შესძლო გამოემჟღავნებია ბუხტში ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები და მწვავედ დაერტყა თვითკრიტიკის ჩამხშობებისა და დაჯგუფებათა ხელისჩამდგმელებისათვის.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალურ ორგანოს — გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს!

გაუმარჯოს საქ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტს, აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტს!

გაუმარჯოს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

# უპრინციპო დაჯგუფებათა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ

(აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბიუროების გაერთიანებული სხდომის დადგენილებიდან)

ბაქო, 3 სექტემბერი. აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებულმა ბიურომ მოისმინა და განიხილა ცნობა აზერბეიჯანის და ბაქოს ორგანიზაციებში შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და განიხილა საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის 30 აგვისტოს დადგენილება, მთლიანად და სავსებით იწონებს და უერთდება მას. აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული ბიურო აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ბაქოს პროლეტარიატმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მან პირველმა შეასრულა საბჭოთა კავშირში ნავთის ხუთწლიანი გეგმა 2-ნახევარ წელიწადში, ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით აზერბეიჯანის სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს უდიდესი წარმატებები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ბამბისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის.

აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული ბიურო დაჯგუფებათა მონაწილეების ახალ თავდასხმას აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, აფასებს როგორც რევანშისებურ უპრინციპო ანტიპარტიულ ბრძოლათ აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის სწორი ხაზის წინააღმდეგ. თავიანთ ბრძოლაში დაჯგუფებათა ხელმძღვანელები სარგებლობდენ პროვოკაციული ხმების და ოპოზიციონური ჭორების გავრცელების მეთოდებით აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული ბიუროს გაფართოებული სხდომა საჭიროდ სთვლის დაჯგუფებების და თვითკრიტიკის ჩამხშობთა ხელისჩამდგმელების მიმართ მიღებულ იქნას პარტსასჯელის ყველაზე უფრო მკაცრი ზომები.

აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკა და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული ბიურო მთლიანად უერთდება და იწონებს აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას მდივნის ამხ. რაჯაბოვის განთავისუფლებას. ა) განთავისუფლებულ იქნას ამხ. რაჯაბოვი ცეკას მდივნის თანამდებობიდან, კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბიუროებიდან გამოყვანით. ბ) მიღებულ იქნას ცნობად ამხ. რაჯაბოვის განცხადება იმის შესახებ, რომ ის არასწორად და შეცდარად აფასებს მის მონაწილეობას ჯგუფურ ბრძოლაში აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რასაც შეეძლო ჯგუფური ბრძოლა გადმოეტანა კომკავშირში, და რომ ის მთლიანად და სავსებით უერთდება საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის 30 აგვისტოს დადგენილებას და გმობს დაჯგუფებას, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, გ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბიურო ადგენს: აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას პლენუმზე გადატანილ იქნას დასამტკიცებლად აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად კომკავშირის ა-კ. სამხარეო კომიტეტის მესამე მდივანი ამხ. ბალა ბაბიროვი.

ცეკას და ბაქოს კომიტეტის გაერთიანებული ბიურო გმობს ამხ. ფარზალი ახმედოვის უპრინციპო და ცუდის პოზიციას, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მან უარი განაცხადა განეხილა საკითხი ბუხტში თვითკრიტიკის ჩახშობის შესახებ, და აგრეთვე მისი წინადადება ამავე საკითხზე ბაქოს კომიტეტის 28 აგვისტოს სწორი დადგენილების უარყოფის შესახებ, რაც ხრწნის კომკავშირის რიგების მთლიანობას, გამომდის რა აქედან, ბიურო შეუძლებლად სთვლის კომკავშირში ხელმძღვანელ სამუშაოზე მის შემდგომ გამოყენებას. მოიხსნას ამხ. ფარზალი ახმედოვი აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობიდან და განთავისუფლებულ იქნას კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან.

ბიურო აღნიშნავს, რომ კომკავშირის ბაილოვის რაიკომის ხელმძღვანელობამ მიუხედავად კომკავშირის ბაქოს კომიტეტის თავის დროზე მითითებისა (კომკავშირის ბაქოს კომიტეტის ბიუროს 28 აგვისტოს დადგენილება), არ დაიკავა ნამდვილი ბოლშევიკური პოზიცია ბაილოვის რაიონის შინაპარტიულ საქმეებში, ვერ შესძლო კომკავშირის მასების მობილიზაცია ბაქოს კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების ირგვლივ და გადამჭრელი ბრძოლის წარმოება აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაილოვის რაიკომში და ბუხტის კოლექტივში დაჯგუფებების წინააღმდეგ, პირიქით ის სარგებლობდა ბაილოვის რაიკომის დაჯგუფებათა მონაწილეების მეთოდებით და უკრძალავდა კომკავშირის უჯრედებს ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილების და „ბაკინსკი რაბოჩი"-ს წერილების განხილვას (ბუხტა, ადგილობრივი საავტომობილო ტრანსპორტი, მექანიკური სახელოსნო და სხვ.). ა) მოიხსნას სამუშაოდან კომკავშირის ბაილოვის რაიკომის მდივანი ამხ. რომანოვსკი და განთავისუფლებულ იქნას იგი ბაქოს კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან, ბ) გაუქმებულ იქნას კომკავშირის ბაილოვის რაიკომის 27 აგვისტოს სავსებით არასწორი დადგენილება თვითკრიტიკის ჩახშობის და ბუხტში „ბაკინსკი რაბოჩი"-ს გამსვლელი რედაქციის დაუშვებლობის შესახებ, რომლის გამო კომკავშირის ბაილოვის ორგანიზაციამ ვერ აიღო სწორი ორიენტაცია, გ) გაუქმებულ იქნას კომკავშირის ბაილოვის რაიკომის დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა ამხ. კონსტანტინოვსკის დაეპირდაპირებია კომკავშირის რაიკომი პარტიის რაიკომისათვის.

აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას ბიურო სცნობს, რომ კომკავშირის ქალაქის რაიკომის მდივანმა ამხ. ვოლინმა გამოიჩინა ანტიპარტიული დაჯგუფებათა მონაწილეების (თარხანოვი აზერბ. კ.პ. (ბ) ცეკა, რუზგოვი, ველიევი — აზერბ. კ.პ. (ბ) რაიკომი), ინსტრუქტაჟის ფაქტების სრული მიჩქმალვა და მათი გამომჟღავნების ნაცვლად დაადგა მათი დაფარვის გზას. მოიხსნას ამხ. ვოლინი კომკავშირის რაიკომის მდივნობიდან და განთავისუფლებულ იქნას კომკავშირის ბაქოს კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან.

აუცილებელ საჭიროდ ჩაითვალოს სექტემბრის პირველ დეკადაში კომკავშირის ცეკას პლენუმის მოწვევა.

გამოეცხადოს საყვედური გაზ. „მშჩი"-ს რედაქტორის მოადგილეს ამხ. აბდულაევს ბუხტში ჩამორჩენებისა და თვითკრიტიკის ჩახშობის შესახებ ცნობების გაშუქების დაგვიანებისათვის.

აუცილებელ საჭიროდ ჩაითვალოს საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის 30 აგვისტოს დადგენილების დამუშავება ქალაქისა და სოფლის ყველა რაიონული აქტივების სხდომებზე.

აზერბეიჯანის კომკავშირის ცეკას სამდივნოს გადაწყვეტილება იწონებს კომკავშირის ა-კ. სამხარეო კომიტეტის პირველ სექტემბრის დადგენილებას კომკავშირის ბაილოვის რაიკომის მდივნის სამუშაოდან მოხსნის შესახებ (ადს).

# საბჭოთა კავშირში

### სტალინგრადელებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს

სტალინგრადი, 3 სექტემბერი. 31 აგვისტოს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ გამოუშვა 85 ტრაქტორი. აგვისტოში ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მუშებმა დაამზადეს 1.866 ტრაქტორი. წინა თვეებთან შედარებით, აგვისტოში ყველაზე უფრო მეტი ტრაქტორი გამოუშვა ქარხანამ. ამხ. სტალინის სიტყვამ მუშათა კოლექტივის ყურადღება მიაპყრო სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაზე და გაუპიროვნებისა და გათანაბრების ლიკვიდაციაზე. ტრაქტორმშენის საქარხნო ორგანიზაციებმა სამუშაო პროგრამა შეიმუშავეს იმ ანგარიშით, რომ სექტემბრის დამლევისათვის ყოველდღიურად გამოუშვან 100 ტრაქტორი (ადს).

### ორთქლმავლების მშენებლობა—ლენინგრადის ქარხნების ყურადღების ცენტრში

ლენინგრადი, 3 სექტემბერი. ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"-სა და ლენინის სახელობის ქარხანაში ორთქლმავლების მშენებლობა უნდა განახლდეს უკვე მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში. 1932 წელს ამ ქარხნებმა უნდა გამოუშვან სერია 3-5 გადიდებული სიმძლავრის 100 ორთქლმავალი. კოზიცკის სახ. ქარხანამ 1932 წელს უნდა გამოუშვას წინანდელთან შედარებით ორჯერ უფრო მეტი სარკინიგზო სიგნალიზაციის და ავტოშეთანხმების ნაწარმი, ე. ი. 18 მილიონი მანეთის პროდუქცია (ადს).

### საკავშირო თათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 3 სექტემბერი. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს 15 ნოემბერს საკავშირო თათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ. (ადს).

### უცხოელი ტურისტები მოდიან საბჭოთა კავშირის გასაცნობად

მოსკოვი, 31 აგვისტო. 31 აგვისტოს ლენინგრადში მოვიდა უცხოეთის გემი „სტელლა პოლიარიო", რომელმაც ჩამოიყვანა უცხოელი ტურისტები. 2 სექტემბერს ლენინგრადში მოელიან საოკეანო გემს „ოკეანო"-ს, რომელიც ჩამოიყვანს 30 ტურისტს დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან (ადს).

### გავაძლიეროთ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების აქციების რეალიზაცია

მოსკოვი, 31 აგვისტო. ტრაქტორცენტრის დავალებით მთელს საბჭოთა კავშირში მესამე კვარტალის განმავლობაში უნდა შეგროვდეს 70 მილიონი მანეთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობისათვის. მიუხედავათ ამისა აქციების რეალიზაციის გეგმა 20 აგვისტოსათვის შესრულებულია მხოლოდ 30,4 პროცენტით. აქციების რეალიზაცია დაუყოვნებლივ უნდა გაძლიერდეს. ამაზეა დამოკიდებული სამანქანო - სატრაქტორო სადგურების გაშლის გეგმის რეალიზაცია ადგილებზე (ადს).

### ადგილებზე გაიმართება მეფრინველეობის და სარძეო მეურნეობის დამკვრელ მუშათა თათბირები

მოსკოვი, 31 აგვისტო. კოლმეურნეობათა ცენტრმა დაადგინა, ჩატარებულ იქნას ადგილებზე ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში მეფრინველეობის, სარძეო მეურნეობის, მეცხოველეობის, მეცხენეობის და მეკურდღლეობის მეურნეობების დამკვრელ მუშათა გაფართოებული საწარმოო თათბირები. თათბირები არ უნდა გაგრძელდეს 5 დღეზე მეტს (ადს).

### სექტემბერი—მუშათა გამომგონებლობის დამკვრელი თვეა გეოლოგიურ საგამომკვლევო საქმეში

მოსკოვი, 31 აგვისტო. 31 აგვისტოს გეოლოგიურ-საგამომკვლევო მთავარმა სამმართველომ სექტემბერი გამოაცხადა სოციალისტური რაციონალიზაციის და მუშათა გამომგონებლობის დამკვრელ თვედ გეოლოგიურ საგამომკვლევო საქმეში. დამკვრელი თვის ჩატარება უშუალოდ დაეკისრა რაიონული ჯგუფების, ბაზების და პარტიების უფროსებს.

რაიონულ სამმართველოებს, ბაზებს და პარტიებს დამკვრელი თვის საუკეთესოდ მოწყობისა და ჩატარებისათვის, მუშების და ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალის უფრო მეტად ჩაბმისათვის რაციონალიზატორულ მუშაობაში, აგრეთვე რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებათა მაქსიმალურად შეგროვებისათვის მიეცემათ ჯილდო: ავტომობილი, მოტოციკლი, საზღვარგარეთ მივლინება; 5 ადგილი სანატორიუმებში და კურორტებზე; აგრეთვე 3 პრემია 1.750 მანეთის რაოდენობით (ადს).

### საკავშირო თათბირი ბამბის გადარგვის საკითხებზე

მოსკოვი, 31 აგვისტო. საბჭოთა კავშირის მიწსახკომის კოლეგიამ დაადგინა— 8 სექტემბერს მოსკოვში მოწვეულ იქნას საკავშირო თათბირი ბამბის გადარგვის საკითხებზე. თათბირზე ადგილებიდან ვაიგზავნებიან მებამბეობის საბჭოთა მეურნეობების, სატრაქტორო ცენტრების და მებამბეობათა გაერთიანების წარმომადგენლები, თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ცნობილი სპეციალისტები. თათბირი მსჯელობას იქონიებს 1932 წლის გადასარგავ ნათესის ფართობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ (ადს).

### 50.000 გამოცდილი კოლმეურნე—ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა დასახმარებლად

მოსკოვი, 3 სექტემბერი. გაზაფხულზე კოლმეურნეთა დასახმარებლად გაგზავნამ სხვა რაიონებში დადებითი შედეგები გამოიღო. ამიტომ კოლმეურნეობათა ცენტრმა წინადადება მისცა თავის სისტემას გამოჰყოს მოწინავე კოლმეურნეობებიდან 50.000 გამოცდილი კოლმეურნე და გაგზავნოს ისინი ჩამორჩენილ რაიონებში. გაგზავნილ დამკვრელ კოლმეურნეთა ამოცანას შეადგენს ორგანიზაციული დახმარების გაწევა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებისათვის, მოსავლის აღების დამთავრება, დამზადების და შემოდგომის მინდვრის სამუშაოთა ჩატარება, კოლმეურნეობებში მეცხოველეობის საქმის მოწყობისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა, დახმარების გაწევა მოსავლის განაწილებაში და გარე სამუშაოზე გასვლის ორგანიზაცია. გამოყოფილი კოლმეურნეები უნდა გაიგზავნონ როგორც თავიანთ რაიონის, ისე სხვა რაიონების ახალ კოლმეურნეობებში 1 ოჯით 3-4 კაცისაგან შემდგარ ბრიგადებით. გაგზავნა უნდა დამთავრდეს 15 სექტემბრამდე ა(დს).

### გავაძლიეროთ მუშაობა მუშათა გადასაყვანად პროგრესიულ ხელფასზე

მოსკოვი, 3 სექტემბერი. ხელფასის სისტემის გარდაქმნა ამხ. სტალინის სიტყვის შემდეგ უფრო ინტენსიურად ტარდება, მაგრამ ტემპები მაინც არ არის საკმარისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს — გააძლიერონ მუშაობა მუშათა გადასაყვანად პროგრესიულ ხელფასზე.

პროფორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების გავრცელებას და ერთი თვის ვადაში უნდა მიაღწიონ შრომის ანაზღაურების კოლექტიური ფორმების გაუქმებას (ადს)

### დაუყოვნებლივ უნდა გაჩაღდეს კოლხელშეკრულებათა მასიური შემოწმება

მოსკოვი, 3 სექტემბერი. აგვისტო-სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო კოლხელშეკრულებათა შესრულების მასიური შემოწმება. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოირკვა, რომ კავშირების ცენტრალური კომიტეტების და პროფსაბჭოების უმრავლესობამ არა სათანადო შეაფასა ამ კამპანიის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა და 20 აგვისტომდე დეკლარატიულ დადგენილებათა გარდა თითქმის არავითარი პრაქტიკული ზომები არ მიუღიათ. საკავშირო პროფსაბჭომ წინადადება მისცა კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს და პროფსაბჭოებს მათი თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ გაშალონ კოლხელშეკრულებათა მასიური შემოწმება (ადს).

# შევქმნათ სოცშეჯიბრების ენციკლოპედია

### მაქსიმ გორკის წინადადება

მოსკოვი, 3 სექტემბერი. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სხდომაზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა მაქსიმ გორკიმ. გორკიმ წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — სოციალისტური მშენებლობის ენციკლოპედიის შექმნა და წიგნების დაწერა ჩვენი ფაბრიკა - ქარხნების ბიოგრაფიით.

„ჩვენ, — სთქვა გორკიმ, — მთელი მასშტაბით უნდა შევისწავლოთ ჩვენი სინამდვილე. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ყველა ჩვენი საწარმოთა სახეს და მთელ მუშაობას ახალი სახელმწიფოს მშენებლობის დარგში. ქარხნების ბიოგრაფია უნდა დასწერონ თვით მუშებმა, რომლებმაც შეჰქმნეს ისინი.

კამათის დროს ამხ. ლიბედინსკი, კირშონი, ჯირმანენტო და სხვები მხურვალედ მიესალმენ გორკის ინიციატივას და მოუწოდებდენ ყველა მწერლებს შეუდგენ ამ საქმის რაც შეიძლება მალე განხორციელებას (ადს).

# ხიბინში ეწყობა უდიდესი სამთო-ქიმიური წარმოება

### აღმოჩენილია იშვიათი მინერალების ახალი საბადოები

მოსკოვი, 2 სექტემბერი. ხიბინიდან ლენინგრადში დაბრუნებულმა აკადემიკოსმა ფერსმანმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა მთელ რიგ საინტერესო აღმოჩენების შესახებ, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში გააკეთეს სამეცნიერო-საგამომკვლევო პარტიებმა ხიბინის რაიონში. აღმოჩენილია აპატიტის ახალი ბუდობები ორი კილომეტრის სიგრძეზე. აპატიტის ფენა აქ უდრის 120 მეტრს. მარაგი 400 მილიონ ტონას აღემატება. ლოვეზერის რაიონში აღმოჩენილია დიატომიტები, რომლის მარაგი 5 მილიონ კუბომეტრს უდრის. დიატომიტი მეტად ძვირფასი საამშენებლო მასალაა.

აღმოჩენილია აგრეთვე ახალი მინერალის—ლოვჩერიტის ბუდობები, რომელიც შეიცავს ძვირფას და იშვიათ ელემენტებს, მათ შორის რადიოაქტიურ ტორიუმს.

ხიბინში ეწყობა საბჭოთა კავშირის უდიდესი სამთო-ქიმიური ცენტრი. ხიბინის რაიონში ახლად აღმოჩენილი მინერალების და საამშენებლო მასალების სამრეწველო ღირებულება 1.200.000.000 მანეთს აღემატება. ხიბინის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც უდიდესი იქნება მთელ ევროპაში წლიურად გამოუშვებს 260.000 ტონა აპატიტის კონცენტრანტს ა(დს).

# კოლმეურნეობებმა ხელი უნდა შეუწყონ მანევრებს

მოსკოვი, 3 სექტემბერი. კოლმეურნეობათა ცენტრმა საკოლმეურნეო ორგანიზაციებს მიმართა წერილით მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების მომავალ მანევრებთან დაკავშირებით. კოლმეურნეობათა ხაზით დასახულ უნდა იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კოლმეურნეობათა მოწესრიგებულ ხელის შეწყობას წითელი არმიის ნაწილებისათვის მანევრებზე. ხელის შეწყობა უმთავრესად უნდა გამოიხატოს სატრანსპორტო საშუალებების მიწოდებაში, ღამის გასათევი ბინით, ფურაჟით, სასადილოებით, კლუბებით და სარემონტო სახელოსნოებით უზრუნველყოფაში და სხვ. საჭიროა კოლმეურნეთა აქტივობის მობილიზაცია სამეურნეო - პოლიტიკური კამპანიების წარმატებით შესრულებისათვის. მომავალი მანევრები გამოყენებულ უნდა იქნას წითელ არმიასთან კოლმეურნეთა მასების კავშირის განსამტკიცებლად და ფართო მასებისათვის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერების ამოცანების ახსნა - განმარტების მიზნით (ადს).

# ანდეზიტი და ქვანახშირი კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩენ

## ანდეზიტმა აგვისტოს გეგმა შეასრულა 17,4 პროც., ტყიბულმა—44,5 პროც.

### ადგილობრივ ორგანიზაციების უმოქმედობის გამო შრომის ნაყოფიერება და შრომის დისციპლინა დაეცა

# ანდეზიტმა თავი ვერ დააღწია ჩამორჩენას

(ყაზბეგი)

ანდეზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქიმიურ მრეწველობაში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მაგრამ მისი მოპოვების საქმე დღემდე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

ანდეზიტის სამუშაოების მუშა-ხელით უზრუნველყოფა და წარმოების მექანიზაცია რთული ამოცანაა ხევის რაიონში, რაც მოითხოვს ბოლშევიკურ ტემპებს და უნარს:

ანდეზიტის წარმოება ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის გამო ძალზე ჩამორჩა და საეჭვოა, რომ მან ქიმიურ მრეწველობას მიაწოდოს 30.000 კბ. მეტრი ქვა, რაც 1931 წლის გეგმით არის გათვალისწინებული. ანდეზიტში დაისადგურა ცრუ-გეგმიურობამ და შექმნა ქაოსი, რომლის ლიკვიდაციას არაფერი ეშველა.

უკანასკნელ ხანებში თითქმის შეურიგდენ ანდეზიტის წარმოებაში შექმნილ მდგომარეობას. ადგილობრივი ხელმძღვანელები სავსებით მიენდვენ თვითმიმდინარეობას, რაც ხელს უწყობს გარღვევების გაღრმავებას.

ანდეზიტის წარმოებაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა ეძლევა ნახევარ ფაბრიკატის დამზადებას, მაგრამ სწორედ აქ არის დიდი ჩამორჩენა.

აგვისტოს განმავლობაში უნდა დამზადებულიყო 4000 კბ. მეტრი ნახევარ ფაბრიკატი, 28 აგვისტომდე დამზადებულია მხოლოდ 697,1 კბ. მეტრი, ანუ თვიური გეგმა შესრულდა 17,42 პროც. არც წინა გეგმების შესრულება იძლევა სახარბიელო სურათს. ივლისში გეგმა 21 პროც. იყო შესრულებული, ხოლო ივნისში 22,5 პროც.

ასევე დიდ ჩამორჩენას აქვს ბდვილი ფაბრიკატების დამზადებაშიაც. ასე მაგ.: აგვისტოში გეგმით უნდა დამზადებულიყო ფაბრიკატი 640 კბ. მეტრი, დამზადებულია 179,41 კბ. მეტრი. ასეთი დიდი გარღვევა უნდა მიეწეროს იმას, რომ ანდეზიტის დირექცია არ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. ვერც პარტკომმა და პროფორგანოებმა იბრუნეს პირი წარმოებისაკენ და ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა.

### მეტი ყურადღება ტრანსპორტს

ამჟამად წარმოებას 25-მდე ავტო-მანქანა ჰყავს, მაგრამ ისინი არ არიან რაციონალურად გამოყენებული. მანქანების უმრავლესობას არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

ტრანსპორტის უფროსი შჩეგლოვი თავს არხეინად გრძნობს. მარტო სასადილოებში თუ ნახავთ მას ღვინით გალეშილს. ის შოფერებს საათში აძლევს ხუთგვარ მიმართულებას ან თუ მოეხასიათა ვლადიკავკაზში ინახულებს როსკიპებს. ამრიგად ქვის გადაზიდვის მაგიერ ავტო-მანქანებს პირად საჭიროებისათვის დააქროლებენ აქეთ-იქით. ამას კარგად ხედავს ტრანსპორტის კომუჯრედი, მაგრამ არავითარ ზომებს არ მიმართავს აღნიშნულ უმსგავსოების აღსაკვეთად.

შრომის ნაყოფიერების დაცემაში და ცრუ-დამკვრელობაში ანდეზიტის ტრანსპორტმა რეკორდი აიღო: ტრანსპორტს ჰყავს ლოთი და გახრწნილი ექსპედიტორი ბოგდანოვი, რომელიც დატვირთულ მანქანებს ხშირად 2-3 საათით აჩერებს იმიტომ, რომ თავის ნაცნობები გააყოლოს მათ.

### პროფმუშაობა სუსტია

საერთოდ, ხევის რაიონის პროფორგანიზაციები დაუშვებელ უმოქმედობას იჩენენ. კერძოდ ანდეზიტის სამთო მუშათა კავშირმა დღემდის ვერ შესძლო ბრძოლის გაშლა გარღვევების სალიკვიდაციოთ, ვერ ჩაუდგა სათავეში მუშა-ხელის ცვალებადობის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას და შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეს. მისი მუშაობა ყოვლად უხეირო და დღის ამოცანებისაგან ძალზე დაშორებულია. კოოპერაციაში დღემდე არაა გატარებული რაციონალიზაცია და შრომის სპეციალიზაცია, და არ არის სწორად გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე წერტები და გამეფებულია ინტრიგა-კინკლაობა ნოქრებსა და გამგეებს შორის.

კოოპერაციაში მოკალათებულნი არიან ანტისაბჭოთა ელემენტები. ერთი მათგანმა სოფლად მუშაობის დროს გაავრცელა პროვოკაცია გლეხობაში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. ასეთი პირებისაგან დროზე უნდა გაიწმინდოს ანდეზიტის კოოპერაციის აპარატი, უნდა მოხდეს მისი ძირეული რეორგანიზაცია და გადახალისება. კავშირის დაუდევრობით სოცშეჯიბრება მარტო ქაღალდზე არსებობს. გახშირდა ცრუ-დამკვრელობა. კავშირი იმდენად სუსტია, რომ მას ადმინისტრაცია არავითარ ანგარიშს არ უწევს. გარდა ამისა, პროფორგანოები თითქმის სრულებით არ აქცევენ ყურადღებას გაცდენებთან და დანაკარგებთან ბრძოლას. ამის გამო გაცდენები დღითი-დღე იზრდება. მაგ.: მარტო ივლისში გაცდენები აღემატება 2500 კაცდღეს. საჭიროა კავშირების მუშაობის გადაჭრით გარდაქმნა და გადამწყვეტი ღონისძიებების გატარება შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

### როგორ დამუშავდა ბელადის სიტყვა

ანდეზიტის წარმოებამ ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავება თვენახევარის შემდეგ დაიწყო. ბელადის სიტყვის დამუშავებას არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ არ იყო ის კარგად დამუშავებული. ანდეზიტის წარმოებაში ხშირია ვაუპიროვნების მაგალითები და მუშა-ხელის დიდი ცვალებადობა.

ყველა ამ დეფექტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ანდეზიტის წარმოებამ შესძლოს სამარცხვინო მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

კ. ფირცხალაიშვილი.

### კასპი


2 სექტემბერი
გამომწვარია 1704 კასრი ცემენტი
დაფქვილია 3406 კასრი
გაგზავნილია 3437 კასრი ცემენტი

# ბრძოლა ცემენტისათვის

კასპი, 3 სექტემბ. (საქ. კორ.) 2 სექტემბერს კასპის ცემენტის ქარხანაში გამოიწვა 1704 კასრი ცემენტი, დღიური დავალების 69 პროც., დაიფქვა 3406 კასრი—107 პროც., და გაიგზავნა 3437 კასრი — 108 პროცენტი.

### ტყიბული

## ყოველდღიური დავალება 995 ტონა


28 აგვისტო 367 ტ.
29 აგვისტო 476 ტ.
30 აგვისტო 316 ტ.
31 აგვისტო 459 ტ.
1 სექტემბერი 405 ტ.

# ქვანახშირის ამოღება ტყიბულში

ტყიბული, 3 სექტემბერი. 1-ლ სექტემბერს ტყიბულის მაღაროებში მუშაობდა 1292 მუშა, ამოღებულ იქნა 405 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება თითო მუშაზე უდრიდა 423 კილოს.

# ჩამორჩენა გაიზარდა

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები აგვისტოში სამარცხვინოდ ჩამორჩენ; ივლისის თვესთან შედარებით ჩამორჩენა გაიზარდა 7 პროცენტით.

გეგმით აგვისტოს თვეში უნდა ამოღებულიყო 30,845 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად ამოღებული იქნა 13745. გეგმა შესრულებული იქნა 44,5 პროცენტით. ამასთან ერთად საგრძნობლად დაეცა შრომის ნაყოფიერება. გეგმით თვითეულ მუშას უნდა ამოეღო 10,8 ტ. ქვანახშირი, ფაქტიურად ამოღებული იქნა 10,4 ტონა; რაც გეგმის 96,3 პროცენტს შეადგენს.

რამ გამოიწვია ასეთი ჩამორჩენა?

მაღაროები კვლავ განიცდიან მუშა-ხელის სიმცირეს, აგვისტოს თვეში წარმოებას 2810 მუშის ნაცვლად ჰყავდა მხოლოდ 1291 მუშა, უნდა აღინიშნოს, რომ მუშა-ხელის შეგროვების საქმეში როგორც მაღაროებს ორგანიზაციების, ისე რაიონების მხრივ ადგილი აქვს აშკარა თვითდინებაზე დაყრდნობას. უბნის პროფბიუროები მუშა-ხელის ცვალებადობას ძალზე სუსტ ყურადღებას აქცევენ, რის გამოც საგრძნობლად დაეცა შრომის დისციპლინა. აგვისტოში ძალზე იმატა გაცდენებმა.

გვირაბებში მუშა-ხელი არ არის რაციონალურად გამოყენებული, ხშირია შემთხვევა, როდესაც კვალიფიციურ მტვრეველს უხდება მუშაობა ბიჯგების ჩაყენებაზე, გზის ჩავებაზე და ზოგიერთ შემთხვევებში ვაგონის გაგორებაზედაც-კი, რასაც თან სდევს ხელფასის გათანაბრების შემთხვევებიც.

მექანიკურ და სამანქანო ცეხებში ადგილი აქვს მანქანა-იარაღებისადმი უპასუხისმგებლო მოპყრობას, ხშირია შემთხვევა, როცა კომპრესორები უხეირო მოვლის გამო ჩერდება, რაც ძალზე ხელს უშლის გვირაბში მომუშავეებს.

წარმოების რაციონალიზაციის მიზნით, როგორც დას. უბანში, ისე აღ. უბანში მოეწყო ვაგონების მექანიკური გაგორება (ცხენების ნაცვლად ნახშირით დატვირთული ვაგონები გამოაქვთ მექანიკური საშუალებით); უნდა ითქვას, რომ მექანიკური გაგორება ვერ მოეწყო ისე, როგორც საჭიროა, რის გამო მან არ გამოიღო სასურველი შედეგი.

ან. ჯაოშვილი

**პარტიული მშენებლობა**

# საქ. კომკავშირის ორგანიზაცია

## უდიდესი მიღწევებით ხვდება ახალგაზრდობის მე-17-ტე საერთაშორისო დღეს

„ლოზუნგი ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღისათვის მილიონ ნახევარი ახალი წევრების კომკავშირში ჩაბმის შესახებ სავსებით რეალურია და განსახორციელებელი. ამოცანა — მუშა ახალგაზრდობის კომკავშირში ასი პროცენტით ჩაბმის შესახებ, არა თუ შესრულებული უნდა იქნეს ძირითადათ, არამედ უნდა მოხდეს მისი მთლიანად განხორციელება“ (ამხ. კოსარევის მოხსენებიდან)

## მეტი ყურადღება ორგანიზაციის ზრდის საკითხებს

საქ. კომკავშირის მეცხრე ყრილობამ და საქ. ქ. ქ. ცეკას მეორე პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის საკითხებს. ყრილობის და პლენუმის რეზოლუციებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორგანიზაციის ზრდა უნდა ხდებოდეს მუშა-ახალგაზრდობისა და საუკეთესო კოლმეურნე ახალგაზრდობის ხარჯზე.

მთელ რიგ საწარმოებში დღეს საკმაო რიცხვი მოიპოვება უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის. კოლმეურნეობებშიაც ბევრია კომკავშირის ორგანიზაციის გარედ დარჩენილი ახალგაზრდები. ადგილებზე კომკავშირის კომიტეტებმა და უჯრედებმა ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა უპარტიო მუშა-ახალგაზრდებს შორის მათი 100 პროც. კომკავშირის რიგებში ჩაბმისათვის, განსაკუთრებით სუსტად სწარმოებს ეს მუშაობა სოფლად. სოფლის უჯრედები არავითარ მასიურ-პოლიტიკურ მუშაობას არ აწარმოებენ ორგანიზაციის გარედ დარჩენილ ახალგაზრდებს შორის მათი ორგანიზაციაში მოზიდვის მიზნით.

საქ. კომკავშირის ცეკას დადგენილებაში —საქ. კომკავშირის 9 ყრილობის და საქ. კომკავშირის მე-10 ყრილობის დადგენილებათა შესრულების შემოწმების შესახებ—ნათქვამია:—„კომკავშირის ორგანიზაციის ზოგიერთმა კომიტეტებმა ვერ შესძლეს საქმის იმგვარად წარმოება კომკავშირის ზრდის გაძლიერების ხაზით, რომ უზრუნველეყოთ საქ. კომკ. მეცხრე ყრილობის და საქ. ქ. ქ. მე-10 ყრილობის დადგენილებათა შესრულება, კომკავშირში მუშა-ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ პირველ რიგში სოცშეჯიბრებაში ჩაბმულ საუკეთესო დამკვრელთა ხარჯზე. მათ ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა საამქროებში და ბრიგადებში რომ უზრუნველეყოფილიყო კომკავშირის ზრდა მუშა-ახალგაზრდობისაგან“. იქვე ნათქვამია, რომ „აბსოლუტურად სუსტი ყურადღება ექცეოდა მუშა ახალგაზრდობის მოთხოვნილებათა და განწყობილებათა შესწავლას საამქროებში, დამკვრელ ბრიგადებში, განსაკუთრებით კი საქარხნო საფაბრიკო სკოლების მოწაფეობაში, ქარხნებში და მაღაროებში ახლად მიღებულ ახალგაზრდობას შორის“. აქედან გამომდინარეობს, რომ კომკავშირის ზოგიერთი კომიტეტები საწარმოებში სუსტ ყურადღებას აქცევენ ზრდის საკითხს და არ აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას საქ. ქ. ქ. მეცხრე ყრილობის და საქ. ალკკ მე-10 ყრილობის დადგენილების განხორციელებისათვის.

მთელი რიგ კომიტეტებმა ამ მხრივ მიაღწიეს საგრძნობ გარდატეხას, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მუშა-მოჯამაგირე და კოლმეურნე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილის ჩაბმა კომკავშირის რიგებში.

ახალგაზრდათა მე-17 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომკავშირის რიგების ზრდა ძირეულ ორგანიზაციებში შემდეგ სურათს გვაძლევს:

კომკავშირის თიანეთის ორგანიზაცია იზრდება მოჯამაგირე, ღარიბ გლეხთა და საუკეთესო კოლმეურნე ახალგაზრდობის ხარჯზე, ორი კვირის განმავლობაში (15 ივლ. 30 ივლისამდე) ორგანიზაციაში მიღებულია 55 ახალგაზრდა. აქედან 52 დამკვრელი კოლმეურნე და 3 მოჯამაგირე

გურჯაანის რაიკომმა ორგანიზაციის ზრდის საკითხი დაამუშავა ცალკე უჯრედებში. 15 ივლისიდან დღემდე ორგანიზაციაში მიღებულ იქნა 250 კაცი, აქედან 79 მოჯამაგირე, 19 დამკვრელი მუშა, 142 კოლმეურნე, 10 საშუალო გლეხი.

სპილენძის სატკეც ქარხანაში მრავლად მოიპოვებიან უპარტიო ახალგაზრდები, მაგრამ მათ შორის არავითარ მასიურ-პოლიტიკურ მუშაობას კომკავშირის ადგილობრივი ბიუროკოლექტივი არ აწარმოებს. დღემდე ორგანიზაციაში მიღებულია მხოლოდ 20-დე მუშა. ეს მდგომარეობა შეუწყნარებელია, სპილენძის სატკეცი ქარხნის კომკავშირის ბიუროკოლექტივმა უნდა გადალახოს ჩამორჩენილობა და ფართოდ მოკიდოს ხელი უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციაში 100 პროც. ჩაბმის საქმეს.

ასევე გულგრილად შეხვდა ამ საქმეს ხარაგოულის რაიკომიც, რაიკომს არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს რაიონში უპარტიო ახალგაზრდობის ორგანიზაციაში მოზიდვის მიზნით.

იგივე მდგომარეობა გვაქვს კომკავშირის თელავის ორგანიზაციაში. ამ მიმართულებით აქ ჯერ არაფერი არ გაკეთებულა.

სენაკის რაიონში 20 აგვისტომდე ორგანიზაციაში მიღებულია მხოლოდ 171 ახალგაზრდა, აქედან 108 კოლმეურნე და 41 მუშა.

მცხეთის რაიკომმა დაახლ. 220 კაცამდე მიიღო ორგანიზაციაში.

სამტრედიის რაიკომმა დღემდე ორგანიზაციაში მიიღო საუკეთესო კოლმეურნეებიდან და დამკვრელი მუშა-ახალგაზრდებიდან 520-დე ახალგაზრდა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დუშეთის ორგანიზაციას. ამ რაიონში მოიპოვებიან ახალგაზრდები, რომლებიც არ იცნობენ კომკავშირს. ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა, რათა ისინი მიზიდული იქნან კომკავშირში. დუშეთის რაიკომმა ერთი თვის განმავლობაში ორგანიზაციაში მიიღო 92 ახალგაზრდა. აქედან 2 მუშა, 6 მოჯამაგირე, 69 ღარიბი გლეხი და 15 საშუალო გლეხი და 19 ქალი. დღეს დუშეთის ორგანიზაციაში ირიცხება სულ 1335 კომკავშირელი.

ქუთაისის რაიკომმა ორგანიზაციაში დღემდე მიიღო 130 კაცი.

აფხაზეთის ორგანიზაციაში მიღებულ იქნა ივლისის თვეში 1564 კაცი, აგვისტოში კი 494 კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირის ორგანიზაციაში ასაკგადაცილებულები საკმაო რაოდენობით არიან. ამ გარემოებას ადგილობრივი პარტუჯრედები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. პარტუჯრედებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ასაკგადაცილებულ კომკავშირელთა პარტიაში გადარიცხვის საკითხს.

ცუდად სდგას მასიურ-პოლიტიკური მუშაობა ახლად მიღებულთა შორის, რის გამო ორგანიზაციებში მოიპოვებიან პასიური ამხანაგები საკმაო ნაწილი. კომკავშირის უჯრედებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა ამ მხრივ. ორგანიზაციაში ახლად მიღებულები უნდა ჩააბან სხვადასხვა ჯგუფებში, სექტორებში და მოამზადონ აქტივისტთა საუკეთესო კადრები ახლად მიღებულთაგან.

კომკავშირის ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ყურადღება ორგანიზაციის ზრდის საკითხისადმი.

გ. მედ.—ძე

## ვიბრძოლოთ გარღვევის ლიკვიდაციისათვის

(26-ის ქარხანა)

26-ის სახელობის ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია დიდი მიღწევებით ეგებება ახალგაზრდათა მე-17 საერთაშორისო დღეს.

ახალგაზრდათა მე-17 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქარხანაში ჩამოყალიბდა კომკავშირული 3 დამკვრელი ბრიგადა, რომლებიც მუშაობენ 10 ახალი ჩარხების გამოშვებაზე. ამ დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვებული იქნება 15 საუკეთესო დამკვრელი კომკავშირელი.

ხუთწლედის მესამე ნახევარი წლის საწ. საფ. გეგმა შესრულებული იქნა 51,8 პროცენტით, რაც დიდ გარღვევის სურათს გვაძლევს. მესამე კვარტალის ივლისის თვის გეგმა მხოლოდ 39 პროც. შეასრულა ქარხანამ. გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზებია: საწ. ტექნიკური პერსონალის ცუდი ხელმძღვანელობა სამუშაოებზე; რამოდენიმე საამქრო ჯერ კიდევ არ არის გადასული სამეურნეო ანგარიშზე, ცუდად სდგას ნედლი მასალით მომარაგების საქმე.

როგორ იბრძვის კომკავშირის ორგანიზაცია გარღვევათა ლიკვიდაციისათვის?

26-ის ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ ყურადღების ცენტრში დროულად დააყენა ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და დარაზმა მუშა ახალგაზრდობა საწ. საფ. გეგმის შესრულებისათვის, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ კომკავშირს ამ მუშაობაში არა აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც.

ქარხანაში სულ ჩამოყალიბებულია კომ. 11 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც დახლოვებით გაერთიანებულია 160 კაცამდე. ბრიგადამ ტიმოშინის ხელმძღვანელობით ივლისის თვის გეგმა შეასრულა 180 პროც.. აგრეთვე მოწინავე პოზიციებზე დგანან ამხ. მირიტიანის და პეტრიაშვილის ბრიგადები, რომლებიც მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ მათზე მიცემულ გეგმებს, ამავე დროს არიან ჩამორჩენილი ბრიგადებიც მაგ. მათსურაძის, რომელმაც გეგმა შეასრულა მხოლოდ 60 პროც. და სხვ.

სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში გაერთიანებულია კომკავშირელთა 100 პროცენტი. დადებულია ხელშეკრულებანი როგორც ინდივიდუალურად, ისე ბრიგადებსა და საამქროებს შორის. სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმება ხდება ყოველთვიურად. სულ ქარხანაში მუშაობს 550 ახალგაზრდა. აქედან 400 კაცი კომკავშირის წევრია.

ყველა უჯრედების კრებებზე დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ორგანიზაციის ზრდის შესახებ. 1-ლი ივლისიდან დღემდე ორგანიზაციაში მიღებულია 67 დამკვრელი მუშა ახალგაზრდა.

საწ. თათბირების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კომკავშირელები, კომკავშირელი ენტუზიასტები იძლევიან საუკეთესო რაციონალურ წინადადებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საწ. საფ. გეგმების შესრულებას. რაც. ბიუროს მიერ დაჯილდოვებულ იქნა მუშა კომკავშირელი გამომგონებლები ამხ. პრაგა და ტიმოშუკი.

კომკავშირის ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა გაშალოს მუშაობა.

ქარხანაში გაუპიროვნებას დღესაც აქვს ადგილი. ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავებამდე გაუპიროვნება გამეფებული იყო თითქმის ქარხნის ყველა საამქროებში. ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავების შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა საბოლოო გარდატეხა ამ მიმართულებით ქარხანაში არ მომხდარა. კომკავშირმა ვერ გაშალა სათანადო მუშაობა გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის.

კომკავშირის ორგანიზაციამ გადადგა ნაბიჯი ტექნიკის დაუფლების მიზნით. ჩამოყალიბებულ იქნა 4 წრე, რომელშიაც ჩაბმულია 150 კაცი. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს, ადგილი აქვს კომკავშირელთა არასაკმაო რაოდენობით დასწრებას მეცადინეობაზე. ზოგიერთი კომკავშირელები გაურბიან ტექნიკის დაუფლების წრეებში მეცადინეობას.

კულტმუშაობის დარგში კომკავშირის ორგანიზაცია საგრძნობლად ჩამორჩა. არის წრეები ჩამოყალიბებული. მაგ. დრამწრე, და სხვ.

კომკავშირის „26“ სახ. ქარხნის ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს მიღწეული შედეგები და ფართოდ გაშალოს ბრძოლა გარღვევათა ლიკვიდაციისათვის.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა:

გ. მერკვილაძე.
ა. ალიბეგაშვილი.

## როგორ ვხვდებით ახალგ. მე-17 საერთაშორისო დღეს

(დეპო)

კომკავშირის თბილისის დეპოს ორგანიზაციები უდიდესი მიღწევებით ხვდებიან ახალგაზრდობს მე-17 საერთაშორისო დღეს. თბილისის დეპოს პირველ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა 22 ორთქლმავალი, გამოშვებულ იქნა 18, რაც შეადგენს გეგმის 81,8 პროცენტს. ამაზე კომკავშირის ორგანიზაციამ ასტეხა განგაში და თავი გამოაცხადა დამკვრელად, და მეორე კვარტალის გეგმა 6 პროცენტის გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მესამე კვარტალის პირველ ორ თვეშიც უდიდესი მიღწევები აქვს კომკავშირის ორგანიზაციას საწ. საფ. გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში, რასაც ადასტურებს ის, რომ მესამე კვარტალის—ივლისის და აგვისტოს გეგმა ორი დღით ადრე შესრულდა. სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში კომკავშირელები 100 პროცენტით არიან ჩაბმული. სულ ჩამოყალიბებულია 22 კომკავშირული დამკვრელი ბრიგადა, გაერთიანებულია 86 კომკავშირელი. ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ერთმანეთთან დადებული აქვთ ხელშეკრულებები,

კომკავშირი იბრძვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ჩამოყალიბებულია ხარისხის შემმოწმებელი კომკავშირული ბრიგადა, რომლებიც სისტემატიურად ამოწმებენ გამოშვებულ პროდუქციის ხარისხს, ტექნიკის დაუფლების მიზნით ჩამოყალიბებულია 7 ტექნიკის შემსწავლელი წრე. წრეებში კომკავშირელების უმრავლესობა არის ჩაბმული.

ქ. ქ. თბილისის დეპოს კომიტეტმა ცალკე უჯრედებში დაამუშავა საქ. კომკავშირის ცეკას დადგენილება უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის მთელი 100 პროცენტით კომკავშირის ორგანიზაციაში ჩაბმის შესახებ. მომზადებულ ამხანაგების მიერ ახლად მიღებულები აყვანილი იქნენ საზ. ბუქსირზე მათი პოლიტიკურად მომზადების მიზნით.

მე-17 საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კომკავშირის ორგანიზაცია აჯილდოებს 30 საუკეთესო დამკვრელ კომკავშირელს, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ საწ. საფ. გეგმების შესრულებისათვის, გაუპიროვნების მოსპობისათვის და ყველა დაკისრებული ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თბილისის დეპოს კომკავშირის ორგანიზაცია მოწინავე პოზიციებზე დგას, სხვა ჩამორჩენილმა ორგანიზაციებმა უნდა მიბაძონ დეპოს კომკავშირის ორგანიზაციას.

დამკვრელი მუშკორები.

## გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა

მაუდის ფაბრიკა

კომკ. თბილ. მაუდის ფაბრიკის ორგანიზაციამ ვერ მოახდინა საფუძვლიანი გარდატეხა თავის მუშაობაში, ფართოდ ვერ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა მუშა-ახალგაზრდებს შორის, ვერ ჩააბა კომკავშირული მასა საწ. საფ. გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში და ვერ განახორციელა ზემდგომ ორგანიზაციების დადგენილებები კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

ივლისის თვეში გეგმით უნდა დამზადებულიყო ხამი პროდუქცია 40,100 მეტრი, ფაქტიურად დამზადდა 37.700 მეტრი, თვიური გეგმა შესრულებულია 94 პროც. აგვისტოს თვეში საწ. საფ. გეგმების შესრულება თანდათან დაეცა. კომკავშირელებმა არ ასტეხეს განგაში ივლისის თვის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის და აგვისტოს თვის გეგმა დანაკლისებით შესრულდა.

მკავშირელები მიდიან სამუშაოდან თვითნე- „მფრინაობას“, დეზერტირობას, და სხვ. კომკავშირელები მიდიან სამუშაოდან თვითნებურად, რაზედაც კომკავშირის კოლექტივის ბიურო არავითარ ზომებს არ ღებულობს.

ტექნიკის შემსწავლელი წრეები არ არის ჩამოყალიბებული. კომკავშირის კოლექტივის მდივანი ბინის უქონლობას აყენებს ტექნიკური წრეების ჩამოუყალიბებლობის მიზეზად. ეს მხოლოდ ჩვეულებრივი „ობიექტიური“ მიზეზია, რომლითაც ბევრი ცდილობს თავის გამართლებას. ასეთ მიზეზებს დროულად უნდა დავარტყათ.

უჯრედებში დამუშავებულ იქნა კომკავშირის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქ. კომკავშირის ცეკას დადგენილება კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის შესახებ მუშა ახალგაზრდობის ხარჯზე.

კომკავშირის ორგანიზაციაში მხოლოდ 395 კაცი არის, რაც შეადგენს მუშა-ახალგაზრდობის 53 პროცენტს.

მე-17 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომკავშირში მისაღებათ განცხადება შეიტანა 47 უპარტიო ახალგაზრდობამ. მაგრამ აღნიშნული განცხადებები მიმღები კომისიის მიერ ჯერაც არ არის განხილული.

კომკავშირი არ იბრძვის გაუპიროვნების მოსასპობად. საქსოვ საამქროში ადგილი აქვს გაუპიროვნების მაგალითებს. მის წინააღმდეგ კომკავშირის ორგანიზაციას არა აქვს მიღებული გადამჭრელი ზომები.

კომკ. თბილ. მაუდის ფაბრიკის ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო პირით მობრუნება წარმოებისაკენ, რასაც ამტკიცებს ის, რომ კომკავშირის კოლექტივის ბიუროს არა აქვს გეგმების შესრულების არც ერთი მაჩვენებელი,—არ აწარმოებს მასიურ პოლიტიკურ მუშაობას მუშათა ახალგაზრდობას შორის და სხვა.

საჭიროა თბილისის კომკავშირის კომიტეტმა მაუდის ფაბრიკის ორგანიზაციაზე გააძლიეროს ხელმძღვანელობა.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

## ამოვკვეთოთ ჩამორჩენები

საწ. საფ. გეგმების შესრულების საქმეში ტყიბულის მაღაროები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ.

როგორ იბრძვის ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის?

მაღაროებში სულ მუშაობს 355-დე კომკავშირელი, რომლებიც მთლიანად ჩაბმული არიან სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში. ადგილი აქვს ცრუ დამკვრელობას და დეზერტირობას ზოგიერთ კომკავშირელებში, რომლებიც ახლად მოსულნი არიან წარმოებაში და ვერ იცნობენ წარმოების ინტერესებს.

წარმოებაში სულ არსებობს კომკავშირული 13 დამკვრელი ბრიგადა, რომლებიც გმირულად იბრძვიან ნახშირის გამოღებისათვის. ამავე დროს არიან ბრიგადები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ სხვა ბრიგადებს. ამ ბრიგადებმა ვერ აიღეს ბოლშევიკური ტემპები რომ ჩამდგარიყვნენ მოწინავეთა რიგებში. (მაგ. დასავლეთ უბნის „ვსეფაზე მომუშავე ბრიგადა“). წარმოებაში თავისი მუშაობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამხ. მურადაშვილის, კაკაბიძის და სხვ. ბრიგადებს.

მაღაროებს აკლია მუშა ხელი. კომკავშირის ორგანიზაციამ მობილიზაცია გაუკეთა სოფლიდან კომკავშირელ ახალგაზრდებს.

ცუდად სდგას კოლმეურნეობებიდან მუშახელის მოყვანის საქმე. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს დადგენილება მუშა-ხელის კოლმეურნეობებიდან მოზიდვის შესახებ. იმ რაიკომებმა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ საქ. კომკავშირის ცეკას მიერ კომკავშირელი ახალგაზრდების გადმოგზავნა ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ—გამოიჩინეს დაუშვებელი გულგრილობა. (ონი, ხრებალო, ამბროლაური, ცაგერი, ჩხარი და სხვ.) მათ მიერ გადმოგზავნილი კომკავშირელებიდან უმრავლესობამ დასტოვა სამუშაო და გაიპარა.

მუშა კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო თათბირების მუშაობაში. მაგ. ახალგაზრდა მუშამ, კომკავშირის წევრმა ამხ. ქ. მურადაშვილმა გამოიგონა სარეცხი კოდი, რომელიც მაღაროებს ყოველ წლიურად 25.000 მანეთის ეკონომიას აძლევს.

ტექნიკის დაუფლების მიზნით მაღაროებში გახსნილია წრეები, მაგრამ ამ წრეების მუშაობა ძალზე სუსტია. ხშირია შემთხვევები რომ კომკავშირლები გაურბიან ტექნიკურ წრეებს. კომკავშირის კომიტეტმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი რათა გააცხოველოს აღნიშნული წრეების მუშაობა, რომ ამით ხელი შეუწყოთ სათანადო კადრების მომზადებას მაღაროებისათვის.

ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მოესპოთ გაცდენები მაღაროებში. მაისის თვეში გაცდენა უდრიდა 3,9 პროც. ივნისის თვეში 4,1 პროც. და ივლისში კი 3,4 პროც.

კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს მასიურ კულტურული მუშაობა განსაკუთრებით ახლად მოსულ მუშებს შორის.

აი ის მიღწევები და ნაკლოვანებები, რომლითაც ხვდება კომკავშირის ტყიბულის ორგანიზაცია ახალგ. მე-17-ტე საერთაშორისო დღეს. კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა გამოასწოროს ყველა ჩამოთვლილი დეფექტები და გააძლიეროს ბრძოლა საწ. საფ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ადგილობრივი.

## კომკავშირელები იბრძვიან საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის

(დუშეთი)

კომკავშირის დუშეთის ორგანიზაცია შეუდგა მზადებას ახალგ. მე-17 საერთაშორისო დღის ჩატარებისათვის. ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით კომკავშირში მიღებულ იქნება 100 კაცი და პარტიაში გადაირიცხება 15 კომკავშირელი. დღეს ორგანიზაცია აერთიანებს 1337 ლენინელს. ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით ყალიბდება რაიონში 4 ახალი უჯრედი. 11 უჯრედი გადაკეთდება საკოლმეურნეო უჯრედებათ.

უჯრედებში ფართოდ არის გაშლილი პოლიტსკოლების ქსელი. სულ ჩამოყალიბებულია 5 პოლიტსკოლა, რომელშიაც ჩაბმულია 155 კომკავშირელი.

კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 664 კომკავშირელი. ადგილი აქვს ზოგიერთი კომკავშირელების მიერ კოლმეურნეობაში არშესვლას, რაც დროზე უნდა გამოსწორდეს. რაიკომმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა არც ერთი კომკავშირელი არ დარჩეს კოლმეურნეობების გარედ.

ზოგიერთი საკოლმეურნეო უჯრედები ვერ იბრძვიან სანარდო სისტემის გატარებისათვის, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლისათვის და სხვ. კოლმეურნეობებში.

ახალგ. მე-17 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა 7 ახალი ბრიგადა, რომლებშიაც გაერთიანებულია დამკვრელ კოლმეურნე კომკავშირელთა საგრძნობი ნაწილი.

გ—ძე.

# ტექნიკური კულტურების რაიონებში

## საბავშო კერა-პრიმიტივების მოწყობის გეგმა 20 სექტემბრამდე უნდა შესრულდეს

### 20 სექტემბრისათვის მზად უნდა იყოს 452 საბავშო კერა-პრიმიტივი

### საორგანიზაციო მუშაობა ფართოდ არის გაშლილი

2 სექტემბერს შესდგა საქ. ცაკთან არსებულ კოლმეურნეობებში საბავშო კერა-პრიმიტივების მოწყობის ხელმძღვანელ შტაბის მორიგი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენება მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

გეგმის თანახმად საბავშო კერა-პრიმიტივები უნდა მოეწყოს საქართველოს ტექნიკურ კულტურების 81 რაიონში. აქედან მებამბეობის რაიონებში მოეწყობა 140 კერა, ჩაის და თამბაქოს რაიონებში 299 და სხვა ტექნიკურ კულტურათა რაიონებში 13 კერა. რაიონები უკვე დანაწილებულია უწყებათა შორის, რომლებმაც უშუალოდ უნდა უხელმძღვანელონ საბავშო კერების მოწყობას კოლმეურნეობებთან. ხსენებულ უწყებებიდან თვითეულ რაიონზე მიმაგრებულია თითო ორგანიზატორი, ეს ამხანაგები რაიონებში იმყოფებიან აგვისტოს უკანასკნელი რიცხვებიდან. მათ მოვალეობას შეადგენს რაიონისათვის მიცემულ საბავშო კერების მშენებლობის გეგმის კონკრეტიზაცია (უნდა გამოარკვიონ რომელ კოლმეურნეობებში მოეწყობა კერა, გეგმა დაიყვანონ თვითეულ კოლმეურნეობამდე, ამ მშენებლობის საკითხი გააცნონ თვითეულ კოლმეურნეს ღარიბ და საშუალო გლეხს, ხელი შეუწყონ ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას, საბავშო კერებში სამუშაოთ გამოყონ კოლმეურნე ქალები, მოაწყონ მათი მოსამზადებელი ათდღიანი კურსები, და სხ.).

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, საორგანიზაციო მუშაობა ადგილებზე ფართოდ არის გაშლილი. გამოყოფილია სარაიონო შტაბები, მუშავდება გეგმები, მოწყობილია კერების მომსახურებელ პერსონალის გადასამზადებელი კურსები და სხ.

### ბინების სიმცირე დაუყოვნებლივ უნდა გადავლახოთ

ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად საბავშო კერების მომსახურებელ პერსონალის მომზადებას საგრძნობლად აფერხებს საჭირო ბინების უქონლობა. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ იდგება საბავშო კერების მოწყობაში. ბორჩალოს და ყარაიას რაიონები მაგალითად შტაბს აცნობებენ, რომ ადგილობრივ სრულიად არ მოიპოვება კერებისათვის გამოსადეგი შენობები და ამ საქმის მოსაგვარებლად საჭირო იქნება სპეციალური კარვების გამოტანა.

შტაბმა წინადადება მისცა რაიონებს გადამჭრელი ზომები მიიღონ არსებული შენობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, დაკვრითი წესით შეაკეთონ ეს შენობები, მიიღონ აგრეთვე ზომები ახალი შენობების და ფარდულების ასაგებად და სხ.

ამასთან ერთად საჭიროა შტაბმა თავის მხრივაც მიიღოს ზომები კარვების გამოსატანად, რომ შესაძლო გახდეს კარვების დაჩქარებით გადაგზავნა იმ რაიონებში, რომლებიც საჭირო შენობებს ვერ იშოვიან. ეს საქმე ადვილი მოსაგვარებელია მით უფრო, რომ პიონერთა რაზმები, რომლებსაც კარვების საკმაო რაოდენობა მოეპოვებათ, უკვე ბრუნდებიან ბანაკებიდან და მაშასადამე შესაძლოა მათი კარვების გამოყენება.

შტაბმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს კერა-პრიმიტივებისათვის ბინების საკითხის დაკვრითი წესით მოსაგვარებლად.

### დავაჩქაროთ თანხების გამოყოფა

საბავშო კერა-პრიმიტივების მოწყობა საგრძნობ ხარჯებს მოითხოვს. კერებისათვის შეძენილი უნდა იქნეს მთელი მოწყობილობა—ჭურჭელი, ტანსაცმელი და სხ. რასაც სახსრებთან ერთად გარკვეული დროც ესაჭიროება, კერების გახსნის ვადამდე მხოლოდ 16 დღე დარჩა და შტაბს ჯერ ჯერობით თითქმის არაფერი არ შეუძენია. მან გამონახა საჭირო საგნების ნაწილი (ფართალი და სხ.), მაგრამ ფული დროზე ვერ იშოვა და ვინაიდან, სამეურნეო ანგარიშთან დაკავშირებით, მოვაჭრე ორგანიზაციებს საშუალება არა აქვთ დიდი ხნით გააჩერონ საქონელი—ეს საქონელი გაიყიდა.

ამავე დროს, სადირექტივო ორგანოების დადგენილებით სახ. ბიუჯეტიდან ამ მიზნესთვის ამიერ-კავკასიაში უნდა გამოიყოს 800.000 მანეთი (ამ თანხიდან საქართველოს 119.000 მანეთი ეძლევა). გარდა ამისა საბავშო კერების მოსაწყობად ამიერ-კავკასიის სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გადასდონ 300.000 მანეთი. ჯერ-ჯერობით რეალურად არც ერთი ეს თანხა არა სჩანს. დრო კი გადის, სათანადო ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ეს თანხები შტაბმა დროზე მიიღოს და უზრუნველყოს საბავშო კერების დროზე გახსნა.

### მეტი ყურადღება ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას

ზემოთ ნაჩვენები თანხებით მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება. გარდა ამისა ასე მოკლე ვადაში ძნელი იქნება ყველა საჭირო საგნების შოვნა. ამიტომ სარაიონო შტაბებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები ადგილობრივი რესურსების მოსაგროვებლად. ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა იქნან ჩაბმული კომკავშირული და პიონერ ორგანიზაციები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მოგვარებული უნდა იქნეს აგრეთვე საბავშო კერა-პრიმიტივებისათვის საჭირო სურსათის საკითხი. ამჟამად რაიონებში მიმდინარეობს დამზადებები. სარაიონო შტაბებმა კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირებთან და მომარაგების ორგანოებთან ერთად უნდა უზრუნველყონ დამზადებულ პროდუქციიდან კერების უზრუნველყოფა, რომ ამ საქმეში შემდეგ არავითარი შეფერხებას არ ექნეს ადგილი.

კერების მშენებლობის ხელმძღვანელმა შტაბებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რომ საბავშო კერა-პრიმიტივების მოწყობის გეგმა დროზე და მთლიანად შესრულდეს, რაც შესაძლებელს გახდის ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებას და ტექნიკურ კულტურების წარმატებით აკრეფის უზრუნველყოფას.

## მოვაწყოთ საბავშო კერა-პრიმიტივები

შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით საქ. კოლმეურნცენტრის და ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის მიერ რაიონებში ეწყობა ბავშთა პრიმიტივები. ა. კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებით ბავშთა პრიმიტივები უმთავრესად უნდა მოეწყოს **ტექნიკური კულტურების რაიონებში**. სულ საქ. რესპუბლიკის მასშტაბით მოეწყობა 452 პრიმიტივი, რომელშიაც გაერთიანებული იქნება 19.000 ბავში.

ამ მიზნის განსახორციელებლად 1 სექტემბერს გაიხსნა კოლმეურნე ქალთა მოსამზადებელი კურსები, რომლებიც უშუალო მომსახურეობას გაუწევენ ბავშთა პრიმიტივებს.

ადგილებზე, ბავშთა პრიმიტივებისადმი ცოცხალი ხელმძღვანელობის გასაწევად ჩამოყალიბებულია შტაბები, რომლებიც უშუალო კავშირში იქნებიან თბილისში ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიასთან ჩამოყალიბებულ ცენტრალურ შტაბთან.

ყველა რაიონებზე მიცემულია საკონტროლო ციფრები, იმის შესახებ თუ რამდენი პრიმიტივი უნდა მოეწყოს ამა თუ იმ რაიონში.

ბავშთა პრიმიტივები ყოველგვარი საჭირო მოწყობილობებით (საწოლი, თეთრეული და სხვ.) უზრუნველყოფილი იქნება საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ; ხოლო ადგილებზე ბავშთა პრიმიტივებს ჩამოყალიბებისა და მისი მოწყობის შემდეგ სისტემატიურ მომსახურეობას გაუწევენ კოლმეურნეობათა რაიკავშირები.

საქ. კოლმეურნცენტრს დადებული აქვს ხელშეკრულება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ბავშთა პრიმიტივების მოწყობის საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით შესრულებას.

ოტია ჟუჟნია.

**რადიოს დახმარების ოცდღიური**

# მოვახდინოთ მშრომელთა ფართე მასების მობილიზაცია ქვეყნის რადიოფიკაციის ირგვლივ

## ჩავაბათ პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რადიო-ტექნიკისა და რადიო-გადაცემის გარდაქმნის საქმეში

## გავაუმჯობესოთ რადიო-ქსელის მუშაობა

5 სექტემბ. საბჭ. კავშ. იწყება რადიოს დახმარებისა და შემოწმების ოცდღიური. ოცდღიური მიზნად ისახავს მოახდინოს მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია რადიოფიკაციის გეგმების შესასრულებლად; ჩააბას პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები რადიო-ტექნიკისა და რადიო-გადაცემის გარდაქმნის საქმეში. რადიო-დათვალიერების ოცდღიურმა უნდა გამოამჟღავნოს რადიო-ქსელის დეფექტები (დაზიანებული აპარატები, სატრანსლიაციო რადიო-სადგურების ჩამორჩენა და სხ.), რომლებიც ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით გამოსწორებულ უნდა იქნენ უმოკლეს ვადაში. გარდა ამისა, რადიო-დახმარების ოცდღიურის განმავლობაში უნდა გაძლიერდეს რადიომეგობართა საზოგადოებების მუშაობა, მოეწყოს რადიო-გადაცემები რაიონებში და სხ. განათლების ორგანოებმა ამავე ხანში უნდა მოაწესრიგოს უმაღლეს სასწავლებლებში და ინსტიტუტებში რადიო-ტექნიკის ძირითადი საფუძვლების შეტანა სასწავლო პროგრამებში და სხ.

საქართველოში ოცდღიურის ჩატარებისათვის მზადება დაიწყო ა. წ. 20 აგვისტოდან. უნდა აღინიშნოს, რომ ოცდღიურისათვის მზადება სუსტად მიმდინარეობს. მთელი რიგი ორგანიზაციები რადიოს შემოწმებისადმი დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ. პროფკავშირებმა თავის დროზე მიიღეს საქ. პროფსაბჭოს დირექტივა ოცდღიურში მუშათა მასების ჩაბმის შესახებ, მაგრამ დღემდე საწარმოებში არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა.

ა. წ. 28 აგვისტოს ოცდღიურთან დაკავშირებით შესდგა საკავშირო რადიო-თათბირი, რომელზედაც არ გამოცხადდნენ ზოგიერთ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს იმას მოწმობს, რომ რადიო-დახმარების ოცდღიურის მნიშვნელობას საკმაოდ ვერ აფასებენ.

ამიერ-კავკასიის რადიო-ცენტრმა ადგილებზე გაგზავნა თავისი მუშაკები ადგილობრივი გადაცემების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ზოგიერთი რაიონული პარტორგანიზაციები დახმარების მაგიერ ხელს უშლიან მათ. რადიო-ცენტრის თანამშრომელს ს. ქ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომში განუცხადეს: „ჯერ-ჯერობით ვერ დაგეხმარებით, რადგან სხვა უფრო სერიოზული საქმეები გვაქვს გასაკეთებელიო“.

ქუთაისელ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ რადიო-გადაცემის მოწყობა დახმარებას გაუწევს არა რადიო ცენტრს, არამედ თვით ქუთაისის ადგილობრივ ორგანიზაციებს.

გამოირკვა, რომ ოზურგეთში სრული ჩამორჩენაა. დღემდე იქ არ ყოფილა მოწყობილი რადიო-გაზეთი. ოზურგეთის რაიკომის კულტპროპმა ამხ. არობელიძემ რადიო ცენტრის თანამშრომელს არავითარი დახმარება და ხელმძღვანელობა არ გაუწია.

საჭიროა პროფესიონალურ, სამეურნეო, განათლების ორგანიზაციები და როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პრესა, ეხლავე ჩაებან რადიო-დახმარების ოცდღიურში.

## მზადება ოცდღიურისათვის აჭარისტანში

რადიო-მუშაობის დათვალიერებისა და დახმარების ოცდღიურისათვის მზადება აჭარისტანში უკვე დაიწყო. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“-ს რედაქციასთან ჩამოყალიბდა საოლქო შტაბი, რომელშიაც შედიან დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ოცდღიურთან დაკავშირებით, 26 აგვისტოს საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტში შესდგა სპეციალური თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ აჭარისტანის საბჭოთა, სამეურნეო, პროფ. და სხ. ორგანიზაციები სუსტ ყურადღებას აქცევდენ აჭარისტანის რადიოფიკაციას. ბათომის საბჭომ არ შეასრულა პარტორგანიზაციების დადგენილება რადიო-კვანძის მოწყობის შესახებ. პროფსაბჭო არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა მასებში და არც ადგილობრივი რადიო-გადაცემა არსებობს. რადიო-მეგობართა საზოგადოების საოლქო საბჭო სუსტად მუშაობს. უჯრედები თვითმიმდინარეობაზე არიან დაყრდნობილნი, საბჭოს არ ყავს განთავისუფლებული მუშაკი. საზოგადოება აერთიანებს 500 წევრს, რომელთა შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. სოფლად დადგმულია მხოლოდ 39 ლამპიანი რადიო-მიმღები.

თათბირმა ამ დეფექტების გამოსასწორებლად შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. თათბირმა საჭიროდ სცნო გაზ. „საბჭოთა აჭარისტანმა“ შეფობა აიღოს აჭარისტანის რადიოფიკაციისა და ადგილობრივ რადიო-გადაცემის საქმეზე. 5 სექტემბრიდან ბათომში დაარსდება ადგილობრივი რადიო-გაზეთი. გადაიდო 1.500 მანეთი. ყველა ორგანიზაციებს დაევალა 1932 წლის ბიუჯეტში შეიტანონ რადიო-გადაცემის ხარჯები. კომკავშირის ორგანიზაცია ახლო მომავალში შეუდგება ფაბრიკა-ქარხნებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში რადიო მეგ. საზოგადოების უჯრედების ჩამოყალიბებას. რ. მ. ს. გამოყოფს ბრიგადებს რადიოფიკაციის გაძლიერების მიზნით შინაური რესურსების მობილიზაციისათვის. ქალაქის საბჭოს დაევალა 1-ლ ნოემბრამდე დაამთავროს რადიო-სტუდიის მოწყობა.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს აჭარისტანის რადიოფიკაციას, რასაც აჭარისტანის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

რადისტი.

## რადიო—ყურადღების ცენტრში

რადიო საუკეთესო იარაღია მასების პოლიტიკურად აღზრდისა და პარტიის ამოცანების ფართოდ გაშუქებისათვის. რადიო—მასების კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი — იჭრება მიყრუებულ სოფელშიც კი და იბრძვის სოციალისტური მშენებლობისათვის. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რადიოს. ის მოგვიწოდებდა: „აგეთ გაზეთი უქაღალდოთ, რადიო შექმნის მილიონიან აუდიტორიის მიტინგს“. ბელადის ეს სიტყვები უკვე განხორციელებულია. რადიო—ფრონტზე პარტიის ხელმძღვანელობით უდაო წარმატებები გვაქვს. 1924 წ. თუ თითო-ოროლა მიმღები იყო დადგმული, ამჟამად რადიო-ფრონტზე ჩვენ გაუსწარით ევროპას. ამას საუკეთესოდ ადასტურებს ჩვენი რადიო-სადგურების სიმძლავრე. ინგლისში აგებულია 22 გადამცემი რადიო-სადგური, საფრანგეთში — 23, გერმანიაში —28, საბჭოთა კავშირში კი გვაქვს—55 რადიო-სადგური. გერმანიის რადიო-სადგურების სიმძლავრე უდრის 230,1 კილოვატს, საბჭოთა სადგურების — 598,4 კილოვატს. ეს ბრწყინვალე გამარჯვებები რადიო ფრონტზე ერთხელ კიდევ ადასტურებს, იმას, რომ „ჩვენ მივდივართ წინ, აჩქარებული ტემპით და ტექნიკურ - ეკონომიური მხრივ ვეწევით კაპიტალისტურ ქვეყნებს“ (სტალინი).

მაგრამ არსებული მიღწევებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. „მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ გამოყეყეჩებულ ხალხს შეუძლიათ დამშვიდდენ წარსულზე მითითებით“ (სტალინი). ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ როგორც საბჭოთა კავშირის რადიოფიკაციის გეგმის (14 მილიონი რეპროდუქტორი ხუთწლედის ბოლოს) შესრულებისათვის, ისე რადიო-ტექნიკის რეკონსტრუქციისათვის. ამხ. სტალინის მითითება მუშათა კლასის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ, — რადიო - ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ სისტემატიურ ბრძოლას ქვეყნის რადიოფიკაციისათვის.

მაგრამ გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ რადიო-ფრონტის ცალკე უბნებზე ეს ბრძოლა არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ სამარცხვინო ჩამორჩენა გვაქვს რადიოფიკაციის ფრონტზე, სავსებით ვერ გარდავქმენით რადიო-გადაცემა და ვერ შევუფარდეთ ის რეკონსტრუქტიული პერიოდის საბრძოლო ამოცანებს. საქ. რადიოფიკაციის 1931 წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 15,1 პროც. ამის მიზეზია ჯერ ერთი ის, რომ მრეწველობა ვერ აწარმოებს აპარატურის დამზადებას და მეორეც—ადგილობრივი პარტ. საბჭოთა, სამეურნ., პროფესიონ. და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები რადიოს როლის შეფასებაში იჩენენ ოპორტუნისტულ განწყობილებას. პარტორგანიზაციები „ახალი ვითარებისა და სამეურნეო მშენებლობის ახალ ამოცანებთან“ შეფარდებით ვერ ხელმძღვანელობენ რადიოფიკაციის გეგმების შესრულებას.

ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი ორგანიზაციები „ცენტრიდან ელიან“ მასალებს, ამ მასალებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი ადგილობრივი რესურსების მობილიზაციით შეიძლება. მთელი რიგი რაიონული ორგანიზაციები (ქუთაისი, ოზურგეთი) ჯერ-ჯერობით „საჭიროდ არ სცნობენ“ რადიო-გადაცემის მოწყობას, რადიო-მეგობართა საზოგადოებას არ უწევენ ხელმძღვანელობას და სხვ.

რადიო-ფრონტზე მემარჯვენე პრაქტიკას, როგორც მთავარ საფრთხეს, მწვავედ უნდა დავარტყათ. რადიო-დახმარებისა და შემოწმების ოცდღიური, რომელიც 5 სექტემბრიდან იწყება, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და რადიოს გარშემო კლასობრივი რადიო-საზოგადოებრიობის ჩამოსაყალიბებლად. ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ოცდღიურის წარმატებით ჩატარებას და სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას რადიოფიკაციის და რადიო-გადაცემის გეგმების შესრულებისათვის.

ი. ჯ.

## რადიოფიკაციის გეგმა ვერ სრულდება

რადიოფიკაციის გეგმა ამიერ-კავკასიაში ჩაშლის საფრთხის წინაშეა. 1931 წელს უნდა დადგმულიყო 45.000 რეპროდუქტორი, აქედან ქალაქად—22.500, სოფლად — 22,500. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 19,1 პროც. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა სოფლად. სოფლად რადიოფიკაციის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 4,9 პროც., ხოლო ქალაქად—14,2 პროც. ამიერ-კავკასიაში სულ დადგმულია 8533 რეპროდუქტორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 22.500-სა. საქართველოს რადიოფიკაციის გეგმა შესრულებულია 15,1 პროც. 1931 წლის პირველ ნახევარში უნდა დადგმულიყო 6.430 რეპროდუქტორი, დაიდგა 2.438.

რაც შეეხება რადიო-კვანძების მშენებლობას, ამიერ-კავკასიის მაშტაბით გეგმა შესრულებულია 19,1 პროც. უნდა აგებულიყო 47, აგებულია 9 რადიოკვანძი. 35 კილოვატიანი რადიო-სადგურის მშენებლობის გეგმა შესრულებულია 40 პროც. სადგური ამუშავდება დეკემბერში.

ჩამორჩენის მიზეზია ცენტრიდან მასალების მოუწოდებლობა და შინაური რესურსების (მავთული, წვრილმანი მასალა) მობილიზაციის მოუგვარებლობა. ამ საქმეში რადიოორგანიზაციებს სუსტ დახმარებას უწევენ პროფესიონალური ორგანიზაციები.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა.

# საბჭოების დათვალიერება სუსტად იშლება

„სოფლის საბჭოების მუშაობის დათვალიერების პერიოდში რაიაღმასკომები უნდა გადაიქცნენ ოპერატიულ შტაბებად“.
(ა.-კ. ცაკის დადგენილებიდან)

## ფართოდ გავშალოთ საბჭოების დათვალიერება

სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნის დათვალიერება, რომელიც ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად ტარდება — არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია. სოფლის საბჭოების უმთავრეს ამოცანას შეადგენს ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის ცხოვრებაში. საბჭოები უნდა გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების ნამდვილ ორგანიზატორებად; საბჭოებმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოონ პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახვევების წინააღმდეგ, რადგანაც „პარტიის ხაზი და საბჭოების ხაზი ერთი და იგივე ხაზია““ (მოლოტოვი).

ჩვენს ახლანდელს ზოგიერთ სოფლის საბჭოს მრავალი ნაკლი ახასიათებს. არის მრავალი შემთხვევები, როდესაც სოფლის საბჭო განზე სდგას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის კონკრეტულ ამოცანებისაგან. ამ მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. საკავშირო ცაკი აღნიშნავს, რომ „სოფლის საბჭო, რომელიც არ გარდაქმნის თავის მუშაობას მასიურ კოლექტივიზაციით გამოწვეულ ამოცანებთან შეფარდებით და სათავეში არ ჩაუდგება საკოლმეურნეო მოძრაობას, ნამდვილად იქნება კულაკური სოფლის საბჭო, რომელსაც არ შესწევს ძალა გაატაროს სოციალისტური მშენებლობის პოლიტიკა“.

ამიტომ ეძლევა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნის დათვალიერებას, მაგრამ სამწუხაროდ საბჭოების დათვალიერების კამპანია ძლიერ სუსტად იშლება. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სოფლის საბჭოები, რომელნიც არ შესდგომიან დათვალიერების ჩატარებას, არ გამოუყვიათ კომისიები, ბრიგადები დათვალიერების ჩასატარებლად და სხვ. არის ისეთი რაიონული აღმასკომებიც (სიღნაღი), რომელთაც დღემდე არ განუხილავთ და არ დაუმუშავებიათ საბჭოების დათვალიერებასთან დაკავშირებული საკითხები.

ამ დაუდევრობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები სოფლის საბჭოების დათვალიერების გასაცხოველებლად. განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ დათვალიერების კომისიების სწორად შერჩევას; ამ კომისიებს ნაყოფიერი მუშაობისაგანაა დამოკიდებული დათვალიერების ნაყოფიერად ჩატარება, რადგანაც „კომისია არა მარტო აშკარავებს არსებულ დეფექტებს, არამედ აძლევს კონკრეტულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას აღნიშნული დეფექტები“. (ა. კ. ცაკის დადგენილებიდან).

საბჭოების დათვალიერების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებას, თუ როგორ ატარებდა საბჭო პარტიის და ხელისუფლების კლასობრივ ხაზს, დამზადებების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის, კოლექტივიზაციის, ტექნიკური კულტურების გავრცელების და სხვათა დარგებში. გარდა ამისა დეტალურად უნდა გამოირკვას ის მუშაობა, რომელსაც ატარებდა საბჭო კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ნათესების მოვლა-დამუშავების, მოსავლის სწორად განაწილების, ღარიბთა შორის მუშაობის, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოების მუშაობის დათვალიერების კამპანია გამოყენებული უნდა იქნას იმისათვის, რომ გამოაშკარავებული და საბჭოებიდან გაძევებული იქნან კულაკური ელემენტები, კლასობრივი მტრების აგენტები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და ყველა ისინი, ვინც აქტიურად არ იბრძვის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის კონკრეტულ ამოცანათა გასატარებლად.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პრესამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა დათვალიერება უნდა უზრუნველყონ მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ხოლო ცენტრალურმა და ადგილობრივმა პრესამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ დათვალიერების მიმდინარეობის სისტემატიურად გაშუქებას.

ა—ი.

## საჭიროა კონკრეტული ხელმძღვანელობა

(ნოსირი, სენაკის რაიონი)

სოფ. ნოსირის სასოფლო საბჭო ისევ ძველი ფორმებით და მეთოდებით მუშაობს. საბჭოსთან გამოყოფილი სექციები არაფერს არ აკეთებენ. სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე დარბის. სოფელში რამოდენიმე კოლმეურნეობა არსებობს, მაგრამ საბჭომ დღემდე ვერ შესძლო ამ არტელებზე დამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა გაეწია. არც ერთ არტელში არ არის გამოყენებული სოფლის კულტურული ძალები — მასწავლებლობა. ამრიგად, სოფლის საბჭომ ვერ შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა სოფლის კულტურული ძალები, ამოქმედებია სექციები და საერთოდ პირი ებრუნებია საკოლმეურნეო მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებისაკენ. ყველა ამის გამო, სოფელში სუსტად მიმდინარეობს სას. სამეურნეო პროდუქტების დამზადებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსხვილფეხა საქონლის დამზადების ჩამორჩენა. უარეს მდგომარეობაშია ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმე.

ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ სოფლის საბჭომ საფუძვლიანად ვერ შესძლო ადგილობრივი ძალების გამოყენება არტელებში კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად. საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობა მე-6 საკავშირო საბჭოთა ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე, უნდა გაძლიერდეს არტელებზე ხელმძღვანელობა; საჭიროა „საერთო“ ხელმძღვანელობიდან საბჭო გადავიდეს კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე.

მედგარი.

## სტილაძის „პოლიტიკა“

(საჯევახო, სამტრედიის რაიონი)

საჯევახოს სასოფლო საბჭოს მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა ძირითადი გარდატეხა. ის ვერ ჩაუდგა სათავეში პოლიტიკურ-სამეურნეო კამპანიების ბოლშევიკურად ჩატარების საქმეს. აღნიშნულ საბჭოს არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში მოწესრიგებულიყო შრომის აღრიცხვა და თავის მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო დაყენებული მასიურ-კულტურული მუშაობა.

ამავე საბჭოსთან ჩამოყალიბებული სექციები სრულ უმოქმედობას იჩენენ; კულტურულ-განმანათლებელი სექცია, რომელიც მოწოდებული იყო, რათა ეხელმძღვანელება ამ სოფელში საკლუბო მშენებლობისათვის, სალათის ძილმა შეიპყრო.

სასოფლო საბჭოს თავ-რე — სტილაძე უხეშად ამახინჯებს პარტიისა და ხელისუფლების ხაზს. მან 180 მანეთი შეაწერა მუშა ტონიას და ამდენივე შეაწერა კულაკ ა. სარდეიშვილს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აღნიშნული სასოფლო საბჭოს თავ-რე ვერ ანსხვავებს კულაკს და მშრომელს ერთი მეორესაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი ამ საბჭოს საქმიანობაში: სოფ. საჯევახოს, საზკოლო მშენებლობისათვის ნებაყოფლობით უნდა შეეგროვებია 10.000 მანეთი, ეს თანხა სტილაძემ თვითნებურად „გააწერა“, რითაც სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია მშრომელ მოსახლეობაში.

ასეთი საქმიანობისათვის მას სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

კოლმეურნე.

## სამზადისს არ შესდგომიან

(სოფ. ზემო - მაჩხაანი, სიღნაღის რაიონი)

საბჭოების დათვალიერება სიღნაღის რაიონში სუსტად იშლება. ადგილებზე ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მაგალითისათვის ავიღოთ სოფ. ზემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭო, რომელსაც არ დაუმუშავებია მთავრობის დადგენილება საბჭოების დათვალიერების მნიშვნელობაზე. ამ საკითხს არ არიან გაცნობილი აგრეთვე საბჭოსთან ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები, და სხვ.

ადგილობრივი კომუჯრედი და კომკავშირის ორგანიზაცია საბჭოების დათვალიერებას მხოლოდ „საბჭოს საქმედ“ თვლის. საბჭოების დათვალიერების მნიშვნელობა დამუშავებული არაა აგრეთვე კოლმეურნეებსა და ღარიბ - საშუალო მასებს შორის.

მაჩხანელი.

## დათვალიერება დაიწყო

(ზუგდიდის რაიონი)

პარტიული და საბჭოთა ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ზუგდიდის რაიპარტკომისა და რაიაღმასკომის მიერ შემუშავებული იქნა საბჭოების დათვალიერების კონკრეტული გეგმა.

სასოფლო საბჭოების დათვალიერების სწორად ჩატარებისათვის ადგილებზე მიმაგრებული იქნა პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც სპეციალურად მოიწვიეს საბჭოების სხდომები, სადაც დამუშავებული იქნა საკითხი საბჭოების მნიშვნელობაზე და სხვ.

დათვალიერების წარმატებით და დროზე ჩასატარებლად ადგილობრივად გამოყოფილია ბრიგადები, რომლებიც ამოწმებენ ცალკე სექციების მუშაობას. სექციების მუშაობის შემოწმება მიზნად ისახავს იმას, თუ რამდენად იბრძვის სას. საბჭოებმა პირი კოლმეურნეობათა მშენებლობისაკენ და რამდენად უზრუნველჰყვეს მათ კოლმეურნეთა ფართე მასის მონაწილეობა საბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში.

„ყაზახიში გაზეთის“ რედაქციამ შეიმუშავა საბჭოების დათვალიერებაში მონაწილეობის მიღების გეგმა და ამასთან ერთად დაგზავნა დამკვრელი ბრიგადები რამოდენიმე სასოფლო საბჭოში. ამავე გაზეთის რედაქციას მიზნად აქვს მოაწყოს „კომუნისტი“-ს და „ყაზახიში გაზეთის“ დამკვრელ მუშკორთა რეიდი საბჭოების დათვალიერების ირგვლივ.

რაიონის კედლის გაზეთები ამ საკითხზე ჯერ არაფერს აკეთებენ, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ი. იზორია.

# ТБИЛИСИС САСАДИЛОЕБШИ

# თბილისის სასადილოებში გამეფებულია ანტი-სანიტარია

## № 39 და 112 დახურულ სასადილოების თანამშრომლებს არ აქვთ სპეცტანსაცმელი

## გავაუმჯობესოთ ღამის ცვლების კვება

### თბილისის სასადილოების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

თბილისის მუშა-მოსამსახურეთა კვების მდგომარეობა, რომელიც შეამოწმა საქ. მუშგლეხინსმა, არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. თბილისში არის მთელი რიგი სასადილოები, როგორც დახურული, ისე ღია, რომლებიც შედარებით უკეთ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, მაგრამ ეს გამონაკლისია და არსებულ სასადილოების უმრავლესობა, არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

განსაკუთრებულ ცუდ პირობებშია მუშათა დახურული სასადილოები მუშაობენ; 7 დახურულ სასადილოდან (№№ 49, 112, 56, 39, 84, 140 და 125), რომლებიც საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოარკვია, ერთის მეტი (სამხედრო სამშენებლო მუშების დახ. სასადილო № 56) არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა; სასადილოების უმრავლესობაში არ არის დაცული ჰიგიენურ-სანიტარული პირობები, სასადილოებში სადილი ცუდი ხარისხისაა და ადგილი აქვს მოსადილეთა გრძელ რიგებს, რაც იწვევს უკმაყოფილებას მუშა-მოსამსახურეთა შორის და ზოგჯერ უწესრიგობასაც. სასადილოებში შესამჩნევია შემდეგი ხასიათის სხვა დეფექტებიც: მათი ტექნიკური მოწყობილობა, პროდუქტებით სუსტი მომარაგება, გეგმიანობის, აღრიცხვის და სამეურნეო ანგარიშის უქონლობა. ამაზე მშვენივრად ლაპარაკობს ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები: ნავთლუღის დახურულ სასადილოში (№ 49) არ დუღდება ჩაი, სამოვრის უქონლობის გამო. ამავე სასადილოში პროდუქტების საწყობი მოუწყობელია.

№ 12 დახურულ სასადილოს არ აქვს შესაფერი სამზარეულო, არ არის საკმარისი თეფშები, სასადილოს ბინა შეუფერებელია ამ საქმისათვის და იგი შეკეთებას საჭიროებს. სასადილოში ხშირად ადგილი აქვს უწესობებს.

№ 39 დახურულ სასადილოში სამზარეულოს არა აქვს ჭერი, რის გამოც მტვერი თავისუფლად ჩადის ქვაბებში, არა აქვთ თეფშების გასარეცხი ქურჭელი. მზარეულებს და სასადილოს სხვა მომუშავეებს არ აქვთ სპეცტანისამოსი. № 84 ღია სასადილოში ჭურჭლეულობა საკმაოდ არ არის. № 140 დახურულ სასადილოში არ აქვთ საყინული.

№ 125 დახურულ სასადილოში არ არის შესაფერად მოწყობილი სამზარეულო; გარდა ამისა, იქ კოვზების და ჩანგლების დიდი ნაკლებობაა. ზემოხსენებულ სასადილოებში ცუდათ არის დაყენებული ჰიგიენურ-სანიტარული და საზოგადოებრივი კონტროლის საქმე.

№ 49 დახურულ სასადილოში არ არის დაცული სისუფთავე. განმანაწილებელი პუნქტი სასადილოში ზოგჯერ დაბალ პამიდორს გზავნის; სასადილოში არ არის მოწყობილი ჰაერის გამასუფთავებელი (ვენტილიატორი).

№ 112 დახურულ სასადილოში გამეფებულია უსუფთაობა, თანამშრომლებს არ აქვთ სუფთა სპეცტანსაცმელი და ხელს აბვევია ბუზები. № 39 დახურულ სასადილოში ჭუჭყიანი ჩვრებით ჯერ წმენდენ მაგიდებს, და შემდეგ კი თეფშებს. №№ 84 და 140 დახურულ სასადილოებში არაა დაცული ჰიგიენურ-სანიტარული პირობები. № 125 დახურულ სასადილოში ერთი კოვზით ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მუშა სადილობს.

არც ერთი, ჯანმრთელობის ორგანოებიდან არ იღებს საჭირო ზომებს—სასადილოებზე სანიტარულ ზედამხედველობის გაძლიერებლად და აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად. არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი სასადილოების პროდუქტებით მომარაგების საქმეშიც. № 49 დახურულ სასადილოში პური დროზე არ მოაქვთ. მის მოსაზიდად საჭირო ტრანსპორტიც არ არის, რის გამო მუშები ხშირად რჩებიან უპუროთ. სასადილო პროდუქტების განმანაწილებელი ბაზიდან პროდუქტებს ხშირად ვერ ღებულობს, რის გამო სასადილოში სადილი არ მზადდება.

№№ 112, 84 და 110 ღია სასადილოები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ხორცით და პურით; მათ ხშირად კერძო ბაზარზე უხდებათ ამ პროდუქტების ყიდვა, ზოგიერთს მთლიანად და ზოგიერთს კი ნაწილობრივ. ეს მდგომარეობა იწვევს სადილის და ვახშმის ფასების ზრდას.

№ 140 დახურულ სასადილოში ხორცს ორ სამ კვირაში ერთხელ ღებულობენ. ადუღებულ წყალსა და ხელის საპონს სასადილოებში ვერსად ვერ შეხვდებით; სასადილოებში არ არის მოწესრიგებული აღრიცხვისა და გეგმიანობის საქმე და სამეურნეო ანგარიში არაა გატარებული, რაც თავის დაღს ასვამს მათ მუშაობას. არ არის გამოყენებული შრომის ახალი ფორმები და მეთოდები: სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად და თბილისში საზოგადოებრივ კვების გასაუმჯობესებლად საჭიროა: 1. უმოკლეს ვადაში მოეწყოს სასადილოებზე ჰიგიენურ-სანიტარული ზედამხედველობის და კონტროლის ორგანიზაცია; 2. სასადილოების პროდუქტები და სადილები გამოყენებული იქნეს დანიშნულებისამებრ, დახურულ სასადილოებზე მიმაგრებულ პირებზე სადილი არ უნდა გაიცეს. 3. სასადილოებში სადილის ტალონების აღების დროს უწესობების და მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილების მოსასპობად საჭიროა, სადილის ტალონების გაცემის წერტილების რიცხვის გადიდება და სასადილოს შტატის რაციონალურად გამოყენება. 4. სასადილოების ტექნიკური მოუწყობლობის სალიკვიდაციოდ თბილისის „კოოპკვებამ“ სასადილოების ადმინისტრაციასთან ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. 5. თბილისის „კოოპერატიულმა კვებამ“, ა-კ. „კოოპკვებასთან“ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები სასადილოებში აღრიცხვის და გეგმიანობის საკითხის მოსაგვარებლად და მათ გადასაყვანად სამეურნეო ანგარიშზე, რომელიც შრომის ახალი ფორმების ფართო გამოყენების საფუძველზე უნდა ჩატარდეს.

მ. აბესალაშვილი.

### მეტი ყურადღება მუშათა კვებას

(სამტრედია)

სამტრედიის რაიონის გზის კოოპერაცია ჯერაც არ გამოხმაურებია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 19 აგვისტოს დადგენილებას. რაიონის დახურული სასადილოები ვერ აკმაყოფილებენ მუშათა მოთხოვნილებებს; აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ სასადილოებში სრულიად არ არის დაცული საბონემენტო სარგებლობის სისტემა და დახურულ სასადილოებში სადილობს ყველა. მაგალითად, საყუდის მუშათა დახურული სასადილოში სარგებლობა შეუძლია ყველას, ვინც კი ამას მოისურვებს. მოუგვარებელია ღამის ცვლის მუშათა კვების საქმეც. სამტრედიის საყუდში ღამით უხდება მუშაობა 150 მუშას. მათი კვების საკითხი დღემდე ვერ მოწესრიგდა. სადილები, რომლებსაც ისინი იღებენ ბევრად უფრო ნაკლები ხარისხისაა დღის ცვლის სადილებთან შედარებით. რაიონის დახურულ სასადილოებში სადილების ხარისხს ყურადღება არ ექცევა. სასადილოებში არ არის დაცული სანიტარული პირობები. სამზარეულოებში გამეფებულია ძლიერი უსუფთაობა, სასადილოების მუშაკთა სპეცტანსაცმელი ჭუჭყიანია და გაურეცხავი. სასადილოებში ხშირად ლპება პროდუქტები საჭირო საწყობების უქონლობის გამო; საზკვების მუშა-მოსამსახურეები არ იცნობენ ც. კ. 19 აგვისტოს დადგენილებას.

შ. ქუჩუხიძე.

### ჯანმრთელობის ორგანოების ღონისძიებანი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა საქ. კ. პ. (ბ) ცკას 19 აგვისტოს დადგენილება მუშათა საზოგადოებრივ კვების საქმეში სანიტარული ზედამხედველობის პირობების გაუმჯობესების შესახებ, და გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი:

1. თვითეულ სასადილოში უნდა დაწესდეს სპეციალური მთვალყურეობა სანიტარულ პირობებზე. პირველ რიგში ეს მოხდება მუშათა დახურულ სასადილოებში.

2. დაევალა რაიონულ სანიტარულ ექიმებს, გაუწიონ სისტემატიური კონტროლი კოლმეურნეობებში კვების საქმეს და სანიტარულ ჰიგიენურ პირობების დაცვას.

3. დაევალა ჯანმრთელობის განყოფილებებს, რომ მათ შეიმუშაონ კალენდარული გეგმა სასადილოებში სანიტარული პირობების გაუმჯობესების დეკადისათვის.

ყოველგვარი მასალები და აქტები სასადილოების შემოწმების შესახებ უნდა გადაეგზავნოს ჯანმრთელობის კომისარიატს 25 სექტემბრამდე.

### როგორ მიმდინარეობს სურსათ-სანოვაგის დამზადება

(მომარაგების კომისარიატის ცნობები)

საქ. მომარაგების კომისარიატის ცნობებით სურსათ-სანოვაგის დამზადების გეგმის შესრულების მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის ასეთია:

| საქონლის დასახელება. | 1931 წლის დამზ. გეგმა | 20 აგვისტ. სათვის დამზად. | შესრულების პროცენტი. |
|---|---|---|---|
| ღორი | 189500 | 37883 | 20 |
| ქათამი | 350.000 | 204574 | 58 |
| კვერცხი | 13500 | 7051 | 52 |
| რძის პროდუქ. | 364501 | 143136,9 | 39,3 |
| თევზი | 31000 | 28227,1 | 91,1 |

### უზრუნველვყოთ საზკვება კადრებით

მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ რგოლს საზოგადოებრივი კვების საქმის გაუმჯობესება შეადგენს. საზკვების მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული მისთვის საჭირო კადრების მომზადებაზე. ამ მიზნით საზკვების კავშირის ცენტრალური გამგეობა თავის დროზე შეუდგა საჭირო მუშაობას. მათ მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით 1931 წლის განმავლობაში მომზადებული იქნება: კულინარ პოვარები—25, მეორე ხელის მზარეულები—230, მესამე ხელის მზარეულები—340, ფურნის მზარეულები—180, ხრონომეტრაჟისტები—40, კოლმეურნეობისათვის მზარეული ქალები—550, სასადილოების გამგეები—280, ბუფეტის მუშაკები—220, მიმტანები—1010, მოანგარიშეები—200 და ახალი მზარეულები—203.

გარდა ამისა გაიხსნება მოსამზადებელი კურსები საზკვების ტექნიკუმისათვის, სადაც მომზადებული იქნება 60 კაცი. სკოლაში მიღებული იქნება 70 კაცი.

მოსამზადებლად განსაზღვრულ კადრების 90 პროც. უნდა შეადგენენ ქალები.

საჭიროა საზკვების კავშირის ცენტრალური გამგეობა შეუდგეს ხსენებულ გეგმის განხორციელებას.



მოსავლის აღება: კომბაინების კოლონა მზად არის მინდვრად გასვლისათვის

## მოწინავე კოლმეურნეთა დაჯილდოება

### სია

ამიერ-კავკასიის ბამბის საქმის თათბირის მონაწილე იმ დამკვრელ კოლმეურნეთა, რომელთაც მიიღეს პრემიები

1. ალიევი ალიში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), აჯდაბედის რაიონი, კოლმეურნეობა „ბატრაკ“-ი: ბამბის თესვის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, გამარგვლისა და დამუშავების ნორმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის და მეზობელ კოლმეურნეობის გამოწვევისათვის სოც. შეჯიბრებაში.
2. ორუჯბაევი მაღლუდი (კოლმეურნ. თავმჯდომარე), აჯდაბედის რაიონი, კოლმეურნეობა „კრ. უზბეკ“-ი: ბამბის საუკეთესოდ დამუშავებისათვის, მეზობელ კოლმეურნეობის გამოწვევისათვის სოც. შეჯიბრებაში და გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის 175 ჰექტარით.
3. მამედოვი რიზა (კოლმეურნ. წევრი), ნახიჩევანის რაიონი, კოლმეურნეობა „ეტტიფაკ“-ი: შრომის სანარდო სისტემის სწორი ორგანიზაციისათვის.
4. ალიევი დაირამი (კოლმეურნ. თავმჯდომარე), ნახიჩევანის რაიონი, კოლმეურნეობა „ორახ“-ი: გამარგვლის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის და სანარდო სისტემის სწორი ორგანიზაციისათვის 4 მეზობელ კოლმეურნეობაში.
5. ნაზიევი ოიხები (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ალდაშის რაიონი, კოლმეურნეობა „წითელი აზერბეიჯანი“: თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და „ბოვარის“ ბამბის საცდელი ნაკვეთის მეორე სამგზითი კულტივაციისათვის 16 ჰექტარზე.
6. ხალილოვი სადიკი (კოლმეურნ. წევრი), ნახიჩევანის რაიონი, კოლმეურნეობა „ორახ“-ი: გამარგვლის ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
7. კულიევი იმამ (კოლმეურნეობის წევრი), ალდაშის რაიონი, კოლმეურნეობა „მესამე ორალ“-ი: თესვის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის და თავის სოფლის ჩამორჩენილ კოლმეურნეობების საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანისათვის.
8. ბაირამოვი ალეკპერი (კოლმეურნ. წევრი), ნურაშენის რაიონი, კოლმეურნეობა „ამხ. ალიევი“: გამარგვლის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის და კულტივაციის ჩატარებისათვის 20 ჰექტარზე საშუალო გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობაში.
9. ალიევი ა. კული (კოლმეურნეობის წევრი), შარურის რაიონი, კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“: ბამბის გამარგვლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.
10. ეიუბოვი ალავერდი (კოლმეურნ. თავმჯდომარე), ყარაიას რაიონი, კოლმეურნეობა „სოვეტ“-ი: გამარგვლისა და გამეჩხერების გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის.
11 ალიევი გასანი (კოლმეურნ. წევრი), იზმაილოვის რაიონი, კოლმეურნეობა „ბუნიატზადე“, ყველა სამივე გამარგვლის თავის დროზე შესრულებისათვის.
12. ეიუბოვი ბადრანტინი (კოლმეურნ. წევრი), ყარაიას რაიონი, კოლმეურნეობა „ლეხიშვილი“: გამარგვლისა და კულტივაციის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.
13. ლარიბოვი ისა (კოლმეურნ. წევრი), განჯის რაიონი, კოლმეურნეობა „კალინინი“: კულტივაციის ნორმის შესრულებისათვის.
14. ახმედოვი კამზაი (კოლმეურნ. წევრი), განჯის რაიონი, კოლმეურნეობა „კომროშილოვი“: გამარგვლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.
15. თვაგენიანი ხერგო (კოლმეურნ. თავმჯდომარე), ვაღარშაპატის რაიონი, კოლმეურნეობა „სტალინი“: კულტივაციის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის.
16. გაჯი ხ. მამედოვი (კოლმეურნ. თავმჯდომარე), ყარაიას რაიონი, კოლმეურნეობა „ზარია ვოსტოკა“: დამუშავებისა და კულტივაციის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის, აგრეთვე სანარდო სისტემის ორგანიზაციისათვის.
17. ბუნიატოვი აშიოთ (კოლმეურნეობის წევრი), ყარაიას რაიონი, კოლმეურნეობა „ინტერნაციონალი“: ბამბის გამარგვლის და დამუშავების ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
18. ბადალოვი ისაკი (კოლმეურნ. წევრი), ყარაიას რაიონი. კოლმეურნეობა „ბუდიონი“: ბამბის დამუშავების ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
19. კვრამანოვი მ. ხ. (კოლმეურნ. წევრი), შამხორის რაიონი, კოლმეურნეობა „სტალინი“: ბამბის კულტივაციის და დამუშავების ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
20. მაიერი ანტონი (კოლმეურნეობის წევრი), შარურის რაიონი, კოლმეურნეობა „ლენინი“: სამივე გამარგვლის ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
21. ნასიბოვი ა. ხ. (კოლმეურნეობის წევრი), ტერტერის რაიონი: ბამბის გამარგვლის ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
22. ვაშუგაშვილი მიხეილ (კოლმეურნ. წევრი), ჩუმლაყის რაიონი, კოლმეურნეობა „ორჯონიკიძე“: გამარგვლის ნორმის თავის დროზე შესრულებისათვის.
23. ნუხ-ოღლი მახმუდი (კოლმეურნ. წევრი), გეოკჩაის რაიონი, კოლმეურნეობა „კალინინი“: ბამბის გამარგვლის და კულტივაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.
24. ალავერდოვი გიულალა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), კარსუნის რაიონი, კოლმეურნეობა „ლანილძი“: შრომის სწორად აღრიცხვის ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობაში.
25. გაჩიევი ჯაბარი (კოლმეურნ. წევრი), კარადუილინის რაიონი, კოლმეურნეობა „მოლოტოვი“: ბამბის გამარგვლის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის.
26. მახმუდოვი ჯუმშუტი (კოლმეურნ. წევრი) ალდაშის რაიონი, კოლმეურნეობა „ინგლაბი“: ბამბის გამარგვლის და კულტივაციის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის 10 ჰექტარზე.
27. იუსუფ ამრაფ-ოღლი (კოლმეურნეობის წევრი), ალდაშის რაიონი, კოლმეურნეობა „ნარიმანოვი“: სამრიგიანი კულტივაციის ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

## თბილისის კოოპკვების აპარატის წმენდა

თბილისის კოოპკვების აპარატის გამწმენდი კომისიის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნილი არიან:

**თოსებ ანდრიას ძე მეტრეველი**, მე-35 სასადილოს ყოფილი გამგე. სასადილოში სისტემატიურად აწყობდა აურ-ზაურს, არის ლოთი, არტელ „მერცხალში“ ჰქონდა 779 მან. დანაკლისი, არღვევს შინაგან განაწესს, თანამშრომლებს უხეშად ეპყრობა; მოიხსნა თანამდებობიდან და მისი მასალები გადაეცა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისიას.

**არმენაკ მინასიანი**, მე-80 მაღაზიის გამგე, როგორც ყოფილი ვაჭარი, ქვითრებს თავის ნებაზე ასწორებდა, სამსახურისადმი იჩენდა გულგრილობას, არ გაატარა დავთარში 1300 მან. ფაქტურა. მოიხსნა მეორე კატეგორიით კოოპერაციაში მუშაობის აკრძალვით.

**გიორგი გალუაუკოვი**, ოფიციანტი, არის ლოთი, აქვს დანაკლისი, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

**არმენაკ არუთინოვი**, როგორც ყოფილი ვაჭარი, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით, საზკვების აპარატში მუშაობის აკრძალვით.

**ვარგაშაკ ავეტისიანი**, ჰქონდა საკუთარი ყველის სახარშავი წარმოება, არის კერძო მესაკუთრე, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით, საზკვების აპარატში მუშაობის აკრძალვით.

**მელიტონ ქუტიაშვილი**, მე-148 სასადილოს გამგე, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

**ალექსანდრე ცხვირავაშვილი**, როგორც ყოფილი ვაჭარი (სიძესთან ერთად ჰქონდა სასადილო), მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

**ლეილა აბაშიძე**, მე-109 სასადილოს მოლარე, არის სიმულიანტი, მოიხსნა აპარატის გაჯანსაღების მიზნით.

გარდა ამისა, მთელ რიგ თანამშრომლებს გამოეცხადა საყვედური, მიეცათ მითითება, გაფრთხილება და სხვ.

## რადიო-გამოძახება

### ბამბის აღების საკითხებზე

8 სექტემბერს 20 საათზე (თბილისის დროით) შესდგება ამიერ-კავკასიის რადიო-გამოძახება ბამბის მოსავლის აღების კამპანიის საკითხზე. გადაცემის წესი: 20 საათზე—თბილისი. 20 საათზე და 15 წუთზე—ბაქო. 20 საათზე და 21 წუთზე—განჯა. 20 საათზე და 26 წუთზე—შამხორი. 20 ს. 31 წ.—ალდაში. 21 ს. და 36 წ.—ხილნალი. 21 ს. და 41 წ. ლიუქსემბურგი. 21 ს. და 46 წ.—ერევანი, 21 ს. და 52 წუთზე—კამარლიუ, 21 ს. და 57 წ.—ვაგარშაპატი. 21 ს. და 02 წ.—გეოქჩაი, 21 ს. და 07 წ.—ნალიანი. 21 ს. და 12 წ. თბილისის საბოლოო სიტყვა.

რაიონებიდან გამოდიან კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნები ან რაიაღმასკომის თავმჯდომარეები, ბაქო და ერევნიდან—მიწსახკომები. რაიონულ კვანძებს და რესპუბლიკანურ რადიო ცენტრებს წინადადება ეძლევა—უზრუნველჰყონ გამოსვლა, რისთვისაც მათ წინასწარ უნდა ჩაატარონ კვანძების გასინჯვა.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### ყოფილი წითელი გვარდიელებისა და წით. პარტიზანების შეღავათების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ყოფილ წითელგვარდიელებს, წითელპარტიზანებს და მათ ოჯახებს მიეცემათ, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 64) გათვალისწინებული შეღავათების გარდა, აგრეთვე შემდეგი დამატებითი შეღავათები:

1. ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლებში, აგრეთვე უწყების, დაწესებულებისა და საწარმოსათვის მიკუთვნებულ სახლებში დაკავებული საცხოვრებელი ფართობისათვის ყოფილი წითელგვარდიელები, წითელი პარტიზანები და მათი ოჯახები ქირას იხდიან ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მომქმედ საბინაო ტარიფზე 10-დან 50 პროცენტამდე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

2. სასყიდელს კომუნალურ მომსახურეობისათვის (წყლის მიწოდება, კანალიზაცია ელექტრო-ენერგია განათებისა და საოჯახო საჭიროებისათვის, საქალაქო სამრეცხაოებისა და საზოგადოებრივი აბანოებისა და სხვ. გამოყენება, ქალაქად სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა) ყოფილი წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები იხდიან შეღავათიანი ტარიფით, რაც დადგენილია ადგილობრივი საბჭოების მიერ.

**შენიშვნა.** ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან მთლად განთავისუფლოს ყოფილი წითელგვარდიელი და წითელი პარტიზანი კომუნალური მომსახურეობის ან ამ მომსახურეობის ზოგიერთი სახის სასყიდლისაგან.

3. ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელპარტიზანებს უფლება აქვთ უფასოდ შევიდნენ ყველა სახელმწიფო (ცენტრალურსა და ადგილობრივს) მუზეუმში, გამოფენაზე, ბაღში და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებაში. სახელმწიფო თეატრსა და კინემატოგრაფიაში ყოფილ წითელგვარდიელებს და წითელ პარტიზანებს დაეკლებათ ბილეთის ფასის 50 პროცენტი.

II.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. იანვრის 13-ის, დადგენილების მეცხრე მე-12 მუხლის შესაბამისად;

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს — მუნიციპალიზებულ შენობებში როგორც ახლად აგებული, ისე განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის დასახლების დროს, აძლიონ ხოლმე წითელგვარდიელებსა, წითელ პარტიზანებსა და მათ ოჯახებს, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ, აუცილებელი საცხოვრებელი ფართობი მუშებთან თანაბარ საფუძველზე და საცხოვრებელი ფართობის მსაჭიროებელი მუშების საერთო რიცხვთან სათანადო პროცენტული შეფარდებით.

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ყოფილი წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები და მათი ოჯახის წევრები სამკურნალო, სასანიტარო და საკურორტო დახმარებით დაზღვეულ მუშათა თანაბრად.

3. წინადადება მიეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—იხმარონ ღონისძიება, რათა წითელი გვარდიისა და პარტიზანული რაზმების ინვალიდები, აგრეთვე სამოქალაქო ომში დაღუპული წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების ოჯახის შრომისუუნარო წევრები ჩარიცხულ იქნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველ რიგში.

4. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

III.

ამ დადგენილებაში აღნიშნული შეღავათებით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ სათანადო მოწმობები ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. დეკემბრის 16-ს დამტკიცებული წესდებისამებრ (ა. კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 3).

IV.

ამ დადგენილების 1-ლი კარის 1-ლი მუხლის შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202). დაემატოს 23ª მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„23ª ყოფილი წითელგვარდიელები, წითელი პარტიზანები და მათი ოჯახები, რომელთაც მიღებული აქვთ სათანადო მოწმობები ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. დეკემბრის 16-ს დამტკიცებული წესდებისამებრ (ა. კსფსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 3). ქირას მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ფართობისათვის იხდიან 10-დან 50 პროცენტამდე დაკლებით. ამ მონაკლების რაოდენობას, განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ბოძია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1931 წ. ივლისის 13
თბილისი.

## დადგენილება

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დებულების მე-2 მუხლის „გ“ ლიტერა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 22 №-ი, მუხ. 318) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შრომის დავა არა უმეტეს, ვიდრე 25 მანეთის თანხაზე, რაც აღიძვრის დაქირავებულ მომუშავესა და მშრომელ დამქირავებელს შორის (ინდივიდუალური შრომითი სოფლეხო მეურნეობა, შინამრეწველი, ხელოსანი და სხვ.) და აგრეთვე საზოგადო მწყემსსა და დამქირავებელს შორის“.

2. იმავე დებულების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3) ამა დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქმეები აუცილებლად უნდა განიხილოს სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ, უკეთუ არსებობს შემდეგი პირობები:

ა) „ა“ ლიტერის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ ამ პუნქტებში გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ჩადენილია ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც აერთიანებს სათანადო სასოფლო საბჭო, ამ ტერიტორიაზევე მუდმივად მცხოვრებ პირთა მიერ;

ბ) იმავე ლიტერის დანარჩენ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ ბრალდებული და დაზარალებული მუდმივად ცხოვრობენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც აერთიანებს ერთი სასოფლო საბჭო;

გ) „ა“ და „ბ“ ლიტერში ჩამოთვლილი საქმეები, მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის საქმეთა გამოკლებით, და „გ“ ლიტერაში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ მოსარჩლე და მოპასუხე მუდმივად ცხოვრობენ იმ ტერიტორიაზე, რასაც აერთიანებს ერთი სასოფლო საბჭო, ხოლო სადგილმამულო საქმეები, უკეთუ, ამასთანავე, სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს იმავე ტერიტორიაზე.

უკეთუ ზემოაღნიშნულ საქმეებში,—გარდა ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საქმეებისა, მონაწილე მხარენი ცხოვრობენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც აერთიანებს სხვადასხვა სასოფლო საბჭო, ეს საქმეები სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი მიმართავს ამ სასამართლოს, როგორც დანაშაულობის ჩადენის ადგილის სასამართლოს (სისხლის საქმეზე) ან როგორც იმ ადგილის სასამართლოს, სადაც მოპასუხე ცხოვრობს (სამოქალაქო და შრომის საქმეზე) ან სადაც მდებარეობს სადავო მიწის ნაკვეთი (სადგილმამულო დავის საქმეზე).

მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავა სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ სასამართლოს მიმართავს მოჯამაგირე ან მწყემსი“.

3. იმავე დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა.** უკეთუ მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავის საქმეზე გამოაშკარავდება, რომ მოსარჩლეს 25 მანეთზე მეტი ერგება, ან რომ დამქირავებელი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შრომის კანონის დარღვევისათვის,—მთელი საქმე უნდა გადაეცეს სახალხო სასამართლოს“.

4. იმავე დებულების მე-5 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა

**შენიშვნა:** განცხადება მოჯამაგირესა და მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის დავაზე შეიძლება შეტანილ იქნეს დამქირავებელთან მუშაობის დროს ან ექვსი თვის განმავლობაში სამუშაოსაგან დათხოვნისა თუ სამუშაოდან წასვლის შემდეგ.

5. იმავე დებულების მე-6 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა 2.** შრომის საქმეებს სასამართლო გადასწყვეტს შრომის მომქმედ კანონთა თანახმად.

6. იმავე დებულების მე-9 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საქმე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ათი დღისა საქმის მიღების დღიდან; ამასთანავე, საქმე ხულიგნობის შესახებ—არა უგვიანეს ხუთი დღისა, ხოლო შრომის საქმე—არა უგვიანეს სამი დღისა საქმის მიღების დღიდან.

7. იმავე დებულების მე-16 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა.** უკეთუ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება მოჯამაგირესა თუ მწყემსსა და დამქირავებელს შორის აღძრულ შრომის დავაზე გაუქმებულ იქნა, ამ გადაწყვეტილების თანახმად მოჯამაგირისათვის თუ მწყემსისათვის გადახდილი ფული არ შეიძლება უკუ გადახდევინებულ იქნეს, უკეთუ არ დამტკიცდა, რომ მოჯამაგირემ თუ მწყემსმა წარუდგინა სასამართლოს ყალბი დოკუმენტი ან აუწყა ტყუილი ცნობა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ბოძია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1931 წ. ივლისის 4.
თბილისი.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 4 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი „წერა-კითხვა“-ს საკითხებზე. თათბირს უნდა დაესწრონ: ამხ. ბოკერია, ჩხარტიშვილი, გეგენავა, ხობუა, მდივანი (თბილისის კომიტეტი), კაპანაძე (საქ. ალკკ ც. კ-ი), საქართველოს სახალხო კავშირის, განათლების მუშაკთა კავშირი და პროფსაბჭოს კულტსექტორის წარმომადგენლები.

—:—

დღეს, 12 საათზე, ცენტრალურ კომიტეტის კადრების განყოფილებაში (ოთახი № 41) ამხ. დარიშენკოსთან უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: კაზანჩიანი ი. ს., (ამ.-კავკ. ტყის და ქაღალდის ტრესტი), ს. დ. ჯანგარაშვილი (ტფილისის წყალსადენი), ა. კ. შეიკინი (ამ.-კავკ. ტყემშენებლობა).

4 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სოფ. კოოპ. ინსტიტუტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა. უჯრედების მდივნებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა ბიუროს ყველა წევრ-კანდიდატების და უჯრედების მდივნებისათვის.

—:—

— წინადადება ეძლევა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 4 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და სახალხო განათლების სექტორში (ოთახი № 18) ამხ. შალობიანთან: გოთრგაძე ივანე, ადამიძე მარო, ტოგონიძე ელენე, მილოვი ეგევი, ლაზაძე წითლიძე, ჯალალანია ნადეჟდა, ატრიანი აზიკ, მალხასიანი მარო, ივანიშვილი მიხეილი, კაკაბაძეშვილი, არზაკანდი, ბაგირი, ლიტვინენკო ანნა, პატარაია შალვა, ჩანიანი, აკოპიანი ანდრანიკ, იბრაგიმოვი მუხმედმედი, ავაკიმოვი სონია, ტაგუნაძე.

—:—

— დღეს, 4 სექტემბერს დილის სრულ 11 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი სოფლის რადიოფიკაციის და კინოფიკაციის საკითხებზე; თათბირზე უნდა გამოცხადდნენ: ამხ. ხობუა, ცაგარელი, გოთრგაძე, საბაშვილი (კოლმეურნცენტრი), ლეჟავა (რადიოს მეგობართა საზ-ბა), კაპანაძე (ა. ლ. კ. კ. ც. კ-ი), მდივანი (თბილისის კომიტეტი), ფანცულაია და დოლიძე (სახკინმრეწვი), საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორის წარმომადგენელი, აგრეთვე ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის და ცენტრალური პარტსკოლის დაუსწრებელი კურსების წარმომადგენლები.

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.
1931—32 წ. სეზონი
აბონემენტების გაცემა №№ 10-დან 108-მდე.
აბონემენტების მიღების დროს—1-ლი გადასახადის გადახდა.
სალარო ღიაა 11—2 ს. და 6—8 ს.
ბ. 1689

სახკინმრეწვ. თეატრები

| | |
|---|---|
| სახაფხულო ეთერი (ხახ. თბერის ბაღში) დასაწყისი 8-30, 10—30. | ჰაროლდ ლოიდი კომედიაში უმცროსი შვილი შემდეგი პროგრამა: „ისწავლე ქურაში სიარული“. |
| სახკ. კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე. | ახალი მხატვრული ფილმი განადგურება ა. ფადეევის რომანის მიხედვით. |
| სახაფხულო დარბაზი (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 8-30, 10—30. | პრემიერა ახალი მხატვრული ფილმი სამი ალუმი პროგრამის გარეშე საკინომრეწვის ჟურნ. № 21. |

ა-კ. შალეულობის ტრესტი
„ზაქშერსტი“
აცხადებს, რომ
ტრესტის ფაბრიკების ნაწარმის რეალიზაცია „სოიუზშერსტ“-თან დადებულ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად ხდება მხოლოდ უკანასკნელის განაწესებით.
ხსენებულ წესის გარეშე საქონლის გაცემას ტრესტი არ აწარმოებს.
ტრესტი „ზაქშერსტი“-ს მმართველობა.
1272

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად
მუშკოოპის წიგნაკები: იოსებ იგრაულის. გრიგოლი ივანიძის. ვლადიმერ ივანიძის. ალექსი ლადუასი № 1696. მარიამ გოგაშვილის, ბესარიონ ნაზგიშვილის. № 45623.
კავშირის წიგნაკები: სამსონ იოსებაშვილის № 35007. კოლია კილოსავასი № 69. ტატიანა კაციტაძის. ამბროსი ქემოკლიძის. სარქის ავაკოვის № 13/28698. პიმენ სოხაძის № 5907. დავით გურულის.
პურის წიგნაკები: ვასილ მიქელევის. ანნა მანოვასი № 77016. პარმენ მეტრეველის. მარო მოსეშვილის. გიორგი მოსეშვილის. აზნე მოსეშვილის. გიორგი კვერცხიშვილის. ლიზა ბატმანოვასი.
პირადობის მოწმობა: პარასკევა ჯგირნაიასი. ამბროსი და შუშანა ქემოკლიძეების. გიორგი გოძელიშვილის.
სამხედრო წიგნაკი: ხარიტონ ლოგუასი № 418. მიხეილ ლომიძის № 4. ბესარიონ ნაზგიშვილის. ვანო წულუკიძის სერგო არუთინოვის. გიორგი გაგუასი.
მეტრიკ. ამონაწერი: რუბიკ სირუმიანის. ნათელა ცინცაძის. ლამარა მახარაძის.
სხვა და სხვა: ტექნიკუმის დამთ. მოწ. № 101 ალექსანდრე ურუშაძის. პარტბილეთი 81865 ვახტანგ ავლედიანის. შოფერობის წიგ. დავით გოშიკაშვილის. 7 წლ. დამთ. მოწ. კოსტა ქეცელიძის. პარტსაკანდიდატო მანდატი № 21844 დომენტი პანტორაიასი. 7 წლ. დამთ. მოწ. ნადია ქვანჭილაშვილის. დაზღვევ სალაროს წიგნ. დავით გურულის, სილარიბის მოწ. გიორგი გრძელიშვილის.

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, გეზმას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.
25—4 5464

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. თერმოლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-მდე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონხოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: სალ. 5—7 საათზე გარდა ქვირა დღეებისა. ტელ. 28—68.
25—1 7247

ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „მადრიდის“ (ყ. „ნოდ“-ს) პირდაპირ ჩიტრიშვილის და მელიქოვის შესახვევი № 8.
5—12

ხვალ 5 სექტემბერს
როზა ლიუქსემბურგის სახელობის (ყოფ. მინიონი).
გახსნა
I-ლი სეანსი—7 ს.
II-რე სეანსი—8—45
III-მე სეანსი 10—30.
ახალი მხატვრული ფილმი
გერმანული სურათი
კრაუზეს დიდი ბედნიერება
რეჟის. პილიუტი.

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრიალურ ტექნიკუმის გვერდზე.
13—1 7690

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მოვლის, ქერტლის, მეჭეჭების ნაოჭების და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან
15—2

თბილისის შინა-მრეწველ. ტექნიკუმში
სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-ს.
2—1 7265 ადმინისტრაცია.

მედიცინის დ-რი
ახვერდოვი
სპეც. ვენერიული და სიფილის მიღ. დილ. 9—12 და საღ. 7—9 ლენახოვის ქ., № 7 (შესავალი ნაიყალის კუთხიდან, 1).
25—1 7021

ბინის დამქირავებელთა საყურადღებოდ
თბილისის საბჭო აცხადებს, რომ ბინის ფართობის გადასინჯვა და მდგმურების შემჭიდროება შესაძლებელია მხოლოდ თბილისის საბჭოს სპეციალური კომისიის საშუალებით, რომელიც აღჭურვილია სათანადო მოწმობით თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ავაქოვის ხელის მოწერით.
ბ. 1688 თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტთან არსებულ მუშფაკში
სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს
მასწავლებლები და მსმენელნი ვალდებულნი არიან 7 სექტემბერს გამოცხადდნენ ადგილზე.
7287 დირექცია.

27 აგვისტოს
გავიდა სახლიდან
თამარა მიქელაშვილი (11 წლის) და აღარ დაბრუნებულა. მნახველს ვთხოვთ შეატყობინოს მამას შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ახალშენი, ლაგოდეხის ქუჩა, სახლი მიქელაშვილისა.
7286

დავკარგე ძაღლი
ინგლისური სეტერი, ხვადი, თეთრი ფერისა შავი ფოთლებით, სახელად „ჯერი“, მპოვნელს ვთხოვ მომიყვანოს. მივცემ გასამრჯელოს. პლეხანოვის პრ. № 64 ჯაგაბიშვილი.
7282

მწუხარებაში მყოფი დედა ალათი ხაჭაპურიძისა შვილებით, რძლით, სიძით, შვილიშვილებით და ნათესავებით იუწყება, რომ
ლიუბა ილარიონის ას. ხაჭაპურიძის
ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 6 სექტემბერს, ხონში.
7263

ა/კ. მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლ ტექნიკუმის დირექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ტექნიკუმის საუკეთესო მოწაფის და ა. ლ. კ. კ. უჯრედის პ/მგ. მდივნის
ამხ. ივანე ტატოს-ძე ნაჭილაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. სადხენისში.
7270

გულმოკლული ბიძაშვილი ლილი ქუთათელაძე და ბიცოლა ფლორა, მამიდები: მარიამ, ნინო და აგრიპინა ქმრებით: მიხა ცაგურია, გაბრიელ თოფურია და ვასილ ბერძენი იუწყებიან დაუვიწყარ
ელენე ქუთათელაძე-კენჭაძის
უდროოდ გარდაცვალებას.
7256

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე, მშობლები: გიგო და მარიამ კენჭაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ელენე იაკობის ასული ქუთათელაძე-კენჭაძისა
დაკრძალვა დღეს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, ციმაკურიძის ჩიხი № 2.
7285

დედა ელპიტი და დაი ნადია ვადაჭკორიები გულითად მადლობას უცხადებენ ყველა ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომელთაც პირადი დასწრებით, დეპეშით ან წერილით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ჩვენი ძვირფასი
ოლღა ელიზბარის ას. ვადაჭკორიას
გარდაცვალების გამო.
7273

გულდათუთქული ცოლი ნადია ქმრით და შვილით პატარა გივით აუწყებს ნაცნობებს და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა უძვირფასესი ძმა
საშა (სოლომონი) ივანეს-ძე ქვალიაშვილი
გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან.
7271

უახლოესი მეგობრები: სიმონი, ვალიკო, კაკო კენჭაძეები, ვახტანგი და ალიოშა ლეჟავები, პარმენ ფირცხალავა და ტარასი გაბრიჩიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამხანაგ ალექსანდრე ქუთათელაძის მეუღლის
ელენა ქუთათელაძის
დაკარგვის გამო.
7285

ქვემო სვანეთის „ლისტრანზხორხის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ გუშაგის წითელ მილიციელის
ამხ. დომენტი ჯანელიძის
ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდა 30 აგვისტოს ლაშხეთში.
7288

საქართველოს კომპარტიის და კომკავშირის ქვემო სვანეთის რაიკომები, რაიაღმასკომი, რაიმილიცია და პროფსაბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ა. ლ. კ. კ. წევრის, ერთგულ წითელ მილიციელის
ამხ. დომენტი ჯანელიძის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დაკრძალვა მოხდა 30 აგვისტოს ქვემო სვანეთში, სოფ. ლაშხეთში
7288

დამწუხრებულნი: დედა ვერიჩკა, მამა ალექსანდრე, ბებიები: მატრონა და ანა, ბაბუები: თადეოზი და ვასილი, ბიძები: კარპენი, გრიგოლი, ბიქტორი, მამიდები: თინა, ნინა, საშა, ლილი, დაი თამრიკო, ძმა ნოდარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
მურმან ალექსანდრეს-ძე ჯინჭარაძე
7292

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
რაჟდენ ბართლომეს-ძე ლვამიჩავა
რასაც იუწყებიან: დედა თამარი, ცოლი ნინო, შვილები: ირინა, სერგო და ალექსანდრე ლვამიჩავები და ძმისშვილები ელენე მისეზკა და დავით უთინელი
7291

გულმოკლული დედა ნატაშა და ძმა ტუტუ ბარქაიები იუწყებიან, რომ 6 სექტემბერს, ქ. ხონში. 5 საათზე აღსანიშნავად იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
მიშა ბარქაიას
ხსოვნის აღსანიშნავად.
7293

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904